ქართული გაზეთი

საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი
№9 (277)
1-30 ნოემბერი 2019
ფასი 1 ლარი
გამოდის თვეში ორჯერ

ინტერვიუ სოლო სიგუალთან

- სამი თვის წინ გაიმართა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის XXV ყრილობა. არჩეულ იქნა ხუთი თავმჯდომარე. რით იყო გამოწვეული ეს ფაქტი, ადრე ხომ ირჩევდნენ თავმჯდომარესა და მდივნებს.

ყრილობამ წესდების შესაბამისად აირჩია ხუთი თანაბარი უფლებამოსილების თავმჯდომარე, რომელთა შორის მოხდა ფუნქციების გადანაწილება. მაგალითად, რევაზ მიშველაძე ხელმძღვანელობს მიმღებ და პრემიების მიმნიჭებელ კომისიებს; მაყვალა გონაშვილი - ადმინისტრაციასა და ფინანსებს; მე - სალიტერატურო მემკვიდრეობის პროპაგანდასა და „მწერლის გაზეთს“ და ა. შ.

მოგეხსენებათ, დემოკრატიზაციის პროცესი მოითხოვს დეცენტრალიზებას, კოლექტიურ მმართველობას, რათა შეჯერებულ იქნას შეხედულებანი. გარდა ამისა, ჩვენ გვიხდება ექსტრემალურ პირობებში მუშაობა, როცა არ გაგვაჩნია შენობა - იგი წაგვართვა მიხეილ სააკაშვილმა 2007 წელს, ახალმა ხელისუფლებამ კი არ დაგვიბრუნა. ჩვენ არ გვაფინანსებს მთავრობა - საარსებო სახსარი თავად უნდა მოვიპოვოთ.

ადრე, როცა სახელმწიფო აფინანსებდა შემოქმედებით ორგანიზაციებს და ხელს უწყობდა მათ ფუნქციონირებას, გაცილებით იოლი იყო მუშაობა და ერთი ხელმძღვანელიც კარგად ართმევდა საქმეს თავს. მაგრამ ამჯერად, ჩვენთვის მოულოდნელად წარმოქმნილ სიტუაციაში, აუცილებელი გახდა მუშაობის ფორმის შეცვლა.

მოგეხსენებათ, მწერალთა კავშირს ჰყავს 800-ზე მეტი წევრი, აქვს რეგიონული ორგანიზაციები და კოორდინირებული მუშაობისათვის, კონტაქტებისათვის, როგორც დაგვარწმუნა განვლილმა პერიოდმა, მართებული აღმოჩნდა ხუთი თავმჯდომარის ინსტიტუტი.

ამის გამო ზოგი ქილიკობს, ზოგი აცხადებს, რომ მწერალთა კავშირი მოძველებული, საბჭოური სისტემით მუშაობს, მაგრამ მათ მინდა შევახსენო, რომ საქართველოს მწერალთა კავშირი დაარსდა 1917 წლის ოქტომბერში. ხოლო პროფესიული გაერთიანების შენარჩუნება იმდენადაა საჭირო, რომ დღეს, როცა წიგნი, გაზეთი, ჟურნალი საზოგადოებისათვის გაუცხოვდა, მწერლებმა მაინც შეძლონ ერთმანეთის გაცნობა, ერთმანეთის შემოქმედების შეფასება, თორემ მთლად შუასაუკუნეების ბნელეთს დავუბრუნდებით.

დიდ ქვეყნებს ასეთი პრობლემა არ უდგათ. მაგრამ პატარა, სუსტი და ღარიბი ქვეყანა სახელმწიფოებრივი თანადგომის გარეშე ვერ შეინახავს თავის კულტურას. ხოლო როცა ეს არ არსებობს, მაშინ თავად მწერლებმა მაინც უნდა შეინარჩუნონ ტრადიციები, კონტაქტები, შემოქმედებითი ინტერესები.

- დიახ, გლობალიზაციამ წიგნს მოსწყვიტა მკითხველი და მწერალი მარტო დატოვა. მას აღარ ჰყავს აუდიტორია...

- გლობალიზაცია, კომპიუტერი, სოციალური ქსელები ანელებენ არა მხოლოდ ლიტერატურისკენ სწრაფვას, არამედ კვდება თეატრი, კინო, არ აინტერესებთ კლასიკური მუსიკა, მხატვრობა. უმაღლეს სტანდარტებს ნაზიარებ მკითხველსა და მაყურებელსაც კი გული აუცრუვდა მშობლიურ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

გახსოვთ, ამასწინათ მთავარმა პროკურორმა ვერ დაასახელა „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორი. სადავო გახდა არაერთი მინისტრის დიპლომი ანუ უმაღლესი განათლება ფორმალობად იქცა.

ასეთ დროს ახალგაზრდა რატომ შეალევს ძალასა და უნარს ლიტერატურას, რომლითაც ის ვერ შეძლებს არსებობას.

- ეს ასე ჩვენთან ხდება თუ საერთო ტენდენციაა?

- წიგნისადმი, ბეჭდვითი სიტყვისადმი ინტერესი მთელს მსოფლიოში კატასტროფულად შენელდა. ადრე თუ რემარკის, ფოიხტვანგერის, თ. მანის, ჰემინგუეის, შოლოხოვის წიგნები მილიონიანი ტირაჟებით გამოდიოდა, დღეს აღარც კლასიკა, აღარც თანამედროვე ავტორი ასე არ იბეჭდება. ერთ-ერთი გამონაკლისია „ჰარი პოტერი“, რომელმაც მოხსნა ყველა რეკორდი და ამ წიგნის შემოსავალმა გადააჭარბა 3 მილიარდ დოლარს!

ადრე ვწერდით, რომ პოეზიამ დაკარგა მკითხველი. ახლა იგივეს ვამბობთ პროზაზე. მწერლისგან უფრო სცენარებს მოითხოვენ ფილმებისათვის, პოეტისგან - ტექსტებს სიმღერისათვის. მხატვარი კი დიზაინერი გახდა, არქიტექტორი - კონსტრუქტორი...

- ფეისბუკის მიხედვით პოეზიას ისევ ეძალებიან, თითქოს ინტერესი არ გამქრალა...

- გეთანხმებით, მეც ვეცნობი ფეისბუკზე გამოქვეყნებულ მასალებს. მოვიდა ნიჭიერი ახალთაობა. მაგრამ როგორი იქნება ხვალინდელი დღე. ქართველი ლექსს ყოველთვის ეტანებოდა. ასეა ახლაც - წერს ახალგაზრდა, პენსიონერი თუ უმუშევარი. გამოდის უამრავი წიგნი - მიზერული ტირაჟით. წიგნით თავს იწონებენ, რომლის გამოცემას ბევრი ახარჯავს უკანასკნელ გროშებს.

ჰონორარის ცნება დიდი ხანია გაქრა. წიგნი მატერიალურად მხოლოდ ზარალის მომტანია.

დღეს წიგნისა და პრესის ტირაჟი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეს იყო საუკუნის წინათ.

- განათლებაზეც გამოითქვა შენიშვნები. არსებობს ამდენი უნივერსიტეტი, მაგრამ მაინც ცოდნის დეფიციტია.

- გახსოვთ, სააკაშვილის დროს ჩატარდა განათლების რეფორმა, დაარბიეს აკადემია, მწერალთა კავშირი, თსუ - საბჭოთა მენტალიტეტსა და სისტემას ვებრძვითო. შედეგი ის არის, რომ საქართველო განათლების მიხედვით ერთ-ერთი უკანასკნელი ქვეყანაა, ხოლო პირველ ათასეულში არ შედის არცერთი ქართული უნივერსიტეტი.

მოგეხსენებათ, ერთხანს 300-მდე უნივერსიტეტი ჰქონდა ჩვენს ქვეყანას. ახლა მათი რიცხვი დავიდა 60-მდე, მაგრამ გვაქვს 60-ზე მეტი აკადემია და ტელეარხი!

ფორმალურად თითქოს ჰყვავის ქართული კულტურა!

- სხვა დარგებზე მე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მწერლობა რომ კანონგარეშე არის გამოცხადებული, ამას ხომ ყველა ვხედავთ.

- თქვენ მაშინაც მწერალთა კავშირში მუშაობდით, როცა სააკაშვილის სპეცრაზმმა დაარბია მწერალთა კავშირი, გადაყარა მემორიალური ნივთები, სკამები და მაგიდები, ჩაამსხვრია ფანჯრები და აქ პოლიცია იდგა, შემოსვლა ყველას ეკრძალებოდა.

შემდეგ, 2010 წლის იანვარში დაგვიბარეს მერიაში, გამოგვიცხადეს, რომ ორშაბათიდან ბრუნდებით მწერალთა კავშირშიო, გაძლევთ 40 დამლაგებელს, დაადექით თავზე, რათა შაბათ-კვირას მოესწროს შენობის დასუფთავება და გადარჩენილი ნივთების დაბრუნებაო.

მართლაც - იანვრის ორი დღე გაყინულ კედლებში გავატარეთ რევაზ მიშველაძემ, მაყვალა გონაშვილმა, ბაღათერ არაბულმა, დავით შემოქმედელმა და მე. ყველაფერი თითქოს მოწესრიგდა. საღამოს კი კათოლიკოს პატრიარქმა 60 მწერალი მიიწვია ბანკეტზე. მაგრამ ორშაბათს დილით რომ მე და რევაზ მიშველაძე მივედით კავშირის შენობაში, კარი პოლიციამ არ გაგვიღო. თურმე არველაძე მისულა სააკაშვილთან, მათი დაბრუნება როგორ შეიძლება, იქ ხომ ერთმანეთს აბეზღებდნენ მწერლებიო, ასეთი ორგანიზაცია, რომელიც არ ინდობდა საკუთარ წევრებს, როგორ უნდა არსებობდესო, იცრუა თურმე არველაძემ.

ამ ლოგიკით არც პროკურატურა, არც სასამართლო, არც შინაგან საქმეთა სამინისტრო უნდა არსებობდეს, რადგან სტალინ-ბერიას დროს ისინი ასრულებდნენ ცეკას რეპრესიულ დავალებებს.

▸ 2 გვ.

▸ 1 გვ.

- შემდეგ დაარსდა „მწერლის სახლი“, რომელიც ბევრს მწერალთა კავშირი ჰგონია.

- „მწერლის სახლი“ საჭიროა, იგი არის მოსკოვური „ЦДЛ“- ის ანალოგი. მაგრამ ვერ შეცვლის შემოქმედებით გაერთიანებას. მაგალითად, „მწერლის სახლში“, თბილისში, არ მუშაობს არც ერთი მწერალი.

ისინი ერთმანეთს ავსებენ. მაგრამ ერთმანეთს ვერ ცვლიან.

- ახლა ცდილობენ, რომ სარაჯიშვილითა და ხოშტარიათი, მათი სურათებით გადაფარონ გალაკტიონის, ტიციანის, კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილის, გ. ლეონიძის სახელები.

- ეს იმიტომ, რომ ახალთაობას დაავიწყონ თავიანთი კულტურული წარსული, ისტორია, მშობლიური ლიტერატურა. ამიტომაც წაგვართვეს შენობა. სამი წელი გრძელდებოდა სასამართლო პროცესი.

არადა, ყველამ კარგად იცოდა, რომ 1921 წლის 28 თებერვალს სახკომ საბჭოს თავმჯდომარის შალვა ელიავას რეზოლუციით ეს შენობა მწერლობას გადაეცა.

შენობა რომ კანონიერი გზით ვერ წაგვართვა ხელისუფლებამ, ძალადობას მიმართა. ფორმალურ მიზეზად კი გამოიყენეს თამაზ წივწივაძის დაუდევრობა, რომელიც შერჩა თავისი თავის განმადიდებელ ფელეტონებს და დროულად არ გაატარა რეგისტრაციაში მწერალთა კავშირისა და „ლიტერატურული საქართველოს“ შენობები.

სახალხო, კეთილმოსურნე ხელისუფლება არ ისარგებლებდა ამ შეცდომით და ფეხქვეშ არ გათელავდა დიდ ქართულ მწერლობას, თუ არსებული ხელმძღვანელები არ მოსწონდა, არც მათი გადარჩევა გაუჭირდებოდა. მაგრამ აქ მთავარი იყო პრინციპი - საქართველოს არ უნდა ჰქონდეს თავისი მწერლობა, რომელიც შეიძლება შეეწინააღმდეგოს გლობალიზაციას. ჩვენ ხომ განვითარებადი ქვეყანა ვართ, რომელმაც ლ. ბერძენიშვილის სიტყვით, ნამდვილი ლიტერატურა აწი უნდა შექმნას! ამას ამბობს უწიგნური ბერძენიშვილი რუსთაველის და გალაკტიონის სამშობლოზე.

ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლებამ არ აღნიშნა რუსთაველის იუბილე. ხოლო ამ დღეებში დიდი პოეტი შოთა ნიშნიანიძე დააჯერეს აფხაზეთის კულტურის სამინისტროს მცირე კლუბს. ესეც დიდი წვალების შემდეგ. ეს მაშინ, როცა თუ ფული გაქვს, შეგიძლია შენს თავს დაბადების დღე გადაუხადო ოპერის თეატრში.

- ასეთ პესიმიზმს ხომ არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ არაერთი ახალგაზრდა მწერალი მონაწილეობს ფრანკფურტის ყოველწლიურ ბაზრობაზე, რაზეც იხარჯება მილიონები.

- დიახ, ასეთ ბუტაფორიულ ღონისძიებებზე მილიონები იხარჯება, რომელსაც პრაქტიკული შედეგი ჯერ არ მოუტანია. 800 მწერალი, ამდენი სიტყვის ოსტატი შეიძლება მსოფლიოსაც კი არ ჰყავდეს! ფორმალურად თითქოს ასეცაა. მაგრამ მწერალთა გაერთიანება არ ნიშნავს კლასიკოსთა კავშირს. შემოქმედებითი კავშირის წევრია პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი, დრამატურგი, კრიტიკოსი; ზოგი თბილისში ცხოვრობს, ზოგი ქუთაისსა და ბათუმში, ან უცხოეთში; ზოგი ხანდაზმულია, ზოგი - ახალგაზრდა; ზოგი ნიჭიერია, ზოგი - მოხალისე.

ასეთ მოზაიკას ქმნის ეს 800 კაცი.

გარდა ამისა, არავინ იცის, ვინ როდის იტყვის თავის მთავარ სათქმელს, რისი პერსპექტივაც არავის უნდა მოვუსპოთ.

რაც შეეხება ფრანკფურტის ბაზრობას, იქ არ წაუყვანიათ ცნობილი მწერლები, რომელიმე მწერალთა კავშირის წევრი. ვინც წაიყვანეს, იმათ მაინცდამაინც ვერ ასახელეს ჩვენი ლიტერატურა და არავის დიდი ინტერესით არ შეხვედრიან. ამას თავადაც აღიარებენ.

- ბევრი თავს არიდებს მწერალთა კავშირის წევრობას...

დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს ლიტერატურისა და ხელოვნების საქმეში. მაგრამ ჩვენთან არათუ არ ერევა, არამედ - განაგებს და წარმართავს კიდეც, ოღონდ ჭეშმარიტი მწერლების ნაცვლად თავზე ხელს უსვამს ფსევდო მწერლებს „ნაცმოძრაობის“ დამქაშების - ბუღაძეების, ტურაშვილების და შამუგიების სახით. მათთვისაა გზა ხსნილი ფრანკფურტის ბაზრობისკენ.

ერთის მხრივ - დიდი ნაწილის იგნორირება, მეორეს მხრივ - ახალი სახელებისათვის სათბურის პირობების შექმნა. მაგრამ აი, თითქმის ოცი წელია და ეს სათბურის მწერლები ვერ ამართლებენ, თუმცა გადაცდნენ ახალგაზრდობის წლებს.

ახლა მე არ შევუდგები მათ შეფასებას. მაგრამ თუ საჭირო გახდა, არც შავი სამუშაოს შესრულებას დავიზარებ.

მე მიმაჩნია, რომ სახელმწიფო უნდა ქმნიდეს ერთნაირ პირობებს, სასტარტო პირობებს ყველასათვის. ხოლო როცა გამოიკვეთება ცალკეული ტალანტები - მათ ღირსეულად აფასებდეს.

რაც შეეხება წიგნის პროპაგანდას - ესეც მოჩვენებითია. წიგნისადმი გულის აცრუების მიზეზი არის ისიც, რომ ავტორი ვერ ღებულობს თავისი შრომის ანაზღაურებას. მართალია, აქ ძალდატანება შეუძლებელია, არიქა, ამ ავტორის წიგნი იყიდეთო. მაგრამ როცა შექმნილია ეკონომიკური და ინტელექტუალური ატმოსფერო, წიგნს დამფასებელიც გამოუჩნდება და შესაძლებელიც უფრო გახდება ნიჭიერისა და უნიჭოს განსხვავება.

ვერავის აუკრძალავ, გამოთქვას თავისი აზრი. მაგრამ ამ პრეზენტაციებმა ლამის გარყვნას და გადააგვაროს გემოვნება, ლიტერატურული აზროვნება. „ყველა ვარსკვლავია, დიდია, გენიოსია, ყველა წიგნი შედევრია“. ამას ემატება წარსულის არცოდნა.

ასე იქცევიან როგორც ტრადიციონალისტები, ისე ავანგარდისტ-ნატურალისტები. ავტორს რომ ობიექტური აზრი, შენი სიტყვა უთხრა, შეიძლება სამუდამოდ დაკარგო, სულერთია - ახალბედაა იგი თუ პენსიონერი, რომელიც წერას იწყებს შვილიშვილების გასართობად და შემდეგ მწერლის სახელზეც უჩნდება პრეტენზია.

სამწუხაროდ, დამოუკიდებელ საქართველოში სიტყვის თავისუფლებას მოჰყვა კულტურაში არა პროგრესი, არამედ - რეგრესი, როგორც ეს მოხდა განათლების სისტემაში.

ის დრო არ დაბრუნდება, როცა შემოქმედი ხელისუფლებისაგან ყურადღებით იყო გარემოსილი. ასე სჭირდებოდა იდეოლოგიას, თორემ მწერლობის სიყვარულით არავინ ირეოდა.

ახლა, შენ თუ დახმარება არ შეგიძლია, ის მაინც რატომ უნდა წაართვა, რაც არ მიგიცია, თუ სიკეთე გსურს!

- ხშირი კამათის საგანია პრემიების საკითხი. პრემიას მოითხოვს ყველა, არავინ ეძებს ფასიანია თუ ფარატინა ქაღალდია.

- პრემია ნიშნავს ავტორის შრომის დაფასებას. იგი ჯილდოა და იძლევა სტიმულს. მხოლოდ ქაღალდის გადაცემა ჯილდოდ ვერ ჩაითვლება. პრემია უნდა იყოს რეგისტრირებული, გააჩნდეს წესდება, რაც განსაზღვრავს მინიჭების პირობებს.

მწერალთა კავშირს არა აქვს იმის საშუალება, იმის რესურსი, რომ გასცეს ფულადი ჯილდოები. ჩვენ არავინ გვაფინანსებს.

როგორც აღნიშნავენ, დღეს 12 ქართველი ყოფილა მილიარდერი. როგორც ვიცი, არცერთ მათგანს არ გამოუთქვამს სურვილი, რომ ხელი შეეწყო ქართული ხელოვნებისათვის, გარდა ბიძინა ივანიშვილისა.

პეტერბურგში მცხოვრები ბათუმელი ალექსანდრე ებრალიძე, გასცემდა დავით აღმაშენებლის პრემიას საკმაოდ სოლიდური თანხით (ყოველწლიურად - ხუთ პირველი, ათი მეორე და მრავალი პრიზი). მაგრამ არც ძველმა და არც ახალმა ხელისუფლებამ არ მისცა მოქალაქეობა და იმ კაცმაც ხელი ჩაიქნია ქველმოქმედებაზე.

ადრე არსებობდა რუსთაველის პრემიების სახელმწიფო კომიტეტი. იგი გააუქმა სააკაშვილმა. ერთხანს პრემიების გაცემაც შეწყვიტა. შემდეგ აღადგინა პრემიები, მაგრამ უკვე თავად ანიჭებდა კონკურსისა და ჟიურის გარეშე.

წელს გამოცხადდა კონკურსი ეროვნულ პრემიაზე, მაგრამ მთელს კულტურაზე გაიცემა ერთი ან ორი პრემია, რაც აგდებული დამოკიდებულებაა მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი.

სექტანტური სახე აქვს საბას პრემიებს, რომელსაც ერთიდაიგივე პირები ღებულობენ, ერთმანეთს აჯილდოებენ და განადიდებენ. შედარებით ობიექტურია შოთაობისა და საგურამოს პრემიების კომისიები. მაგრამ მცირეა მათი რესურსი და მისი მოპოვებაც უჭირთ.

არ იზამენ, თორემ კარგი იქნება აღდგეს პრემიების კომიტეტი. მაგრამ მაშინ დაიჩაგრებიან ე.წ. სათბურის მწერლები.

სააკაშვილმა წამოსწია მასკულტურა, მასების გემოვნებას და ინტერესებს დაუმორჩილა ლიტერატურა და ხელოვნება. მაგრამ ასეთი ნიმუშები იქმნება და ქრება, მათ არავინ იხსომებს.

ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება.

- როგორ ფიქრობთ, შეიძლება შეიცვალოს მწერალთა მდგომარეობა და გაჩნდეს ინტერესი ლიტერატურისადმი?

- მარჩიელობა ძნელია. მწერლობა შინაგანი, თავისი კანონებით ვითარდება. მაგრამ მას მიმართულებას აძლევს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები. ისინი არაცნობიერადაც ცვლიან მხატვრულ აზროვნებას. კი, ჩვენს არასტაბილურ ქვეყანაში ბევრი მოულოდნელი რამ ხდება, გარეგნულ ფაქტორებს აქვს მნიშვნელობა. მაგრამ ყველაფერს განსაზღვრავს ტალანტი, რომელიც ბრძანებით და ვინმეს ხელშეწყობით არ იქმნება. მე მგონია, ის ახალგაზრდები, რომლებიც ახლა მოდიან პოეზიაში, იგრძნობენ ერის ტკივილებს და შეძლებენ ახალი სიტყვის თქმას.

- ღმერთმა ინებოს. გმადლობთ საუბრისთვის.

ესაუბრა მანანა გორგიშვილი

რეზო სტურუა

ჩემ თაობას

ხურჯინს თავი მოვუკარით
თავის ავლა-დიდებით,
მიგვაქვს მთელი საუკუნე
ზურგზე გადაკიდებით.
ამ ხურჯინში რას არ ნახავ,
რა გსურს, სულო და გულო,
წლები ერთურთს მიწყობილი
მიჯრით, საგულდაგულოდ.
დარდიანი სიბერე და
უდარდელი ბავშვობა,
ბევრი კაი კაცობა და
ბევრიც დედალმაშობა.
ერთი თხილის ცხრად გაყოფა
ნათხოვარი კალოში,
დედოფალი ძველი ფატით,
სიძე მამის პალტოში.
ბევრი გაზულუქებული
უფალს თავს რომ ამადლის.
ბევრიც ქველი, დამნახავი
სიკეთისა და მადლის,
სულგრძელობა, ერთგულება,
თავგანწირვის ტალანტი.
სულმდაბლობა, ზურგში ტყვია,
ძმის და მოძმის ღალატი.
ხმალი, მარჯვედ მოქნეული,
დროშა მძიმედ დახრილი,
ცხელი ცრემლი ლაღ ბიჭების
საფლავებზე დაღვრილი.
ხურჯინს თავი მოვუკარით
თავის ავლა-დიდებით,
მიგვაქვს მთელი საუკუნე
ზურგზე გადაკიდებით.

სირცხვილის დროგი

(უცხოეთში გარდაცვლილ
საშოვარზე წასულ ქართველ ქალს)

დროგმა საზღვარი გადმოლახა
შენი კუბოთი,
ვაი, სიმწრისგან გამეჩხირა
ბურთები ხორხში,
ყვირილი მინდა, რომ არც არა
მომხდარა თითქოს,
ცრემლების ნაცვლად, რომ შებმულა
სირცხვილი დროგში.

უფალი ხედავს, შენი ცოდვით
გასივდა გული,
გასივდა ისე, რომ მკერდშიაც
ვერ ჩავატიე,
აღარას ვამბობ შენს ქმარ-შვილზე,
ძმას თუ მამაზე,
ეს განაჩენი, წამებულო,
მე მაპატიე.

მე ალგეთის ლეკვებს ვწვრთნიდი

მე ალგეთის ლეკვებს ვწვრთნიდი,
ხმალს ვლესავდი მათ ტორებზე
და ვაჩვევდი ველურ ჯირითს
გაუხედნავ ფანტომებზე.
მიყიჟინებს სისხლი უნდა
ან დავეცე, ან აღვზევდე,
უფლის ნებით გზა გავკვალე
რუსთველიდან გალას მზემდე.
წმინდა ნინო მიმიძღოდა
ვაზის დაწნულ ჯვარით ხელში,
სიყვარულით ამაღლებულ
სულს ვარწევდი არწივეთში.
მინამ ყველას პირი უყო
ვინც მომიხდა, ვინც იძალა,
დღესაც ყალყზე შემდგარია
არაგველთა ფიცის ძალა.
მიღალატეს, დამჭრეს ასჯერ,
მაგრამ მაინც გამყავს ხნული,
გულზე მძიმედ მაწერია
წმინდა მეფის სინანული.
მე აკვანში ლომებს ვზრდიდი,
ხმალს ვაკრავდი არტახებით,
რომ თქვენამდე მიწის მადლი
მომეზვინა ჩარდახებით.

ღაღადისი

(გიორგი სააკაძეს)

მამულო ჩემო,
უფალი ხედავს,
ოცნება, ფიქრი
დიდი თუ მცირე,
სიცოცხლე, შვილი,
ბედნიერება,
რაც კი გაგაჩნდა,
შენ შემოგწირე.

სამშობლოვ ჩემო,
იმ ავ ჟამიდან,
თუმცა, სამასი
წელი გავიდა,
ჩემს სიყვარულში
თუ დაეჭვდები,
მე და პაატას
მოგვკლავ თავიდან.

გამარჯვებული

ოკუპანტები
ჩხრეკდნენ ავტობუსს,
ულაწუნებდნენ
მგზავრებს სახეში,
სულ ბოლო რიგში
ისხდნენ მოხუცი
და შვილიშვილი,
როგორც მახეში.

უძლურობამ და
სიფრთხილის შიშმა
მოსრა მოხუცის
ლაღი ბუნება,
წყლიან თვალებით
უთხრა შვილიშვილს:
„ბაბუ, ჩვენც გველის
გალაწუნება“.

და როცა მათი
მოვიდა ჯერი,
ადუღდა სისხლი
ყმაწვილურ მკერდში,
ხანჯალი, ჩუმად
გადამალული,
იმ მოძალადეს
აჯახა ფერდში.

მოკლულის უკან
მდგომმა „სალდათმა“
არ დააყოვნა
პასუხი მკაცრი
და ავტომატის
ჯერით ჩაცხრილა
იმ მთების შვილი,
პატარა კაცი.

...და მომაკვდავმა
უკანასკნელად
თვალი შეავლო
იმ ავ კაცუნებს,
სისხლში შერეულ
ცრემლით აღმოხდა:
„ბაბუ, ჩვენ ვეღარ
გაგვილაწუნეს“.

არჩევანი

მამალი დედალს
სასიყვარულოდ
გადაეფოფრა
ალერსით, ვნებით,
მაგრამ, უეცრად,
პატრონის მიერ
გადმოყრილ საკენკს
ეტაკა გზნებით.
ამის შემყურე
ნორჩმა ყვინჩილამ,
ახედა, თითქოს
ცას საოცნებოდ,
თავისთვის ჩუმად
ჩაილუღლუღა:
ღმერთო, ამ დღემდე
ნუ მაცოცხლებო.

დაბრუნება?

ხევს ჩაწოლილი,
რძისფერი,
„ნისლი ფიქრია
მთებისა“,
სარეცელია
არწივის
ლარად გაშლილი
ფრთებისა.

კვამლი რომ მოჩანს
შორიდან...
ნეტავი, ხომ არ
დაბრუნდა,
ეზო-კარს
მონატრებული,
ქეთელაური
ალუდა.

დილა გონიოს ციხესთან

ალიონის მზის
სხივების შუქზე
ამოიშხვართა
ტალღის ტოტიდან
და დალალები,
ოქროს მძივებით,
გადააფინა
ზღვას აფროდიტამ.

გაშეშებული
ამ საოცრებით,
თითქოს, წაგვერთვა
აზრი-გონიო,
როგორც ბებერი
მეტოქეები,
ვიდექი მე და
იდგა გონიო.

***

ეგდო ფოთოლი გზაზე და
გეგონებოდა თვლემსაო,
თავი წამოყო და მთხოვა:
ნუ დამაბიჯებ ფეხსაო.
ვის შერჩენია ერთი დრო,
მოყვარესა თუ მტერსაო,
ერთ დროს მეც გადმოვყურებდი
ზემოდან ამ სოფელსაო.

კლასიკოსის ახალი ნოველები

მურმან თავდიშვილი

ოთხმოცი წლის შესრულების კვირაძალს სახალხო მწერალმა რევაზ მიშველაძემ წიგნი გამოსცა. იგი ორნაწილიანია. პირველ განყოფილებაში სულ ახალი, ცინცხალი ნოველებია გაერთიანებული, მეორეში — დრამატული ქმნილებანი.

პროზაიკოსს თავისი ნოველური ოსტატობის ნიშა მტკიცედ შეუნარჩუნებია და, თუ არ იცი, რომ 80 წლისაა, აქ წარმოდგენილი ტექსტების მიხედვით ამას ვერ იგრძნობ. და ეგ მაშინ, როცა თვით კონსტანტინე გამსახურდიას ნაწერებსაც კი დაეტყო მხცოვანების მსახვრალი ხელი; სამაგიეროდ, ძალუმად იგრძნობა ასაკით მონაქროლი სხვა რამ — პატრიოტიზმი და გამოუვალი სევდა მამულის სავალალო მდგომარეობის გამო.

ამ ბოლო დროს ამგვარი გულის შემაძოძგინებელი საფიქრალი ხშირად სტუმრობს და წნორის ტოტივით არხევს და ატოკებს ჩვენს მოკალმეს.

ამ პატრიოტულ მონაქროლს ემორჩილება ,,დები იშხნელები". ავტორის მცდელობას, ამ პატრიოტულ ქროლვაში სტალინიც მოაყოლოს, ამაოდ არ ჩაუვლია: იშხნელთა თემა ცინცხალი, დაუმუშავებელი თემაა. იგი ელოდა მწერლის ხელსა და გულს. და ამ ძახილს რევაზ მიშველაძე გამოეხმაურა, დროულად გამოეხმაურა. აღნიშნული თვალსაზრისით, ასევე, საინტერესოა ,,მერი და გალაკტიონი", ,,ვალერიან შალიკაშვილი", ,,ოტია", ,,ჭაბუა"...

მაგრამ მესიტყვე ოდენ იშხნელთა ოჯახის იდილიური სურათით არ იზღუდება. მათი ოჯახის ინტერიერში მთელი იმჟამინდელი ქუთაისი მოჩანს, ილანდება იქაური წესი და კილო, კოლორიტი, იმდროინდელი მოვლენები; თხრობა ბუნებრივია, ძალდაუტანებელი და თანდათან ვიჯერებთ, რომ ,,იშხნელების სიმღერა ოჯახის სავიზიტო ბარათად იქცა".

თითქოსდა თავისთავად ერთვისო ამ ფრაზას ეგ ბუნებრივი სიტყვები, მდინარის ჩქრიალის ასოციაციას რომ იწვევს: ,,და იღვრებოდა სცენიდან ,,სულიკო", ,,ჩემო ციცინათელავ", ,,გახსოვს, ტურფავ?"...

და ცხოვრობდა ქუთაისი თავისი ზომიერადქართული, არისტოკრატიული, იუმორიანი, ავკარგიანი, ,,რავა გეკადრება, შენ არ მომიკვდე, არ გაგიშვათი".

და უცებ ჩაეფინება ამ იდილიაში მხატვრის ფუნჯით შესრულებული ნახატი: ,,იყო გრძელ-გრძელი ქილიკხუმრობით სავსე სადღეგრძელოები, ღამისთევები და დილით თეთრ ხიდზე რწევით მიმავალი ღიღინგამოყოლილი დარდიმანდები; ოკუჯავების ნაქირავებ სახლს ოლღას გამოჩენის დაუღალავ მოლოდინში შუაღამისას გარს უცვლიდა ცხრამეტი წლის ჭყვიშელი გენიოსი და უქიმერიონის დანგრეულ ქონგურებს გაკვირვებული დასცქეროდა ქუთაისის განუყრელი თანამგზავრი — ვერცხლისთავშლოსანი მთვარე".

და იყო კიდევ სხვა მთვარე, უფრო მკაცრი და სახიფათო, რომელიც კარგად ხედავდა იშხნელების საქმიანობას, მათს ავანჩავანს და ეგ იყო სტალინი. იგი ორგზის მიიწვევს თავისთან ჯადოსნურ მომღერლებს და შეეცდება თავისი პატრიოტიზმი იმით მაინც გამოხატოს, მთელ ქვყნიერებას მოასმენინოს მომხიბვლელი ქართული ჰანგები და ქართველი კაცის სახელი ამითაც შორს ,,გასტყორცნოს, გააჯირითოს" (გ. ლეონიძე).

მერი შერვაშიძე და გალაკტიონი ერთმანეთს იქნებ იშვიათად შეხვედრიან, ოღონდ ნოველა ამას რას დაგიდევს! ხალხს ძალუმად სწადია ეგ შეხვედრა ისე რომანტიკულად აისახოს, როგორც თამარ მეფისა და რუსთველის სიყვარული სურს დაიჯეროს. და მწერალიც აგებს ახალ მხატვრულ სინამდვილეს — რეალურზე უკეთესს, ღვთის მიერ მოწყობილზე უმჯობესს. რაღა პორსტმოდერნისტულ ბუნდოვან და ხეიბარ წარმოდგენებს მისდიოს, ხორცს შეასხამს ხალხის ნანინანატრს — ერთმანეთს შეახვედრებს შესანიშნავ წყვილს, იმ შეხვედრას აღადგენს, დრო და ჟამმა რომ გააუქმეს და, თუ ეგ შეყრა მართლა მოხდებოდა, მაინცდამაინც ისე იქნებოდა, როგორც ჩვენმა მესიტყვემ წამოისახა და არა უფრო უკეთესად ანდა სხვაგვარად.

და ზის დიდებულად წარმოსახული არისტოკრატი ქალბატონი დაღლილი მზერით. აჰ, რასა ჰქვია დაღლილი მზერა? ,,დაღლილი მზერა, იცით, რასა ჰქვია? ირგვლივ ყველაფერს რომ თვალი კარგა ხანია შეეჩვია და ახალს არაფერს ელის". მაინც ისეა ყველაფერი მოწყობილი, რომ ქალბატონი ელის თავისი ცხოვრების ბოლო უმნიშვნელოვანეს შეხვედრას, შეხვედრა-შეჯამებას. და ეს შეჯამება საბრალდებო დასკვნასავით ისმის: ,,ბედნიერება ისე შორდება ადამიანს, როგორც რიონის ბორანი შორდება ხოლმე ნაპირს..."

ორი გამორჩეული ქართველის ცხოვრება შეჯამებულია, წერტილი დასმულია, ხოლო მრავლისაღმქმელი მრავალწერტილი — დასამარებული; ყველაფერი გაცხადდა და ჩვენ აღმოვჩნდით მწარე სინამდვილის წინაშე; ბავშვური ილუზიები განიმქრა და რეალობამ ულმობელი ხელი შეგვახო.

,,პატრიოტული სევდა" დავარქვათ იმ გრძნობას, რომლის მწველ მონაქროლსაც ვგრძნობთ ოტია იოსელიანზე შექმნილ ნოველაში. აჰ, ,,პატრიოტული სევდა" რასა ჰქვია? იმას, რომ მამულის მომავალი ბუნდოვნად გეჩვენება და გვირაბის ბოლოს შუქს ვერ ამჩნევ. თითქოსდა ოტია იმედის ერთი მძლავრი ბურჯი ყოფილიყოს, ისე ეხორკლება გულს მისი ავადმყოფობა; ასე გგონია, ოტია კი არა, საქართველოა ავად. ასე ეჩვენება მკითხველს და განზოგადების ეგ დონე კიდევაც არის ავტორის გამარჯვება:

,,— ოტია, შენი ავადმყოფობა რავა შეიძლება, შენი იმედი აქვს საქართველოს.

— რაცხა ვერ ვატყობ, რო საქართველო ჩემ იმედზე იყოს.

— ყველას უყვარხარ. ოჯახი არ არის საქართველოში, შენი წიგნი რო არ ედოს თაროზე.

— ჩემზე ნაკლებად არ იცი, რომ წიგნს დადება კი არა, წაკითხვა უნდა".

აი, განაჩენი ჩვენი ახალგაზრდობის, საზოგადოების, ქვეყნისათვის.

ახლა სხვა კუთხიდან შემოუარა სტუმარმა სნეულ მასპინძელს (საქართველოს):

,,— შენნაირები მოურჩენიათ ქირურგებს? ახლა, სხვათა შორის, მაგ ოპერაციას შეუცთომლად აკეთებენ.

— კი, აბა, კონსტანტინე გამსახურდია, შოთა ნიშნიანიძე და ლევან სანიკიძე ხო მოარჩინეს. ქე არიან ახლა იმქვეყნად საიმედოდ დაბინავებულნი".

კითხულობ ამ ნოველას (ამ ციკლის ნოველებს) და ასე გეჩვენება: თითქოს იქით, იმ ტექსტების მიღმა, ვიღაც ბედასლი შავჩარჩოიან საქართველოს სურათს არხევს, რა არის, მთავარი ყურადღება წარგვტაცოს.

ამ ფონზე სხვაგვარად აღიქმება აწ უკვე ნაქარიშხლარი, ნაბრძოლი და ომმოგებული, ოღონდ ძალუმად ნაბურთავები, დაყრუებულ-დამუნჯებული ცოცხალი კლასიკოსი ჭაბუა ამირეჯიბი, თითქოს სახე და ხატი თავისი ქვეყნისა:

,,— კარგად ყოფილხარ-მეთქი, დიდოსტატო!

— რაღა კარგად, ყურში არ მესმის და ვერ ვლაპარაკობო, დამიწერა".

და წამოსვლის სურათი, თითქოსდა საქართველოსთან სამუდამო გამოსალმება ყოფილიყოს, გრიგოლ ორბელიანის ,,თამარ მეფის სახეს ბეთანიაში" რომ გახსენებს უნებლიეთ:

,,სამჯერ ვაკოცე: შუბლზე, ლოყაზე, მხარზე. ხელზე მინდოდა მეკოცნა, არ დამანება".

ასე დატოვა დაბერებული, მოფამფალებული, სავარძელში მჯდომი, ლამის არის დაშლილ-დარღვეული, ყრუ და მუნჯი. და როგორ არ შეგძრას იმის შეგნებამ, რომ, გინდა—არ გინდა, ამ დროს შენს არსებაში მოძვრება ორბელიანის გულის შემაძოძგინებელი სურათი: მიყრუებულ უღრან ტყეში დანგრეული ტაძარი და ძლივს შემორჩენილი თამარის ფრესკა — სიმბოლო დიადი წარსულისა და უბადრუკი მომავლისა.

,,პატრიოტული სევდა" კიდევ უფრო შორს მიიწევს, მას ნაპირები არ აკავებს, საზღვარ-სამანი მოშლილი აქვს, რადგან მწერალს ამ ბოლოს გრიგოლ ორბელიანივით მიწყივ აწუხებს მთავარი საკითხავი, პრობლემა, რაც მან, მისმა თაობამ მისივე მედროშეობით ვერ გადაჭრა. დიახ, სულ სხვაა, ბევრად უფრო მძიმეა ბაირახტარის ტკივილი. აგერ ამ ტკივილის ჯომოლუნგმაც — ნოველა ,,მაჰიდო". ხომ საინტერესო, იდუმალი სათაურია? მაჰიდო – ასე ეძახიან ინდიელთა პატარა ტომს ამერიკაში, ოჰაიოს შტატში, მიყრუებულ პროვინციაში. ასევე პატარა ერის წარმომადგენელ წაქა ლომოურს ფრიად და ფრიად აინტერესებს მაჰიდოს ტომის ცხოვრება. რატომ? თვითონვე გვიხსნის: ,,მეც პატარა ხალხის შვილი ვარ; მინდა პასუხი გავცე კითხვას, რომელიც ბოლო წლებში დილემად მექცა: როგორ გადაირჩინა თავი ინდიელმა, როგორ გაუძლო ათასწლეულებს და როგორ მოაღწია ჩვენამდე".

ინტერესით ათვალიერებს წაქა საოჯახო ფუსფუსით გართულ მცირეტომელთ:

,,ქალებს ზვიგენის ეშვთა მძივები ჭიპამდე დასთრევდათ. ორი აპაჩი თითისტარის მსგავს თეთრ ჯოხს ხელისგულებით წაღმა-უკუღმა ატრიალებდა. ჯოხს თავი ბულულში ჰქონდა წაყოფილი. მალე ბულულს კვამლი მოედო და ცეცხლმაც იფეთქა. ქალებმა ტაში დასცხეს. აპაჩები ლამაზი ტანების რხევით კარგა ხანს როკავდნენ ცეცხლის გარშემო, ბოლოს ჭამად დასხდნენ. სამი უშველებელი გობით მოიტანეს ათასნაირი ბალახბულახი. ხრაშახრუშით, გემრიელად შეექცეოდნენ... ქოხის წინ ბალახზე ჩამუხლული აპაჩის წინ ტყავის მოკლეშორტიანი უმშვენიერესი გოგონა წამომჯდარიყო და უბუზჰალტერო მკერდი ტატუირების ოსტატისათვის მიეშვირა".

წაქამ ბევრი სხვაც რამ ნახა, თვალსასეირო და საგანგებო.

ერთი სიტყვით, სტუმრის თვალწინ გადაიშალა ცივილიზაციის სცილა — ქარიბდას გამორიდებული და გადარჩენილი მცირე ხალხის იდილიური ყოფა.

პატრიოტს გული სიამით უცემს, იმედი უჩნდება, რომ ამქვეყნად უსაშველო არაფერია და მის პატარა ერსაც არ დაემუქრება გადაგვარებისა და გაქრობის საფრთხე.

დიახ და ოღონდაც, მაგრამ ჯერ სადა ხართ!

თურმე, ყოველივე ეს დადგმული სპექტაკლი ყოფილა, ტურისტების თვალის მოსატყუებლად, გასართობად და გასაბითურებლად.

სტუმრები რომ ორსართულიანი ომნიბუსებით წავიდნენ, წაქა იქვე დარჩა, სოფლის შესავლელთან. მას აღარ ეთმობოდა გადარჩენილი ტომის სოფელი. და მან დაინახა უცნაური სურათი: ,,ჩაჯინს-ჩაჰალსტუხებული აპაჩები მხიარული მასლაათით ჭიშკრისკენ, სხვადასხვა ფერმარკის ჯიპებისაკ-

ენ გამოემართნენ... ჯიპები ერთბაშად მოსწყდნენ მოედანს და ტყვიისფერ ასფალტზე გამწკრივდნენ. წაქა ახლაღა მიხვდა ყველაფერს. აი, თურმე, რატომ არ ისმოდა სოფელ მაჰიდოში ბალღის ტირილი, ძაღლის ყეფა, მამლის ყივილი. თეატრალური მაჰიდო ხვალ დილამდე რჩებოდა ცარიელი ცისა და დარაჯი პოლიციელების ანაბარა".

და გულშეურვებული მწერალი ასე ფიქრობს:

,,რა დღე გელის, ჩემო უბედურო სამშობლოვ!"

მითითებული კლასიკური ნოველა ,,პატრიოტული სევდის" უკიდურესად მკაფიოდ გამომხატველია. იგი ისეთივე გაფრთხილებაა, როგორც 1930-იან წლებში იყო ,,ჯაყოს ხიზნები". მიხ. ჯავახიშვილის მიერ მითითებული საფრთხე თავის დროზე ქართველობამ არ გაითვალისწინა და 1990-იან წლებში სამაჩაბლო დაკარგა; ,,მაჰიდო" უფრო სახიფათო პრობლემაზე მიგვითითებს, სადაც უკვე მთელი ერის ყოფნა-არყოფნაზეა საუბარი. ამიტომაც უკიდურესად საჭიროა ამ ნოველის ყველა ტიპისა და დონის სახელმძღვანელოებში, საგამოცდო მასალებში შეტანა.

მაშასადამე, ამ შედევრს დიდი ეროვნული მისია უნდა დავაკისროთ. იგივე როლი უნდა დაეკისროს ნოველას ,,ვულკანი ბრომო".

აქაც ქართველთათვის საყურადღებო ამბავია მოთხრობილი და გაკეთებულია დასკვნა: ვულკან ბრომოს ყელთან მცხოვრებნი ფერფლსა და ლავასაც არ ეპუებიან, უარს ამბობენ მამულ-დედულის მიტოვებაზე, ხოლო შენ, ქართველო, სამოთხისდარ მიწა-წყალსა ტოვებ და უცხოეთში გარბიხარო?!

რევაზ მიშველაძე რისი რევაზ მიშველაძე იქნებოდა, თავისი ბუნებრივი თვისება — ხალასი იუმორი რომ გადაემალა ჩვენთვის. მწამს: ეგ რომც მოენდომებინა, არ გამოუვიდოდა, ისე ბუნებრივად არის მის არსებაში იგი ფეხმორთხმული. იქიდან ამ თვისებას ნაჯახითაც ვერ ამოძირკვავ. იგი თვით სევდისმომგვრელ ნოველებშიც კი გამოსჭივის, ხოლო საგანგებოდ საღიმილოდ დაწერილ ტექსტებში რაღა იქნება? როგორც ყველგან, ამ კრებულშიც ასეა.

დავიწყოთ ნოველით ,,ეროსი და პარტბიურო".

სახელოვან მსახიობ ეროსი მანჯგალაძეს რა ეპარტბიუროებოდა, ოღონდ იმ დროის საერთო სტილის დაუცველობა არ იქნებოდა და გულში ქილიკჩამდგარი პარტიული აქტივის ხელმძღვანელი ინსპექტორს მთელი სერიოზულობით ეუბნება: ,,საერთოდ, პარტიული მუშაობა მთავარია თეატრში". მერე, როცა შემმოწმებლის სახეზე ვერც ,,ჰო" ამოიკითხა და ვერც ,,არა",კიდევ უფრო მეტი დაბეჯითებით განაგრძო: ,,ვერ წარმომიდგენია, მსახიობმა რამეს მიაღწიოს პარტიული პოზიციის გარეშე; თუ პარტიის გადაწყვეტილებებს არ იცნობ, როლს ხორცს ვერ შეასხამ".

ინსპექტორი ხვდება, რომ ნამდვილად დასცინის მასპინძელი, ენას კბილს აჭერს და მთავარ შეკითხვას უკანასკნელ ტყვიასავით უფრთხილდება, ზოგავს და ინახავს. ეროსიმ კიდევ მეტად გაუტია და გაუტია: ,,მე და ჩემი ბიუროს წევრები რეპეტიციის შემდეგ ვიკრიბებით ამ ოთახში და იმაზე ვმსჯელობთ, როგორ განვახორციელოთ ცხოვრებაში პარტიის გენერალური მიზანდასახულობანი".

მაგრამ ეს ინსპექტორიც კაი შებერტყილია და იმ მომიად გადანახულ ტყვიას აქუხებს: ,, — რეპეტიციამდე არ იკრიბებით?!"

ეროსი ჯერ კიდევ ზღაპრულ რაშზე ზის და თავდავიწყებით მიაქროლებს, რათა ,,პარტიული ბაიყუში" გააოგნოს, კიდევ მეტად გამოათაყვანოს:

,,— ხანდახან რეპეტიციამდეც ვიკრიბებით და რეპეტიციის შემდეგაც. არ არის დღე და საათი, მე რომ პარტიულ საქმიანობაზე არ ვფიქრობდე..."

ინსპექტორი გულში სიცილით იგუდება, ოღონდ ცხენიდან ჩამოხტომა იმასაც ეზარება და ახლა ლამაზი ხელრთვით ჩაწიკწიკებულ ოქმებსა სთხოვს. თაროზე ოქმები არ აღმოჩნდა.

მსახიობი ინსპექტორს, ჯერ რომ ხორხე, მერე ზორგე და ბოლო ხოზე უწოდა, არწმუნებს:

,,— ხორხე, არ დამღუპო, მტრები მყავს, მპარავენ ოქმებს, მერედა რა ოქმებს! მე, საერთოდ, მოწესრიგებული პიროვნება ვარ, პარტიულ დოკუმენტაციას თვალისჩინივით ვუფრთხილდები; არ დამღუპო, ამხანაგო ცოტნე, თუ კაცი ხარ!"

ბოლოს, ყველაფერი რომ გაირკვა და მიხვდა, ,,პარტიული ბაიყუში" ეხუმრებოდა, სერიოზულად სთხოვა: დაწერე, რომ პარტიული მუშაობა ჩაშლილია. ამ საქმიდან ხელის დაბანა მინდა, ამისთვის მცალია მეო?

ინსპექტორმაც გულთან ახლო მიიტანა მისი მხურვალე თხოვნა, შეადგინა მკაცრი აქტი, ოღონდ გაგიგონიათ?! პროექტი თავზე გადაახიეს: როგორ შეიძლება, რომ ჩვენს უპირველეს თეატრში პარტიული მუშაობა ჩაშლილი იყოსო?!

როგორ წესი, სანოველე ფინალი საინტერესოა: ორი კვირის თავზე მსახიობი რაიკომის ბიუროზე დაიბარეს და წარმატებული პარტიული მუშაობისათვის მადლობა გამოუცხადეს.

კლასიკური ნოველის იუმორისტული ფინალით გვაოცებს ,,შიმშილი". აქ ავტორის ნოველისტურ-იუმორისტული ნიჭიერება მკაფიოდ ვლინდება. უმუშევრად დარჩენილი უმაღლესდამთავრებული ცოლი და ქმარი საარსებო სახსარს დაეძებენ. სრულიად შემთხვევით ცოლმა თითქოსდა თარჯიმნის მცირეხელფასიანი ადგილი იშოვა. ამაზედაც გმადლობთ, უფალო! ქმარმა განცხადების მიხედვით დარეკა და თავი მძღოლად გაასაღა. აიყვანეს. ამასაც მცირე, ოღონდ ნაღდი ჯამაგირი დაუნიშნეს. ცოლმა რომ თარჯიმნად გაასაღა თავი, ქმარმა — მელიორაციის ინსტიტუტში მიმიღესო, — წაიტრაბახა.

ბოლოს კი აღმოჩნდება, რომ ორივე ერთსა და იმავე კერძო პირს დაუქირავებია: ქალი — შინამოსამსახურედ, კაცი — პირად მძღოლად. სიმართლეს მაშინ აეხდება ფარდა, როცა ქმარი-მძღოლი, უფროსის ოჯახისათვის განკუთვნილი სურსათ-სანოვაგით დატვირთული, უფროსის ბინის კარზე დარეკავს და ნობათის ჩამოსართმევად საკუთარი ცოლი გამოეგებება.

მწერლის შემოქმედებით გამარჯვებას აქ მხოლოდ სანოველე ფინალის მიგნება როდი განაპირობებს. ამავე დროს, მინიშნებულია იმაზე, რომ ეკონომიკური სიდუხჭირე ზოგჯერ თვითონვე ქმნის და ქსელავს კომიკურ სიტუაციას.

,,სამმაგ ხტომაში" ავტორი კვლავ და კვლავ იცავს საკუთარ სტილს და დაუღალავად იგონებს და აგნებს უცნაურ, არასტანდარტულ სახელებს, ტოპონიმებს და ამით მკითხველს გულს უნათებს, უთბობს. ჩემპიონს სახელად სირანო ჰქვია (შორეულად რომ ერთ საჩოთირო საგანს გვაგონებს), დედაქალაქს — ხოხობეთი; შემოქმედი კვლავ და კვლავ ქმნის ახალ სიტყვებს, ნეოლოგიზმებს: სახე მოემელაო; სხვა ნოველაში მოასასწაულა ფორმა ,,ჩამოაკოკისპირულა".

ამ წიგნშიც ბატიბუტივით არის მიმოფანტული მახვილი თქმები და ზუსტი შედარებები, გულის ნათელს რომ გიპოვის, ისეთი ფრაზები. ზოგ მათგანს მაინც გავუფცქვნათ გემო: აქ გვხვდება ადმირალ სოსო ბუხაიძის სახელობის სკვერი (სოსო ბუხაიძემ ადმირალობა კი არა, ხმელეთზე ცურვაც არ იცოდა); დაუვიწყარია შედარება: ,,ბატიბუტივით ეყარა კუნთები ტანზე". ეგ შედარება სპორტსმენის სხეულს ზედმიწევნით წარმოგვიჩენს.

კრებულის იუმორისტული მწვერვალი ბოლოსათვის შემოვინახე. ,,გულისფიცარზე დასაწერი" მთლად ისეთი სათაური ვერაა, ეგ ტექსტი რომ მოითხოვს, ოღონდ ნუ გეშინია, მკითხველო! რევაზ მიშველაძე ამ შენიშვნას აიტანს. მაშ, ასე: გაბროვოს სატირა-იუმორის ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან ოთხი მწერალი გაგზავნეს — ჩვენი ავტორი და სამი სახელგავარდნილი იუმორისტი: ჟვანეცკი, გორინი და არხანგელსკი. უკვირს ჩვენს ავტორს, თუ რად გარიეს ,,ჯერთ უწვერული" იუმორისტი ამ დიდ სამეულში და ავ ფიქრებს მისცემია: ვაითუ, ,,სატირის სამ ლომს ჩემი სახით ერთი დამწყები მწერალი-კრავი საგანგებოდ მიუგდეს გასაბურთავებლად, გასაშაყირებლად და, ვინ იცის, ეგების, შესაჭმელადაც".

ავტორი, ჯერ ერთი, დიდი სამეულის ისე შთამბეჭდავ პორტრეტებს ხატავს, მგონი, რუსეთშიც არ გაუკეთებიათ მსგავსი რამ, მაგრამ უფრო საგულისხმო სხვა რამეა: ეს ჩვენი უმწიფარი მოენე იმათ შორის ისე გაერია, ,,გნოლის ჯოგსა ვითა ქორი". შემთხვევით რომ ერთი მცირე საკითხი იუმორისტულად გადაუწყვიტა სამეულის წევრებს და ისინი ამით გაოცებული დარჩნენ, შემდეგ გათამამდა და ხმამაღლა შეუძახა — გრაფაში ,,სქესი" თამამად ჩაწერეთ მამრობითი. ნუ გეშინიათ, მაინც არავინ ამოწმებსო!

სამეული ახარხარდა.

გორინმა თვალებიდან ცრემლებიც კი ჩამოიწმინდა.

მეორე ფინდიხიც მალე დააქუხა ჩვენმა ფალავანმა — ახალშეძენილ მეგობრებს თავისი პირველი წიგნის ამბავი უამბო: მესამეკურსელმა იუმორისტული ნოველების კრებული გამოსცა, გახარებულია, ცას ხელს ავლებს. შეხვდა ქუთაისელი თანაკლასელი. დააძრო წიგნი და პომპეზური წარწერით აჩუქა. იმან ფასს დახედა — 20 კაპიკი ღირდა. — რეზოია, — ეუბნება, — საერთო რვეული, დაუწერელი, 40 კაპიკი ღირს, შენ რა დაწერე იმისთანა, რომ 20 კაპიკით ჩამოუფასებიათო?!

სამეული ხომ აცინა და აცინა ამ ამბავმა, მაგრამ ფესტივალზე დამსწრენიც ახარხარა. იმ შეკრებაზე, მოსკოვში რომ ამბავი შეემთხვა, ისიც გაიხსენა: სიჩქარეში შეეშალა და სასადილოში ზანგის მაგიდას მიუჯდა, შეუჭამა კატლეტ-კომპოტი და, როცა ღამისფერკანიანი ბუზღუნ-ბუზღუნით გაიქცა, მერეღა შემაჩნია: იქვე, მეზობელ მაგიდაზე, ხელუხლებლად იდო მისი სადილი.

ერთნაირად ახარხარდნენ ფესტივალი და დიდი სამეული.

ნომინაციაში ,,ეროვნული ანეკდოტი" ასეთი რამ თქვა:

შაქრო ბაზარშია, კაკალსა ყიდის: იქვე ყიდულობს ათად და იქვე ყიდის ათ ლარადვე.

ეკითხებიან, რისთვინ იკლავ ამ სიცხეში თავს, რა მოგება გრჩებაო?!

— მე, შვილოსა, — ამბობს ვაჭარი, — განა ფულის მოგებაი მაინტერესებს. უბრალოთ, კაკლის ჩხრიალი მიყვარსო.

ისევ ტაში და სიცილ-ხორხოცი.

ასე გაუსწორა იუმორის ლომებს მხარი და თვალი ჩვენმა ახალბედა მესიტყვემ.

სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო.

აკი, არც დაუკარგავს!

ეგ ნიჭიერება და ტალანტი იმთავითვე დაეკვება ჩვენს ავტორს და დღემდე, ამ ერთ-ერთ ბოლო წიგნამდე, მოჰყვება.

და გიჩნდება მწვავე წადილი: ცოცხალმა კლასიკოსმა გრიგოლ ხანძთელივით ,,ხანგრძლად" იღვაწოს, ,,ას და ორისა წლისა ჟამთა მიიწიოს, არცა ფერი პირისა მისისა იცვალოს და არცა შეემთხვიოს თვალთა მისთა მრუმედ მხედველობაი".

ღიმილით მკურნალი

ზაალ ნემსაძე

გურამ ქადეიშვილი კონჭკათელი კაცია და გურულის ყველა თვისებას მოჭარბებულად ატარებს. ნაკითხი კაცია.

„ახლა რას კითხულობ, ნესტორიჩ?“ - ვეკითხები ჟამიდან ჟამამდე. „ამ ბოლო დროს რეზოს ვკითხულობ, ბიჭო, მიშველაძეს. ო, რა მიშველმიცინები აქვს, ყველა დაავადებას კურნავს!“

- რა აქვს? - ვერ გავიგე.

- რა და მიშველმიცინი. ხომ არის ერითრომიცინი, სტრეპტომიცინი, ბიომიცინი და რა ვიცი მე, ათასი მიცინის პრეპარატი. მე, ძამა, მიშველიცინი აღმოვაჩინე. წამალს დალევ და კიდე უნდა იავადო. ეს ვიყიდე ერთხელ და როცა მამივლის სიბრაზე, რასაც წნევის აწევა მოჰყვება ხოლმე, მივიღებ მიშველმიცინს, წავიკითხავ ამ კურთხეულს „ლომს“ ან იმას, რა ჰქვია და „ქუჩის საათში წვიმა ატანს“ და ვიცინებ გემოზე. მოდი და ნუ გაიცინებ კოტე წევაძეზე და იოველ ვაჩაძეზე, ანდა ქუჩის მესაათე ივლიანეზე ანდა ვარდების რევოლუციონერ გია მაღლაკელიძეზე... უჰ, რამდენი არიან, ვაცხონე მაგათი შემქმნელის მშობლების სული, მეცინება, მოვდივარ ხასიათზე და ვიღას ახსოვს წნევა და ჩხუბი? ხალხმა წიგნის კითხვას რომ დაანება თავი, იმიტომ მომრავლდა ეს ნაირ-ნაირი ავადმყოფობები. ახლა შენ არსად დაწერო, რომ მე და ჩემსავით ჭკვიანი ხალხი მიშველმიცინებით ვიკურნებით, თორემ ვინ გვაცოცხლებს? შეგვჭამს წამლების მაფია.

- მართალი ხარ, ჩემო ნესტორიჩ, აფთიაქში რომ შეხვიდე და რეზო მიშველაძის ნოველა „ყურის წუილი“ ან „თავდასხმა“ ითხოვო, ყურის ახევა და ნამდვილი თავდასხმა და ლანძღვა-გინება არ აგცდება.

- მანამდე არ აუდგათ გვერდები მაგ აბდლებს. აქეთ მევიდნენ და ვათხოვებ წიგნებს თუ უნდათ თუ არადა ტკვირონ ერთმანეთი, - ხელი ჩაიქნია ნესტორიჩმა.

ღმერთმა ყველა მწერალს უმრავლოს და კარგად უმყოფოს გურამ ქადეიშვილისნაირი მკითხველი!

ერთხელ დილით ადრე დამირეკა.

- რა იყო, რამე ფარსაგი ხომ არ გჭირს? - ვკითხე.

- მატარებელს ჩამორჩენილი კაცივით ვარ, - მეუბნება.

- გაგასწრო? მიდიოდი სადმე?

- არა, სად მივდიოდი, აგერ მიშველაძის ნოველა იწყება ასე.

- რომელი?

- „ყავლგასული“.

- ხო, მახსოვს, - შუბლი მოვისრისე, - ყოველ ემიგრანტზეა, ბონდო გაცელის ფსევდონიმით რომ მოღვაწეობდა, - გავიხსენე.

- ხო, მარა, რავარი დასაწყისია, ა... „მატარებელს ჩამორჩენილი კაცივით ვარ მე“. არ ვიცი მე, როდის არის დაწერილი, მარა მატარებელს რომ ბევრი ჩამორჩა, ამის საძებნელად შორს წასვლა არ არის საჭირო, - მეუბნება ნაღვლიანად.

- შენ ნესტორიჩ, ბილეთი გაქვს და კუპეში ზიხარ თუ?

- მე საერთო ვაგონში ვზივარ ჩემისთანებთან ერთად და ასე მგონია, ჩემი რეზოც აქ შემოვა წუთი-წუთზე. არაა მაგი რბილ ვაგონში წამომკოტრიალებელი კაცი, სადაც ჩვენ ვართ, იქაა მაგიც. ის კი არა, თუ ვინმე ფეხზე დამდგარი ნახა, თავის ადგილს დაუთმობს. ა, რას იტყვი?

- ეგრეა, ჩემო გურამ, მწერალი რომ „წამებას“ გამოატარებს თავის გულს, ელმავალი რომ გაფუჭდეს, ხარივით შეებმება უღელში და ვაგონებს მანამ ათრევს, ვიდრე სული უდგას! - ვეუბნები.

- ე, ეგ რომანი რომ წარედგინათ ნობელის პრემიაზე, ნამდვილად მიიღებდა.

- რაც დღეს შენ მითხარი, ჩემო ნესტორიჩ, ამაზე დიდი პრემია რეზო მიშველაძეს არ სჭირდება!

- „ისე, ჩვენ შორის დარჩეს და, მე ანთიმოზ ივერიელზე ფილმს ვიღებდე, მსხვილი გადამხდელი (გინდაც წვრილი) რა შუაშია?“ - მეკითხება.

- ჰეი, ნესტორიჩ! ან რას მეკითხები ან რა გიპასუხო? -გამიკვირდა.

- მიშველაძის „პეტრე რა შუაშია?“ არ გახსოვს, ძამა? ამ კითხვით ამთავრებს ბატონი რეზო, სად გათვალა, ბიჭოოო!

- რა გათვალა? - მტრისას, ისე ვარ დაბნეული.

- კაცო, ეს ნოველა ხომ გახსოვს?

- მახსოვს.

- ჰოდა, იცი, რას ჩივის ძმა მწერალი? მე ჩემი ერის ჭირ-ვარამზე ვწერდე და მსხვილი გადამხდელი, ბედინამოდე ნობელი რა შუაშიაო.

სიცილი ამიტყდა: - საიდან სად გადავხტი, ძამა, მართლა გურული ყაზახი ხარ.

- ანდა ის ნოველა ხომ გახსოვს, პარლამენტის წევრ არმაზ კიტიაზე რომ აქვს. „რა გინდათ ჩემგან?“ ასე ქვია, ხომ?

- ხო, მახსოვს, მახსოვს.

მართლა გამახსენდა: პარლამენტარი არმაზი ისე გაამწარა ირგვლივ მყოფი საზოგადოების უმადურობამ და სიკეთის არდანახვამ, მიატოვა პარლამენტი, სოფლის მასწავლებელი მაყვალა შეირთო ცოლად და კასპის რაიონის სოფელ ხესუყანაში გადასახლდა.

- ჰა, რას ჩაფიქრდი, ყაზილარო? - მომაძახა ყურმილში, - დეტალებს ჩაუღრმავდი?

- ჰო, - ვეუბნები, - ძაან მაგარი ნოველაა.

- ა, რა წერია ბოლოში, მომისმინე: „ამ ნოველის ავტორმა კარგად იცის, რომ ჩვეულებრივ ასე არ ხდება, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა ხდებოდეს ასე?!“

- რას ამბობ, მასე ათი კაცის გარდა, ყველა გასაქცევია პარლამენტიდან, - გამეცინა.

- უჰ, უკეთესები მოვლენ! მარა ესენი მიწებებული არიან სკამზე. ზოგი მუდმივი წევრია, რაღაი შევიდა შით, აღარ უნდა გამოსვლა.

- ეს ხალხი ითმენს და...

- ითმენს და ქე არიან ივლიანე ვაწაძესავით, ზევით რო ვახსენე „ქუჩის საათში წვიმა ატანს“, იმას ივლიანესავით სულ იქით არაფერი რომ არ ებადა და სახლში შეპარულმა ქურდებმა აქეთ რომ აჩუქეს ოთხასი ლარი, მეიხმარე, ალალია შენზეო.

- ეჰ, ჩემო ნესტორიჩ, სადღა ნახავ ახლა მასეთებს, თავ-ფეხ ფცქვნიან ხალხს.

ახლა თუ რომელიმე ამის წამკითხველს, დიალოგი მე და გურამ ქადეიშვილს შორის ფანტაზიის ნაყოფი გგონიათ, შეგიძლიათ ახლავე გადაამოწმოთ. გადაშალეთ რევაზ მიშველაძის ნებისმიერი წიგნი და თუ თავს ძალას დაატანთ და კითხვას დაიწყებთ, შუა გვერდზეც არ იქნებით ჩასული და მორჩა! მიშველმიცინები ამოქმედდება! ამას მაშინვე იგრძნობთ და თუ თქვენ მეგობარსაც გაუზიარებთ მიშველმიცინზე დამოკიდებულებას, ე, მაშინ მიხვდებით, რომ პოლიტიკაზე ჭორაობას ჭეშმარიტ ლიტერატურაზე სჯა-ბაასი სჯობს. თუ თქვენ იმ მრავალრიცხოვან თანამემამულეთა რიცხვში ხართ, ვისაც ერთნაირად ეშინია წიგნის, თოხის და ტყვიის, მაშინ აგერ ვართ ჭეშმარიტი მკითხველები და შემოგვეხმიანეთ. ისეთ რჩევას მოგცემთ, თოხის და ტყვიისას ვერ შეგპირდებით და წიგნის შიშს კი სამუდამოდ დაგაკარგვინებთ!

ბოლოს კი მინდა შემოგთავაზოთ რეზო მიშველაძის შედევრის, ნოველა „ლომის“ გურამ ქადეიშვილის საყვარელი ადგილები.

- რა ვქნა, ძამა, როცა „ლომს“ ვკითხულობ, ეს არის ჩემთვის პროსპერ მერიმეს და ანტონ ჩეხოვიც, „სამანიშვილის დედინაცვალიც“ და „ღვინის ქურდებიც“. ა, ნახე...

.....

„...ახლაა თავზე საყრელად სამუშაო ადგილები, თორემ იმ წლებში ქუთაისში სამსახურის შოვნა იოლი როდი იყო“. (რ. მიშველაძე. „ლომი“. გვ.5. ტ.1)

„...მეორე დღესვე მთელმა ქუთაისმა იცოდა, რომ ტიტე წევაძემ ლომებს დარაჯად თავისი ძაღლი - ბათურა დაუბა.

...რათ უნდა, შე კვდარძაღლო, ლომს ძაღლის ყარაულობა, ვინ მიეპარება მოსაპარად?

...ქუთაისში რომ არ იზამენ, იმნაირი საქმე არ არსებობს და, რა ღირს თუ იცი, ერთი ლომი?“ (იქვე. გვ. 7)

„...რას ჰქვია, მოკლავენ ამხელა ლომს?

- ლომი რა არის, დაგენაცვლე, სპილოს არ კლავენ ეგენი თუ დაბერდა და ზედმეტი ბარგი გახდა? (იქვე. გვ.9)

„...გესმის?! შენ გეუბნები, ლომიანო!.. სა მიგყავს?!

- საპასპორტოში.

- კი, მარა, მაგან კბენა არ იცის?

- არა, ბატონო, კბენა იცის ძაღლმა, ამან შეჭმა იცის“. (იქვე გვ. 10-11)

„...ტიტემ ლომი იქვე, ასფალტში ამოხრილ პალოზე უფრო მკვიდრად ჩარჭობილ რელსს გამოაბა... სად იყო ასე გამოწერილივით რელსის ნაჭერიო... ასფალტში ღრმად ჩარჭობილი რელსის ნაჭერი ხომ თითქმის ყველა ეზოსა და ჩიხში გვიშლის ნერვებს. მე, რასაკვირველია, არ ვამტკიცებ, თითქოს წინდახედული ადამიანები რელსებს მაინცდამაინც ლომების დასაბმელად ჩაასფალტებენ ხოლმე“. (გვ. 12).

„...ეზოში უნაბის ხეზე რომ აბამდა, სიდედრი გამოვიდა და ნახევრადხუმრობით ჰკითხა სიძეს:

- ისე ვერაფერი გამიხერხე და ახლა ლომი მომიყვანე ხომ? შემჭამოს ეგება.

- ნუ გეშინია, ლომი ლომს არ შეჭამს, - ნახევრად ხუმრობით მიუგო ტიტემ.

ვინც ქუთაისში სიძე-სიდედრის შეხუმრება-შექილიკების ტრადიციას იცნობს, ეს დიალოგი არ გაუკვირდება და ჰოლანდიელთა ცხოვრებაზე დაწერილ ნოველაში კი, შეიძლება, ეხამუშოს მკითხველს“. (იქვე. გვ.14).

„...ტიტემ კარისკენ რომ გააბიჯა, მდივანმა გოგონამ, რომელსაც ტანზე ეტყობოდა, საერთოდ სიდიდეების შიში არ უნდა ჰქონდეს, ლამის ტირილით დააწია:

- ამას? ამას მე მიტოვებთ?“ (იქვე. გვ. 14-15)

„...არა, არა, ტყუილია ყველაფერი... არაფერი უშველის ამ ქალაქს. რა წესრიგი უნდა დავამყარო აქანა. ხო ხედავ, ლომებით დეიწყეს სიარული“. (იქვე. გვ. 17)

„... - უფროსმა, ჩემთან შემოვიდეს, რო მოვაო.

- რა უნდა?

- ვერ გეტყვი... არ უნდა იყოს მთლად კარგად ფაბრიკის საქმე... აღარ უნდა ბანკა საკონსერვოს. რა ჩაასხას შით? ტყემალი კვირტში გეიყინა. გაროხამდე ჯერ ორი თვეა...“ (იქვე. გვ. 19)

- ასეა, ძამა, მიშველმიცინით მკურნალობა, გარდა იმისა, რომ უფრო სასიამოვნოა, ცოტათი მაინც იმაზე კარგ ადამიანადაც გაქცევს, ვიდრე მის მიღებამდე იყავი, - დაბეჭდა გურამმა, დამემშვიდობა და ტელეფონი გათიშა.

28. 09. 2019 წ.

P.S.

გურამ ქადეიშვილი კონჭკათელი კაცია და გურულის ყველა თვისებას მოჭარბებულად ატარებს. ძალიან მინდა, ახლო მომავალში, პირადად გაიცნოს თავისი თაყვანისცემის ობიექტი. თანამედროვეობის უპირველესი მწერალი! ბატონი რეზო კი ჩემზე გაცილებით უკეთესად წარმოაჩენს, მიშველმიცინის აღმომჩენის, თეთრი ულვაშებით და ჭაღარა თმით დამშვენებული ჰაბიტუსის შიგნით, ამ დიდებული პიროვნების, მშრომელი კაცის და უერთგულესი მკითხველის, მიშველმიცინებით გამთბარ სულს.

დავით ზეიკიძე

ხვედრი

მე თვალწინ მიდგას
მრისხანე შაჰი,
უსპეტაკესი
ქალის წინარე.
ქართველობისთვის,
რწმენისთვის სჯიდა,
წინ ცრემლი იყო,
სისხლის მდინარე...
რა შეაკრთობდა
ამაყ დედოფალს?!
ხვეწნა, მუდარა,
ანდა ჯალათი?
გასამხნევებლად
ისიც ეყოფა,
მას რომ მაღლიდან
რწმენა დაჰნათის...
დასთმე ქრისტე და
სცან მუჰამედი,
ყველა სიამის
გაგიღებ კარებს!
ასეთი არის
შაჰის სურვილი,
ტკბილი სიტყვით რომ
ძერწავს იარებს.
ბოღმის კოცონი
ნელა ინთება,
ჯალათი ირგებს
ტანჯვის იარაღს...
შორით გაფრინდა
ქალი ფიქრებით,
ცაზე ღრუბლებად
გადაიარა.
- ვერა, - ამაყად
უთხრა უარი.
- ვერ ვუღალატებ
მზემაღალ ქრისტეს!
ქალის ხმა ისმის,
როგორც გალობა,
ერთგულებას და
სიწმიდეს იტევს...
მერე რა იყო?
წამების წყება:
შანთით დამწვარი
ყველა ნაწილი.
დედოფალს კვნესაც
კი არ დასცდება,
მაინც ფეხზე დგას
ძალაგაცლილი.
- რატომ იხსენებ
შორეულ წარსულს?
მისი ხსენებით
სული ამაღლდა!
უკვდავებასთან
წილნაყარ ასულს,
ქართველობა და
ქრისტე ფარავდა!

მჯერა

რა დაემართათ ადამიანებს?!
რა ლაბირინთით იარეს დღემდის?!
ანგელოზებად ქმნილ ადამს, ევას,
როცა ზურგს აქცევს მაღალი ღმერთი.
მთელი ცხოვრება ტანჯვა-წამებით
გამოიარეს მათ ჯოჯოხეთი,
ბოლომდის მაინც ვერ გაუგიათ,
რას ემართლება, რას ერჩის ღმერთი?!

მიზეზი ამის ნამდვილად იყო,
სიტყვა საქმისგან როცა გაიყო,
განრისხებულმა მოწყალე მამამ
სიტყვის გამტეხი აღარ დაინდო.

დრო მკურნალია ყველა ტკივილის,
ეტყობა, მასაც გული მოულბო,
გადასარჩენად ძე მოუვლინა,
რწმენისკენ უხმობს სამყაროს უნდოს...

გამოჩნდა მხსნელი, მანათობელი,
კაცობრიობის ბნელეთის გზისა,
მოშურნეებმა მესიის მოსვლა,
არა სცნეს, დაგმეს, დაუწყეს კიცხვა...

კარგად იცოდა იუდას განთქმით
დაატყდებოდა უგნურთა რისხვა,
არ უარყვია მისია ღვთის ძეს
მტკიცედ პასუხობს პილატეს კითხვას...

მბრძანებლის გული ბოღმით აღვსილი,
იესოს ჯვარცმით ვერ აღწევს მიზანს;
ქრისტემ წამებით ცოდვა იტვირთა
მკვდრეთით აღდგომით სამყარო იხსნა.

დაუპატიჟებელი სტუმარი

- სტუმარ, ღვთისაა, მობრძანდით, -
არწივმა უთხრა ყვავსაო,
- ყანწი შეუვსეთ, მიირთვით,
ვიცი არ იზამს ავსაო.

შეუსვენებლად დალია,
სუფრას გახედა ღიმილით,
ყვავის ზიზღითა ჩხიკვებმა
ატეხეს ჟივილ-ხივილი.

არ შეიმჩნია წყეულმა,
ილხენს, აცეკვებს პატარძალს,
დროს ელოდება ხელსაყრელს,
ცუდი ზრახვა აქვს მამაძაღლს...

ეს წუთიც დადგა, დედოფალს
ხელი დასტაცა მსახვრალი.
მელიაც თურმე მხარს უჭერს,
შიშით ყველაა დამფრთხალი...

მაგრამ არწივი ფხიზლად დგას,
იგრძნო მომხვდურთა ზრახვანი,
ჩხიკვთა ქორწილის ჩამშლელებს
დააყრევინა ფარ-ხმალი...

ყვავი სასტიკად დასაჯა,
ზედვე დააკლა მელიაც,
თავად ქორწილი განაგრძო,
დიდ გმირებს ასე სჩვევიათ...

ზოგისთვის ეს იგავია,
ზოგისთვის კიდევ ზღაპარი,
ვაჟას დიდ სიბრძნეს ვესესხე,
კვლავ ელავს მისი ლამპარი.

რადგან მას კარგად ესმოდა
მტერს მტრობა უნდა ამგვარი...

მარადისობა

ხანმოკლეობის
არ მეშინია,
ვიცი, სიკვდილი
ვერას დამაკლებს,
პატიოსანი ცხოვრების წესი
ადამიანებს
ღმერთთან ამაღლებს...
მეხსიერების
გავუღე კარი,
მიზეზი, ძმებო,
იცით, რაშია?
ცხოვრება სიბრძნის
წიგნად ვაქციე,
ჟამთა ცვლით სახელს
ვეღარ წაშლიან.

თუკი ავირჩევთ

მგონი შეგნებით მიმდინარეობს,
ქართველის სულის დამახინჯება
ძალიან მიკვირს, რატომ არ გვინდა,
გამოსავალის, ხალხო, მიგნება.

როცა ვიხსენებ, რაც დაგვემართა,
გული დარდით და ბოღმით ივსება,
ქართველი ერი არ იმსახურებს,
ეშმაკის მოდგმამ ხელყოს ღირსება.

საით მივდივართ, ვერ გაგვიგია,
თითქოს გზა წმინდას შეგნებით ავცდით,
აღარ გვაწუხებს მომავლის ბედი,
ქარს გავატანეთ, რაც გვქონდა კარგი.

გამოიღვიძე, ქართველო ერო,
ჩვენ ხომ არა ვართ არავის ვალში,
დავიკაპიწოთ ყველამ ხელები
წინაპრებივით დავუდგეთ მხარში.

გადავარჩინოთ ადათი-წესი,
სინდის-ნამუსი რომ გვქონდეს ჭარბი,
მაშინ აღდგება უფალის რწმენა,
აღარ გვექნება არაფრის დარდი.

თუკი ავირჩევთ ჩვენ ისეთ ბრძენ კაცს,
გულთან მიიტანს ერის ერის ხმის ძახილს
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
საზღვრებს აღვადგენთ არ ვიხმართ
მახვილს.

ბედის ბორბალი

მოყვარეს პირში ვუძრახი,
ვერ შევასმინე სიმართლე;
ადამიანი ვირდება,
როცა მიაღწევს სიმაღლეს...

დარიგება და სწავლება
არ ესმის, არ იზიარებს, -
წინაპრის ადათ-წესები
უზნეოს აღიზიანებს...

ხელაღებული ცხოვრება
ბოლოს ახსენებს იარებს,
ხარბსა, წუწკსა და მამაძაღლს
მოისვრის, მოასრიალებს...

სანაგვის სასაფლაოზე
გულს ვეღარა ჰფენს სიამეს,
იმ დროსა ნატრობს, მისტირის,
როს ჰგავდა ადამიანებს...

ბედის მომჩივანს არ სჯერა,
ბორბალი რომ არ ტრიალებს;
ვაჟკაცებს ღმერთი მფარველობს,
არ სწყალობს ოხერ-ტიალებს!

მგოსნის სიმდიდრე

ბევრს ფიქრობ,
როცა მუზა გაწუხებს,
არ გინდა ვინმე,
განაწყო მტრულად.
და არც ის გინდა,
უსამართლობას
დაემორჩილო
უსიტყვოდ, ჩუმად.
რითმები, როცა
მწყობრად ფრთებს გაშლის,
გადაიქცევი
უმალ ლომგულად.
სიამოვნებას
ისეთს მიიღებ,
ვერ შეაფასებს
ვერავინ ფულად.
სწორედ ეს არის
მგოსნის სიმდიდრე,
ასწიოს თასი
სიმართლის ძმურად,
მთელ სამყაროში
ჭეშმაიტება
თვალდაბინდულმა
იხილოს სრულად.
როგორ ამშვენებს
სიტყვის შუქჩრდილი
ადამიანის
ცხოვრების სურათს.
მაშინ აქვს ფასი
მგოსნის სიცოცხლეს,
ლექსს რომ დაადგამს
სამრეკლოს გუმბათს.

ო, როგორ მინდა

უგნურ ხიზნებმა
შეგნებულად
ჩარაზეს კარი...
წაგვართვეს მიწა,
ცა შემოსეს
სისხლიან კვამლით...
ჩვენი ბრალია,
სამშობლოსათვის
არ დავდეთ თავი...
სინდისის ქეჯნით
მაინც ვცდილობთ
გულმკვდარნი კალმით,-
თეთრი და შავი
გავარჩიოთ
მახვილი თვალით...
ავწონ-დავწონოთ
წარსული, აქმყო
ნათელი თვალით
მერე ვიფიქროთ,
თუ დაგჭირდა
უდაბნოს გავლით,
ვიხსნათ სამშობლო,
ქართველებო,
ერთობის ძალით!
მე არ გიბიძგებთ,
რომ ვინმეზე
ვიყაროთ ჯავრი.
არც იმას ვამბობ,
რომ ქარქაშში
ჩავაგოთ ხმალი.
უნდა შეგვეძლოს
სამშობლოსთვის
გაწირვა თავის.
ნაძრახ სიცოცხლეს
ვარჩიოთ, ვიყოთ
მტრის ხელით მკვდარი.

მარიამ მარჯანიშვილი

ლიტერატურულ-კრიტიკული პასაჟები ემიგრანტის ეპისტოლეებიდან

მისი ცხოვრებიდან ვერც ერთ ფურცელს ვერ ამოვხევთ. ვერც პოლიტიკურსა და ვერც ლიტერატურულ - შემოქმედებით მოღვაწეობის.

გიორგი კერესელიძე შვილი გახლდათ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პატრიოტის მათე კერესელიძის, რომელიც ილიას დავალებით წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართული თეატრის დასაარსებლად გორში დამკვიდრდა. მალე მან აქაური აზნაურის ქალი მარიამ ყანჩელი შეირთო.

სოფელი ახრისი, სადაც კერესელიძეები სახლობდნენ, მეჯვრისხევთან ახლოს მდებარეობს.

,,ჩვენი გვქონდა ჩვენი დედ-მამის სურათი პოეტ იოსებ დავითაშვილის მიერ ამოჭრილი ჩუქურთმიან ჩარჩოში. უკან ეწერა პოეტის სახელით - ჩვენი მშობლებისადმი მიძღვნილი მისი ლექსი. იქნება კიდევ არსებობს. ნუ დაჰკარგავ თუ შენს ხელთ არის. დედა-ენის ძველ გამოცემაში იყო მოთავსებული ი. დავითაშვილის ,,იზარდე, მწვანე ჯეჯილო" - რომელსაც წაძღვნილი ჰქონდა: ,,ვუძღვნი ლეო კერესელიძეს", ხომ არა გაქვს ეს გამოცემა" (სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებულ იაკობ გოგებაშვილის დედაენის 27 გამოცემაში, რომელიც 1976 წელს გამოიცა დავითაშვილის ლექსს ,,ჯეჯილს" ეს წამძღვარება აღარ აქვს).

ჩვენ გვქონდა აგრეთვე ანტონ ფურცელაძის პოემა: ,,თამარ-ღაზნელი", რომელიც მამაჩვენს უძღვნა...

გვქონდა აგრეთვე დედას მოთხრობა: ,,ნენე" - მისი ლამაზი ხელით დაწერილი. ნეტავ ვისა აქვს ეხლა - თუ კიდევ არსებობს?" - წერდა თავის დას გიორგი კერესელიძე.

მათე და მარიამ კერესელიძეები 6 შვილს უზრდიდნენ სამშობლოს (მხოლოდ ერთი ადრიანად გარდაეცვალათ) და ბავშვობიდანვე უნერგავდნენ რწმენას, რომ რუსი საქართველოდან უნდა წავიდეს. მათ ოჯახში შეკრებილი საქართველოს მოწინავე საზოგადოება, რომლებიც საქართველოს ჭირ-ვარამზე მსჯელობდნენ, ახალგაზრდებს კიდევ უფრო უმტკიცებდნენ აზრს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ. ოჯახთან ნათელ-მირონობა აკავშირებდა მწერალ ანტონ ფურცელაძეს, რომელიც ლეო კერესელიძის ნათლია გახლდათ. მისი ორი წლით უმცროსი გიორგის ნათლია იყო ქაიხოსრო ფურცელაძე, ხოლო ერთადერთი ასულის ელენე კერესელიძის კი - აკაკი წერეთელი.

1890 წელს მათე კერესელიძე ოჯახით თბილისში გადასახლდა, სადაც მათი შვილები აქტიურად ჩაებნენ ლიტერატურულ, პოლიტიკურ თუ მებრძოლთა წრეებში. თავდაპირველად ძმები ,,ცნობის ფურცლის" ირგვლივ გაერთიანდნენ და საქართველოში მეფობის აღდგენაზე ოცნებობდნენ, თუმცა სოციალ-ფედერალისტური პარტია, რომლის ორგანოს ზემოხსენებული გაზეთი წარმოადგენდა ავტონომიისა და ფედერალიზმის მომხრე იყო, მაგრამ საბოლოოდ ყველა ერთ საერთო მიზანს ემსახურებოდა: ,,საქართველოს დამოუკიდებლობასა და რუსთა განდევნას"...

ცნობილი დუშეთის საქმის გამო 1906 წელს ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები, მათი დეიდაშვილი ნესტორ მაღალაშვილი მოსალოდნელი დაჭერის შიშით შვეიცარიაში გაიხიზნენ.

რუსეთის მთავრობამ მათ კვალს მალე მიაგნო და შვეიცარიის მთავრობისაგან მოითხოვა სისხლის სამართლის დამნაშავეთა გადმოცემა. შვეიცარიის მთავრობამ ისინი დააპატიმრა, რომელთა საქმეს სასამართლოზე მოწვეულმა საერთაშორისო სამართლის ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ ნისსმა შემდეგი მსჯავრი დასდო: ,,რუსეთი მოტყუებით დადებული და დამტკიცებული 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევით გაბატონდა საქართველოში. მისი ბატონობა უკანონოა და წინააღმდგომი საერთაშორისო სამართლისა. ამიტომ ყოველი მოქმედება ქართველთა ქვეყნის განთავისუფლებისათვის უკანონო უცხო ბატონობისაგან, პოლიტიკური აქტია, და დუშეთის საქმეც. კერესელიძეებისა და მაღალაშვილის გადაცემა რუსეთისათვის ამიტომ უკანონო იქნებოდა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რადგანაც ისინი სისხლის სამართლის დამნაშავენი კი არ არიან, არამედ პატრიოტულ - რევოლუციონური აქტის ჩამდენნი" (ჟურ. ,,ბედი ქართლისა", 39-40, პარიზი., 1962, გვ.11-13).

საერთაშორისო სამართლის ძალით განთავისუფლებული ძმები კერესელიძეები ჟენევაში დამკვიდრდნენ. უფროსმა ძმამ ლეო კერესელიძემ ჟენევის უნივერსიტეტი დაამთავრა და მეცნიერ-იურისტი გახდა, ხოლო გიორგი ქიმიის ფაკულტეტზე სწავლობდა. იგი უკვე ცოლშვილიანი იყო და მის მეუღლეს თამარ ციციშვილს პირველი ვაჟი მათე საქართველოში, ხოლო მეორე ვაჟი ლეო (შინაურობაში ლულუ) ჟენევაში შეეძინა.

ძმებმა კერესელიძეებმა ჟენევაში პეტრე სურგულაძესთან ერთად ,,სეპარატისტთა ჯგუფი" დაარსეს, რომლის ჟურნალი იყო ,,თავისუფალი საქართველო". ჟურნალის რედაქტორები გახლდნენ: პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძეები. მათ ემატებოდათ თანამშრომლებად და ავტორებად მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი და ნესტორ მაღალაშვილი. პაპიროსის ქაღალდზე დაბეჭდილი ყოველთვიური ჟურნალი 24 გვერდიანი იყო. სულ 1913-14 წლებში ჟურნალის 24 ნომერი გამოვიდა.

ამ ჯგუფმა და მისმა ჟურნალმა მოამზადა ქართული აზრი მომავალ დიდ საქმეთა გასაგებად. ,,სეპარატისტთა ჯგუფი", 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ,,საქართველოს განმათავისუფლებელ" კომიტეტად გადააკეთეს.

კომიტეტის წევრებთან ერთად გიორგი კერესელიძე ხან სტამბულში, ხან ლაზისტანში, ბოლოს ბერლინში მუშაობდა, სადაც 1916 წელს მათი ინიციატივით ,,ქართული გაზეთი" დაარსდა. პირველი მსოფლიო ომის დროს ,,ქართული გაზეთი" ბერლინის გარდა, სამხედრო ტყვედჩავარდნილი ქართველებისათვის, იცემოდა აგრეთვე, მის მოკავშირე ქვეყნებში - ავსტრია-უნგრეთში, თურქეთსა და ბულგარეთში. 1916 წლიდან 1917 წლის დეკემბრამდე 39 ნომრის ჩათვლით ,,ქართულ გაზეთს" საერთოდ არ ჰქონდა მითითებული რედაქტორის გვარი, ხოლო 1917 წლის დეკემბრიდან მის დახურვამდე 1918 წლამდე მას უკვე რედაქტორობდა გიორგი კერესელიძე.

1918-19 წლებში გიორგი კერესელიძე მუშაობდა ბერლინში დამოუკიდებელი საქართველოს საელჩოში. საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წლებში იგი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

1932 წელს გიორგი კერესელიძემ გერმანია დატოვა და საცხოვრებლად ქართველთა ეროვნული აქტიურობის ცენტრში - საფრანგეთში გადასახლდა. იგი მეორე მსოფლიო ომის დამთავების შემდეგ აქტიურ პარტიულ საქმიანობას ჩამოშორდა და ფართო ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო.

გასული საუკუნის 60-იანი წლებში, როცა ,,რკინის ფარდა" ჩამოიხსნა ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ სამშობლოში მიწერ-მოწერა განაახლა. 1956 წელს გიორგი კერესელიძე თბილისში მცხოვრებ დას ელენე გლურჯიძეს წერდა: ,,შენი ბოლო წერილი ბერლინში, დაახლოებით, ამ 20-22 წლის უკან მივიღე. დღეს 8 ამ თვის ბარათით უაღრესი ბედნიერება მივიღე. შენ და მეღა დავრჩით ჩვენი დედ-მამიშვილებიდან. ლეომ, იასონმა და ვახტანგმა დაგვაობლეს.

მომწერე ხოლმე ყველა ამბები. აკოცე ყველას ჩვენებს და სთხოვე ხან და ხან მაინც ორიოდე სიტყვით გამომებაასონ. ჩვენი იასონის შვილები რომ დიდად ლამაზნი იყვნენ, ამას ხშირად მიამბობდა ხოლმე ლიზა ჩერქეზიშვილი. ერთი პირობა იასონის ბავშვების ბერლინში ჩამოყვანას ვაპირებდი, ხოლო ბევრმა ჩემგან დამოუკიდებელმა გარემოებამ ხელი შემიშალა. ეხლა არა ვნანობ. საქართველოს თავისი შვილები თვითონ სჭირიან და მათ გაფანტვა დედამიწის ზურგის სხვადასხვა კუთხეებში დიდი ეროვნული დანაკლისია" (ვეზინე 16 თიბათვე 1956).

ცრემლებნაპკურებ პირველ წერილში სიტყვები ძლივსღა იკითხება. ამდენი ხნის მონატრებულ ძმას სურდა ყველაფერი გაეგო მისი ახლობლების ირგვლივ: ,,შენი 3 თებერვლის წერილი დიდი ხანია მივიღე და უღრმესი ბედნიერებით წავიკითხე.

მართალია, ბევრი სამწუხარო ცნობებია შიგ (ვახტანგ ქართველიშვილის, საშა ნათიშვილის, ვანო უთნელიშვილის, ტიტო გურამიშვილის, ნესტორ მაღალაშვილისა და კოხტას შესახებ), მაგრამ შენი სიტყვები, კვლავ მიბრუნებენ ბავშვობისას განცდილ გრძნობებსა და სურათებს. რამდენი ტკბილი და რამდენი მწარე მოგონებანი აღსდგებიან ხოლმე ჩემ თვალთა წინაშე და ჩემი გულის სიღრმეში. ხო, ჩემო ელენე, 13 აპრილს შესრულდება 51 წელი, რაც მე უცხოეთში დავეხეტები ქვეყნიდან ქვეყანაში. მაგრამ განა უკეთესთა უკეთესი ქვეყანა სამშობლოს ადგილს დაიჭერს?!...

მწერ - თბილისს ვეღარ იცნობო. და, განა, საერთოდ საქართველოს კიდევ ვიცნობ, ღმერთმა რომ მისი ნახვა მაღირსოს?! ფიზიკურად შეიძლება ესა თუ ის კუნჭული კიდევ მეცნობოს, მაგრამ მორალურად? ე.ი ნათესავ-მეგობრები და საერთოდ მთელი ერი და მე, 51 წლის დაშორების შემდგომ კიდევ ვიცნობთ ერთი-მეორეს?!

გავიგე ლიზა თურმე კერესელიძის ქუჩაზე ცხოვრობს. ალბად ივანე კერესელიძის სახელობის ქუჩა იქნება. გიგზავნი ერთ ჩემს სურათს 18 წლის უკან გადაღებულს. მას აქეთ დრომ თავისი მსვლელობა განაგრძო და კვალიც დიდი დასტოვა.

შენი ერთგული და მოსიყვარულე ძმა გიორგი კერესელიძე" (ვეზინე 7.03.1957).

ყურადღებას იქცევს ილიას პიროვნებისა და მისი შემოქმედების მიმართ გიორგი კერესელიძის დამოკიდებულება. იგი დას წერდა: ,,ცისკრის" რამდენიმე წერილმა (,,ცისკარი" 5, 1957) ილიას შესახებ დიდათ დამაინტერესა. ილია ჩემთვის ღვთაებრივი მოვლენაა. მან გადაგვირჩინა სიკვდილის პირზე მისული საქართველო. სამწუხაროდ, კიდევ მთელი სიღრმით ვერ ჩავწვდით მისი შემოქმედების უსაზღვრო განძს. ზოგიერთა ნაწერი, როგორც აქაური, ისე მანდაური ქართველებისა მცდარია, ღარიბი. თუნდ მისი ,,განდეგილი" ავიღოთ მაგალითად. აქამომდე არ შემხვედრია არცერთი ისეთი განხილვა, რომელსაც ესმოდეს თუ რა რელიგიურ - ფილოსოფიური აზრი სდევს ამ გენიოსურ ნაწარმოებში.

ესეთი ორიგინალური, წმინდა ილიასებრი განხილვა კეთილსა და ბოროტის შორის ბრძოლისა ვგონებ არავისა აქვს. არც ლაუბერტ'ს, არც ძოლა'ს;არც ტოლსტოის, არც ლერმონტოვს, არც ანატოლ რანცე'ს და არც სხვას" (ვეზინე 11 მკათათვე 1958).

,,წინასწარ კოცნით გიხდი მადლობას ილიას საიუბილეო წიგნისათვის. ილიას ხსოვნა აქაც ვიდღესასნაულეთ. და განა შეიძლება ქართველმა, ვინც ამ სახელის ღირსია, ილია დაივიწყოს?!" (ვეზინე 16.05.1958).

როგორც აღვნიშნეთ, გიორგი კერესელიძე საფრანგეთში დამკვიდრებისას ფართო ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობაში ჩაება. მისი კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე ევროპაში გამომავალ ჟურნალ-გაზეთების გარდა იბეჭდებოდა ამერიკაში დაარსებულ ჟურნალ,,კრებულში": ,,როცა ჩვენ გორიდან თბილისში გადავდიოდით მამაჩემის პატივსაცემლად გორის პატრიოტულმა წრემ მის გარშემო გადააღებინა სურათი. მამა ზის შუაში -გარშემო: ზის მამას მარჯვნივ ნიკო ლომოური; მარცხნივ პავლე ბურჯანაძე; უკან დგანან (მარცხნიდან-მარჯვნივ) კონსტანტინე ცხვედაძე, სიმონ გოგლიჩიძე, ა. თოხაძე, ა. დავითაშვილი, სურათის წინ წამოწოლილია ს. მგალობლიშვილი. ეს სურათი მოთავსებულია ჩრდილო ამერიკაში დაბეჭდილ ,,კრებულში" გრიგოლ (გიგო) დიასამიძის მოგონებებთან ჩართული. დიდი სიმპატიებით იხსენებს გიგო დიასამიძე მამას, ჩვენს ოჯახს, ისევე როგორც ლეოს და მე.

რაც შეეხება სიტყვა კაზმულ მწერლობასა და პოეზიას ყავდათ მათ რამდენიმე დიდი მწერალი: ტოლსტოი, დოსტოევსკი, გოგოლი და შედარებით დიდი ნიჭის პატრონი ლესკოვი და გორკი. სხვები მეორე და მესამე ხარისხის არიან და ისინიც ცოტა.

ბელინსკი ამბობდა პუშკინი, ტოლსტოი, დოსტოევსკი კიდევ არ არის ლიტერატურა. და მართლაც: როდესაც მიიღებ მხელველობაში თუნდა ფრანგთა მწერლობას შედარება აღარ შეიძლება. ეს არის ამოუწურავი სალარო. რუსებმა ვერ მისცეს კაცობრიობას ვერც შოთა, ვერც დანტე, ვერც შექსპირი, მოლიერი, გოეთე, თუგინდ რასინი, მილტონი და უამრავი სხვა. უდიდესი მწერლები რუსებისა რომ აიღო ერთ ,,დონ-კიხოტად" არა ღირან. ყველაზე ნიჭიერი უეჭველად გოგოლი იყო.

და, აი, იმანაც თავი მოიკლა. იმედ გაწყვეტილმა, რადგან მთელი თავის ქმნილებაში ერთი პოზიტიური ფიგურა ვერ იპოვნა. გოგოლი იყო მორწმუნე ქრისტიანი და ის პესიმიზმი, რომელიც გამოსჭვივის მთელს მის ქმნილებაში აუტანელი იყო მისთვის. რუსები ვერც მოგვცემდნენ საკაცობრიო მოტივებს, რათგან მათი ისტორია აღიზარდა ფეოდალიზმის გარეშე.

გარეშე აღორძინებისა. რუსეთში ვერ წარმოიშვა რაინდთა ინსტიტუტი. ქრისტიანული კულტურა მათთვის მიუწვდომელი დარჩა. 24 თუ 25 წლისა ვიქნებოდი, როდესაც რუსული ლიტერატურის ყველა თვალსაჩინო ნაწარმოები თითქმის ზეპირად ვიცოდი. პოეზია თუ პროზა. და, აი 50 წელიწადია რაც ვკითხულობ, ვკითხულობ და არა თუ ვერ ამოვწურე ფრანგების ლიტერატურა არამედ მისი ნაწილიც კი. ესევე შეიძლება ვთქვა ინგლისის, გერმანიის, იტალიის ლიტერატურის შესახებ" (ვეზინე 29.05.1959).

,,მე ქართველად დავიბადე და ქართველად წავალ საიქიოს", - წერდა იგი დას...

,,მოვისმინე ხალხური სიმღერები. სამწუხაროდ უცხო რუსული გავლენა ეტყობა ჩვენს გუნდებს. ჩვენი ლამაზი ეგატო, სტაცცატო'ან-თი შეუცვლიათ, მაგრამ ჩემს გრძნობებს მაინც ეალერსებიან.მდიდარი მუსიკა გვაქვს და დიდი ქმნილებების შექმნა შეიძლება ნიჭიერი კომპოზიტორის მიერ. ამ 12-13 წლის წინათ, აქაურ ოპერის მომღერლებმა შეასრულეს ორიოდე გალობა ფალიაშვილის ოპერიდან ქართულ საღამოზე. მშვენიერი იყო. ბერლინში რომ ვცხოვრობდით, ჩემთან მოვიდნენ გერმანელები და მთხოვეს ფალიაშვილის ოპერის პატიტურა'- ები გადმოწერე და ოპერაში დავდგამთო. მივწერე ცხონებულ ფალიაშვილს. მიპასუხა: მე თვითონ ვაპირებ ჩამოსვლას და მაშინ ვნახოთო. ის აქ აღარ ჩამოვიდა და მისი ოპერებიც უცნობები დარჩნენ".

,,ჩვენი მოცეკვავეები ვნახე, დიდი ხანია ესეთი ეროვნული გრძნობით დაკმაყოფილება არ განმიცდია. საუცხოოდ ცეკვავენ. და, რაც ჩემთვის ,,უმთავრესია". ჩვენი ეროვნული ცეკვის ძველი, რაინდული ტრადიციები, სავსებით დაცული აქვთ. არც ერთ ერს არა აქვს მსგავსი ფოლკლორის ცეკვა. ნინომ 4-ჯერ თუ 5-ჯერ ნახა. მისი მეგობრები აღტაცებულნი იყვნენ. ერთმა ნინოს მეგობარმა ქალიშვილმა ,,ფართო განათლებისა და არტისტულ გემოვნებით მდიდარმა, მითხრა: ქართველები სულ სხვა ხალხი ხართ. თქვენი მანერა, მოძრაობა, ზრდილობა - ყოველი თქვენი რასის არისტოკრატობის მღაღადებელია. ქალი მოცეკვავეების მოძრაობა პლასტიური, მასთან თავდაჭერილი, მამაკაცების ცეკვა მათდამი პატივისცემას და რაინდულ ტრფობას გამოხატავენ და სხვა ქება-დიდება.

ყველა ჩვენმა ნაცნობმა ფრანგმა დიდი ხოტბა შეასხეს, როგორც ჩვენს მოცეკვავეებს ისე თვით ჩვენს ცეკვას. ,,შუცცეს" დიდი ჰქონდათ, სამწუხაროდ, თეატრი, სადაც ცეკვავდნენ, პირველ ხარისხოვანი არ არის. უკეთესი თეატრი რომ ეშოვნათ უფრო დიდი დაფასება ექნებოდათ, თუმც ასეც მშვენიერი ,,კრიტიკა" ჰქონდათ პრესაში. თეატრი, სადაც ცეკვავდნენ, შედარებით მოზრდილია. ვგონებ სამი ათასი ადგილი აქვს. თითქმის ყოველთვის სავსე იყო. პროვინციაშიც დიდი გამოძახილი ჰპოვეს, განსაკუთრებით კი ნიცაში.

ჩემო ელენე რომ იცოდე, რა რიგ მწყურიან თქვენი ნახვა, ნახვა ჩვენი ქვეყნისა. უკვე დიდი ხანია, რაც ფიზიკური ტკივილითა ვგრძნობ სურვილს ჩემი სამშობლოს ნახვისა. თითქოს მთელი ჩემი სხეული მეუბნებოდეს: შენი ძვლები შენს ქვეყანას ეკუთვნიან - ,,იქა ხარ დაბადებული და იქვე უნდა ჩახვიდე საფლავსა" (ვეზინე 16.05.1958).

გიორგი კერესელიძე სიკვდილამე ატარებდა დიდ ეროვნულ მუხტს. მისი ოჯახის ყველა წევრი ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, მაგრამ მათთვის უმთავრესი იყო ქართული ენა და საქართველოს თავისუფლება. იგი უცხოეთის ცის ქვეშ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც იყო ჩართული.

უნდა ითქვას, რომ ეპისტოლეები იმდენად პირადული, ინტიმური სამყაროა, რომ მისი სამზეოზე გამოტანა, ზოგჯერ მართებულადაც არაა მიიჩნეული, მაგრამ ამასთან ერთად, პირადი წერილები აქრობს წლებს, ჩვენს თვალწინ წარმოაჩენს ავტორის ბუნებრივ, შეუფერავ სახეს, მასში ფიქსირებულ წამიერ განწყობილებას. ამავე დროს ეპისტოლეები გვაცნობს ეპოქასაც, აზუსტებს პიროვნების ცხოვრებისა და შემოქმედების უცნობ დეტალებს...

ასეა თუ ისე, ეპისტოლარული სფერო ემიგრანტული მემკვიდრეობის უნიკალური დოკუმენტებია და მასთან მეტად ფასეული ფენომენიც.

ელგუჯა მგელაძე

დამოკლებული შარვალი

სოფელ ქვემო აკეთში ჩემი ბიძის კოტე ღლონტის მეზობლად ცხოვრობდა უაღრესად კეთილსინდისიერი კაცი, ენაკვიმატი ნოდარ ქორიძე. მისი მეუღლე, მკერავი გახლდათ და მათი ახალმოყვანილი რძალიც ამ სპეციალობისა აღმოჩნდა.

შაბათი იყო. სოფელში ქორწილი იმართებოდა და ნოდარმა ახალი შარვალი იყიდა, რომელიც წელზე კარგად ჰქონდა, მაგრამ ძალიან გრძელი აღმოჩნდა. ამას ყურადღება არ მიაქცია, რადგან იცოდა, რომ მისი მეუღლე, ან სულაც რძალი შარვლის დამოკლებას იოლად შეძლებდა.

შინ დაბრუნებულს არც მეუღლე და არც რძალი შინ არ დახვდა. ნოდარი სხვა საქმეზე იყო წასასვლელი, ამიტომ წერილი დაწერა და შარვალთან ერთად თვალსაჩინო ადგილზე დადო. წერილში ეწერა: ,,შარვალი გრძელია, რომელიც ადრე მოხვალთ, 20 სანტიმეტრით დამიმოკლეთო.”

შინ პირველი მისი მეუღლე, ქალბატონი ცუცა მობრძანდა და წერილის წაკითხვისთანავე შარვალი 20 სანტიმეტრით დაამოკლა. ნოდარის წერილის გადაგდება მას არც უფიქრია, ისე გავიდა სახლიდან.

ცოტა ხანში ნუცა (რძალი) დაბრუნდა და წერილის წაკითხვისთანავე ახლა მან დაამოკლა შარვალი კიდევ 20 სანტიმეტრით, რის შედეგადაც იგი მოდურ ,,ბრიჯებად” იქცა.

ასე რომ, ნოდარს ისევ ძველი შარვლით მოუწია ქორწილში წასვლა.

ერთხელაც ნოდართან ბებიაჩემი, პელაკი ღლონტი მისულა ხუთი მანეთის სასესხებლად. ნოდარს მოუსმენია ბებიაჩემისთვის, მერე ცხვირსახოცი ამოუღია და ატირებულა: ,,სად მაქვს, პელაკი, ფულიო!”

ბებიაჩემს შესცოდებია, სამი მანეთი იქვე უჩუქებია. თან შეპირებია, ამ პარასკევს ოზურგეთში ყველს რომ გავყიდი, შვიდ მანეთს კიდევ გაჩუქებო.

ერთხელაც ბატონი ნოდარი დაკრძალვიდან შინ შეზარხოშებული ბრუნდებოდა, ახლადნაყიდი მაკენტოჟის ლაბადა ეცვა, თავისი სოფლის გადმოსახვევთან რომ მოაღწია, უკვე მოსაღამოვდა. ადამიანის ჭაჭანება არ იყო და საკმაოდ ციოდა. მოულოდნელად სამი ახალგაზრდა მისცვივდა ნოდარს და ერთ-ერთმა მკაცრად უბრძანა თურმე, სასწრაფოდ მოგვეცი ფული, ძვირფასეულობა და ლაბადაც გაიხადეო.

ნოდარმა ენამოსწრებულად უპასუხა: „რავა, ძამა, „პლაში“ რომ გევიხადო, გამოზაფხულდა თუ?”

ბიჭებს გასცინებიათ, მაგრამ უბრძანებიათ მაშინ: ოქროულობა და ფული მოგვეციო. ნოდარმა ჯიბეები გამოიბრუნა, მაგრამ ოქროზე რომ არაფერი ვთქვათ, სამი მანეთის მეტი არ აღმოაჩნდა; ნოდარს ჯიბიდან ამოუღია თავისი განუყრელი ცხვირსახოცი და ისე ატირებულა, რომ ცრემლები თურმე ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა! ახალგაზრდებს ძალიან შესცოდებიათ, ფულიც არ წაურთმევიათ და უთქვამთ: აქ დაგვიცადე და თუ ვინმეს რაიმე წავართვით, ნახევარს შენც მოგცემთო.

ბახიბუხას ძვირფასი ჭიქა

10-ოდე წლის წინათ შპს ,,ბახმაროს” ოფისში მდებარე ჩემი კაბინეტისათვის შევიძინე კარგი ფირმის დიდი ტელევიზორი, რომელსაც კომპლექტში ამავე ფირმის DVD-ის ფლეიერი მოჰყვა. რა თქმა უნდა, ეს იმ დროისათვის საკმაოდ ძვირფასი ნივთი იყო, სწორედ ამიტომ მკაცრად გავაფრთხილე ჩემი მოხუცი დარაჯი სანდრო, ამიერიდან უფრო ყურადღებით და რაც მთავარია ფხიზელი ყოფილიყო.

გაგიკვირდებათ ალბათ, დარაჯს რად უნდოდა გაფრთხილება, მისი მოვალეობა ხომ ეს არისო, მაგრამ გამოგიტყდებით, მოხუცს ხშირად უყვარდა დალევა და შემდგომ ტკბილი ძილი. ჩემი ეს მკაცრი გაფრთხილებაც სწორედ აქედან გამომდინარეობდა.

ზემოხსენებულ ტელევიზორს და DVD-ის ფლეიერს რაც შეეხება, მართლაც კარგი ხარისხის ტექნიკა გამოდგა. თითქმის ერთი კვირის მანძილზე მე და ჩემი თანამშრომლები სასურველი გადაცემებისა და ასევე ჩემს მიერ გადაღებული სატელევიზიო სიუჟეტების ცქერით ვტკბებოდით, მაგრამ შეძენილი ტექნიკისაგან მიღებული ეს სიამოვნება ერთ თითქოსდა უწყინარ დღეს შეწყდა.

დილით სამსახურში მისვლისას აღმოჩნდა, რომ შენობის უკანა კარი, გისოსებითურთ გატეხილი იყო.. როცა ჩემი ოთახის კარიც ღია დავინახე, მივხვდი, რომ ჩადენილი ქურდობა ძირითადად ახალშეძენილ ტელევიზორს და DVD-ის ფლეიერს უკავშირდებოდა.

მართლაც ქურდებს ტექნიკის გარდა, მხოლოდ კედელზე ჩამოკიდებული მოზრდილი სარკე და სხვა უმნიშვნელო წვრილმანი ნივთიც ნაეღოთ. გაბრაზებულმა დარაჯს მოვუხმეთ, მანამდე პოლიციის მუშაკებით აივსო შენობა, ხელს არაფერს გვაკარებინებდნენ, ანაბეჭდები რომ არ წაშალილიყო. მე კი დარაჯს გაცეცხლებული ვსაყვედურობდი: მთვრალი იქნებოდი, ჩაგეძინებოდა და აბა რას გაიგებდი-მეთქი. სწორედ ასეთ ბრალდება-თავის მართლებაში ვიყავით მე და ჩემი დარაჯი სანდრო, როცა შემოვიდა ჩვენი ორგანიზაციის მთავარი ბუღალტერი ეკა კუჭაშვილი, რომელსაც ზედმეტ სახელად, რადგან იგი ,,ბახმაროს” ბუღალტერი იყო, ,,ბახიბუხა“ შევარქვით.

ამდენი მილიციელის დანახვამ იგი დააბნია და ხან ერთს, ხან მეორეს ეკითხებოდა: რა ხდება, რა ამბავიაო. როცა შეიტყო ჩვენი ოთახის გაქურდვის ამბავი, ხელები აასავსავა: ერთი წუთით, ერთი წუთითო, ყველანი აქეთ-იქით მისწი-მოსწია და კაბინეტში შევარდა, ჩვენც უკან მივყევით, ვიფიქრეთ, რამე ძვირფასეულობა, ხომ არ ჰქონდა შენახული-თქო. ,,ბახიბუხამ” გამოაღო კარადა და შიგ გაფაციცებით დაიწყო რაღაცის ძებნა, შემდგომ გახარებულმა ჭიქებს შორის შეარჩია კოკა-კოლას მოწითალო ჭიქა, გამოიღო, ღრმად ამოისუნთქა და სათუთად მოეფერა, მერე ჩვენსკენ შემოტრიალდა, ბედნიერი სახით შემოგვხედა, რადგან ქურდს მისი წინა დღით შეძენილი ჭიქა არ წაეღო და მოგვმართა: აბა გისმენთ, რას ამბობდით, რა მოხდა გუშინო?

,,ბახიბუხას” ასეთმა საქციელმა ჯერ გაგვაკვირვა, შემდეგ კი ყველას უნებური სიცილი აგვიტყდა და იმ წამს ლამის მიგვავიწყა მომხდარი ამბავი.

სადავო იარაღები

გომბორის აგარაკზე სახლები ბოლომდე აშენებული და გამართული არ გვქონდა, როცა მე და ჩემმა მეზობელმა ჟორა ბიძიამ, რომელიც ახალი გაცნობილი მყავდა, დავიწყეთ სხვადასხვა იარაღების შეძენა. მალე ხელთ გვქონდა ურო, ჩაქუჩი, ძალაყინი, ხერხი, ცული, ელექტრობურღი, ბრტყელტუჩა, თოხი, ბარი, ფოცხი, წერაქვი და სხვა. მოკლედ, ისე შევედით ზემოხსენებული ნივთების შეძენის აზარტში, რომ ერთი სახეობის იარაღს, ერთს კი არა, რამდენიმეს ვყიდულობდით, ოღონდ ზომითა და ფორმით განსხვავებულს და კოლექციონერობით თავიც კი მოგვქონდა მეზობლობაში.

ერთ მშვენიერ დღეს, ჟორა ბიძია მესტუმრა და შეწუხებულმა მთხოვა, ძალაყინი გამიფუჭდა და მათხოვეო. მისმა ნათქვამმა გამაკვირვა, ძალაყინის გაფუჭება ვის გაუგია? მაგრამ ხომ იცით გამოთქმა “მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო” და მეც იარაღი სიამოვნებით გამოვურბენინე. ვიფიქრე, ეტყობა, კიდევ უფრო დაახლოება-დამეგობრება უნდა და მიზეზად ძალაყინის თხოვება მოიგონა-მეთქი და საკმაოდ მძიმე იარაღი მეზობელს ჭიშკრამდეც კი მივუტანე.

ამ ამბიდან დიდი დრო არ იყო გასული, როცა ძალაყინი დამჭირდა. გამახსენდა, რომ ჟორა ბიძიას ჰქონდა წაღებული. მის ეზოში შესვლისთანავე დავინახე, რომ ჩემი ძალაყინი სახლის კედელთან იყო მიყუდებული. მოვკიდე ხელი და მასპინძელს ვუთხარი: ჟორა ბიძია, ჩემი ძალაყინი მჭირდება და უნდა წავიღო-მეთქი. მან კი, ჩემდა გასაკვირად, მთელი სერიოზულობით მიპასუხა: რას ამბობ, კაცო! ეს ჩემი ძალაყინია, ქარხანა ამ იარაღს მხოლოდ შენთვის კი არ ამზადებსო. თანაც შვილიშვილები დაიფიცა, ეს ძალაყინი რამდენიმე დღეა აქ დევს და მისი ცქერით თვალებში ლამის მაზოლი ამომივიდესო. მოკლედ, ჩემი ძალაყინი არ მომცა, თუ ძალიან გჭირდება, ცოტა ხნით გათხოვებო.

თავიდან მეგონა მეხუმრებოდა, ან სიზმარში ვიყავი, მაგრამ, როცა დავრწმუნდი, რომ ყველაფერი რეალურად ხდებოდა, ძალიან მეწყინა, გავბრაზდი და უკან გამოვბრუნდი.

ამის შემდეგ ორივემ ერთად გადავწყვიტეთ რაიმე განმასხვავებელი ნიშანი დაგვედო ჩვენ-ჩვენი იარაღებისათვის. გავმართეთ ხანმოკლე თათბირი. მიღებული გადაწყვეტილებით, მართალია, ჩემს მანეთიან ძალაყინს საბოლოოდ გამოვემშვიდობე, მაგრამ მაინც წამოვაყენე შემდეგი იდეა: ჟორას იარაღების ტარები ერთი ნახვრეტით, ხოლო ჩემები ორი ნახვრეტით დაგვემშვენებინა. მოკლედ, შეთანხმებისამებრ, დავხვრიტეთ იარაღის ტარები და ნახვრეტებისათვის ფუნქციის მინიჭების მიზნით სახელოსნოებში ლურსმებისგან გაკეთებულ საკიდებზე ჩამოვკიდეთ.

თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ დამშვიდების მაგივრად, მოუსვენრობა დამჩემდა. ყოველდღე ვხედავდი ჟორას სახლის კედელზე მიყუდებულ ჩემს გასაცოდავებულ ძალაყინს. წავთვლემდი თუ არა, მესიზმრებოდა, თითქოს ჩემი ძალაყინი მეძახდა: ელგუჯ! შენი ვარ, შენი ვარ, წამიყვანე, მომაცილე აქაურობას, თორემ ამ კაცმა გამცვითა მუშაობითო! ამის შემდეგ ბნელი ფიქრები თავს არ მანებებდნენ, მიბიძგებდნენ რაიმე ხრიკებით შეთანხმებაში ცვლილებები შემეტანა.

ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი ბიჭი, ალეკო, ჟორასთან გავგზავნე ჩაქუჩისა და ცულის სათხოვნელად. რამდენიმე დღის შემდეგ ამავე მიზნით ალეკო კიდევ ორჯერ გავგზავნე და მეზობლის იარაღებს ერთიანად მოვუყარე თავი. მერე ჩემების მსგავსად, იგივე ზომის მეორე ნახვრეტით გავამდიდრე და ჩემს სახელოსნოში ჩამოვკიდე. იმ ღამეს ძალიან კარგად დამეძინა, თანაც საუკეთესო სიზმრები ვნახე...

რამდენიმე დღის შემდეგ ჟორა წარბაწეული მესტუმრა და მოიკითხა თავისი იარაღები. მე მხრები ავიჩეჩე და მთელი სერიოზულობით ვუპასუხე: რაღაც ვერ ვიხსენებ შენი იარაღების ჩემთან ყოფნას-მეთქი. შემოდი, დაათვალიერე და, შეთანხმებისამებრ, ერთნახვრეტიან იარაღს თუ ნახავ, წაიღე, რად მინდა შენი იარაღი, ხომ ხედავ, ჩემიც რამდენი მაქვს-მეთქი.

ჟორამ საგულდაგულოდ დაათვალიერა კედელზე მრავალ რიგად ჩამწკრივებული ორ-ორ ნახვრეტიანი იარაღები და ერთ ნახვრეტიანი, რომ ვერ აღმოაჩინა, ნიშნისმოგებით მკითხა: შე, კაცო! მითხარი როდისღა მოასწარი ამდენის შეძენაო?! პასუხი არ დავაყოვნე: — ეჰ, ჟორა ბიძია, შენ საჭიროება და ფული თქვი, თორემ რა უნდა ამათ შეძენას-მეთქი.

ამ საუბრიდან არ გასულა ორიოდე დღე და ალეკო კვლავ გავაგზავნე მომცრო ჩაქუჩზე ჟორასთან. მან კი, ერთის ნაცვლად სამი გამოატანა. მეზობლის გულუხვობამ გამაკვირვა, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ეს ხაფანგი იყო. თურმე ერთ-ერთი ჩაქუჩის ტარზე სახელი ჟორა იყო ამომწვარი, რომელიც ჩემი მხედველობის არეალს გამოეპარა. ჩვეულებისამებრ, სამივე ჩაქუჩს მეორე ნახვრეტი გავუკეთე და კედელზე თავისუფალი ადგილის არქონის გამო, სამუშაო მაგიდაზე დავყარე.

არ გასულა დიდი დრო და ჟორაც მესტუმრა. რა თქმა უნდა, ამოიცნო ჩაქუჩზე საკუთარი ხელით ამოტვიფრული წარწერა. როგორც სჩვევოდა ქვედა ტუჩი ბოლომდე გადმოაბრუნა, თავის ქნევით გაურკვეველი ბგერები ჩაიბუტბუტა, ალბათ გულისხმობდა, მე შენ გიჩვენებ სეირსო და შინ წავიდა. მეორე დღეს თავისი გვარის გამგრძელებელი გიალო გამომიგზავნა ხუთი ჩაქუჩის სათხოვნელად. მართალია, გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ უარის თქმა არ გამოდიოდა, ამიტომ ექვსი გავატანე, მალულად გავყევი გიალოს და მათი სახელოსნოს სარკმელთან მივიპარე.ჰოი, საოცრებავ, ჩემი თვალით ნათლად დავინახე, თუ როგორ ოსტატურად მოახერხა ექვსივე ჩაქუჩის ტარს თითო ნახვრეტი, როგორ მარჯვედ გაქლიბა ერთნახვრეტიანად გადაქცეული ჩაქუჩები და როგორ ჩამოკიდა კედელზე.

იმ დღეს დამთავრდა დაზვერვითი სამუშაოები და გამოცხადდა ღია ომი იარაღების მისაკუთრებისათვის. ნათხოვარ იარაღებს მე მეორე ნახვრეტს ვუმატებდი, ის კი დაბრუნებულ, უკვე ორ ნახვრეტიან იარაღს ხერხით აჭრიდა ერთ ნახვრეტს. სწორედ ერთ ასეთ მცდელობაზე, ჟორას ისევ ჩავუსაფრდი და ხერხვისას თავზე დავადექი. ხელი ვტაცე ნახევრად მოხერხილ ჩაქუჩის ტარს და ვითომდა აღშფოთებულმა შევძახე: აფსუს, ჟორა ბიძია! მე შენ კეთილსინდისიერი მეზობელი მეგონე, არცერთი არ მინდა, გჩუქნი ამ იარაღებს-მეთქი და დიდი ნაბიჯებით დავტოვე მისი სახელოსნო.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი იარაღების სამთვიანი მძიმე ომი იმით დამთავრდა, რომ ჩვენი იარაღები დამოკლებული ტარების გამო, თითქმის გამოუსადეგარი გახდა... ბოლოს კი, მიღწეული ზავის შესაბამისად მეზობლების თანდასწრებით არადანი-არჩევანის პრინციპით გავიყავით ჩვენივე ინსტრუმენტები, თუმცა, ჩემი ძალაყინი, ჟორას მეტად პრინციპული პოზიციის გამო, მასთან დარჩა და დღესაც საცოდავად არის მიყუდებული მისი სახლის კედელზე. ახლა თითქოს აღარც მახსოვს ჩემი ეს საყვარელი ნივთი, თუმცა, თვეში ერთხელ მაინც, სიზმარში უთუოდ მახსენებს ხოლმე თავს.



მოაზროვნე შემოქმედის ლიტერატურული პორტრეტი

მალხაზ ბეზარაშვილის მსგავსი პიროვნებები არ იბადებიან, — ჩნდებიან.

მალხაზს 57 წელი შეუსრულდებოდა, როგორც იტყვიან, დაუსწრებლად. სიცოცხლე უდროოდ დაატოვებინეს. სათქმელი უთქმელი დარჩა, ნაწერები - დაუმთავრებელი. იგი ფიქრიანი, უტყუარი კაცი იყო. მან ბევრის თქმა მოასწრო - რამდენიმე წიგნი, წერილები, მოთხრობები... უფრო სწორად, ცოტათი თქვა ბევრი. ძალიან ბევრი დარჩა სათქმელი. "ჩემი ცხოვრების გზა აჭრელე-ბულია შავი ლაქებით", - ვკითხულობთ ნაწერებში.

იგი იყო ლამაზად დაწყებული სიმღერა,რომელიც ლამაზად უნდა დამთავრებულიყო. ვაგლახ, რომ დამთავრებამდე შეწყდა მისი სიცოცხლე. "ბედის სახურავზე ვიჯექ", — ამბობს ერთგან. საქართველოსათვის მოკვდა საქართველოს მტრის ტყვიით. შეხედავ სურათს და 28 წლის ახალგაზრდა შემოგყურებს პა-ტიოსანი თვალებით.

კარგა ხანია წავიდა ჩვენგან. ისე წავიდა, თითქოს თავისი ყოფნა-არყოფნის საკითხი მისივე ჩაურევლად სიკვდილს არ გადააწყვეტინა,თავისი ბედი რიგით მოკვდავთა სიკვდილს არ გაათამაშებინა, ჩვენგან განშორების საკითხს თითქოს თვითონვე უპატრონა. წავიდა ზვიადი სულით. მისი სიტყვებია —"სული გონების საჭეაო".

განათლებით, შემოქმედებით, გემოვნებით ნამდვილი ევროპელი მალხაზ ბეზარაშვილი გარეგნობით, სიდინჯით, დარბაისლობით ნამდვილი აღმოსავლელი, იყო ,კახელი. "ალაზნის ველ-ზე გომბოროს მთები აღმართულა, ვითარცა მხეცთა სამეუფოს თავზე ხელუხლებელი ოქროს მარგალიტიანი გვირგვინი და იქ ფენილ ქვეყანის კუთხეს ქიზიყი ჰქვია", — ასე ეფერებოდა თავის კუთხეს. იგი არა მარტო ეროვნული მწერალია, თვითონაც თავისი ხალხის ხასიათის კეთილშობილურ თვისებათა მაგალითია, რაინდული ბუნების ადამიანი. ამის დასტურია ჩვენს ხელთ არსებული სიკვდილის შემდეგ მისი გამოუქვეყნებელი ნაწერებიდან დედის მიერ თავმოყრილი "აზრები", რომლებიც ბევრ ფიქრს აგვიღძრავს. იგი ახერხებს სიტყვების არა მარტო აზრობრივ შერჩევას, არამედ მათ აკუსტიკურ შეხამებასაც. "აზრები", განწყობილების შესაბამისად, დინჯია და ფიქრიანი. ესაა მეტყველი დუმილი, უხმო ძახილი. კი არ გეუბნება, არამედ გაგრძნობინებს. "მე ვგავარ ერეკლე მეფის ჯაგლაგს, რომელსაც კრწანისის შემდეგ ანანურამდესღა აქვს გასავლელი და ერთი სული აქვს , როდის მოილევს ამ გზასაც ". "აზრების" ერთ-ერთ ღირსებას ნაწერების სისადავე წარმოადგენს. სისადავე, თავისთავად, დიდი ნიჭის ნაყოფია. ემარჯვება ადამიანის სულიერი განწყობილების გადმოცემა. აქვს ზომიერების გრძნობა, რაც ესოდენ საჭირო და აუცილებელია შემოქმედისათვის.

მალხაზ ბეზარაშვილისათვის მთელი ცხოვრება, შემოქმედება და, კერძოდ, "აზრები"გამსჭვალულია პატრიოტული მგზნებარებით, მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით. იგი სამშობლოთი "დაავადებული" კაცი იყო. ლაღია და უკიდეგანო მისი ფიქრები, მუდამ თავს დასტრიალებს საყვარელ სამშობლოს."საქართველო პატიმრობაშია," — მოსთქვამს იგი. სხვაგანაც სხვებთან ერთად გლოვობს:"სისხლის ლოდინში ტირის საქართველო და მის გარშემო ცრემლის ზღვები წუთ-წუთ მაღლდება".

რა აქვთ საერთო ამ სრულიად განსხვავებული ხასიათისა და დანიშნულების ამონარიდებს? — სტილი.

რა აერთიანებთ მათ? — ფილოსოფია, ერთიანად შეკავშირებული ნათელი აზრები. თუნდაც ასეთი:"უკვდავება ადამიანს იმიტომ ეძღვნება,რომ მოკვდავთ არ შეეშინდეთ სიკვდილის."

ავტორს დასმული პრობლემების კვალზე უნდა მოიპოვოს საკუთარი ფილოსოფიური პოზიცია. პრობლემები არა მარტო ღრმად გააზრებულია, არამედ ღრმად განცდილიც. ეს ფილოსოფიური ამონარიდებია, ანუ, ჟანრი-ჰიბრიდი. ცდილობს ჩანაფიქრი ახსნას გონის შემოქმედებითი სახეებით. იგი თავისი აზრების ამოცანად მიიჩნევს, არა მიკროსამყაროს, ანუ საყოველთაო არსის ასახვას, არამედ სამყაროს წინაშე საკუთარი "მე"-ს მიკროკოსმიურ გამომზიურებას. თავისი "მე" ამონარიდების ობიექტურ რეალობაში გადააქვს. მთელ სამყაროს თავს უყრის საკუთარ "მე"-ში და საკუთარ ცხოვრებას გამოხატავს. თვითგამოსახვა მაღალ ფსიქოლოგიურ საფეხურზე დგას. იგი გვმოძღვრავს: "ადამიანო, თუ სიყვარული დაგეუფლა, ყველაფრის ანგარიშ-გაუწევლად მიენდე მას. თავისთავად შეგაქმნევინებს სიკეთესა და მშვენიერებას".

შემოქმედი განიხილავს თავისი სურვილების მექანიზმს, ეძებს თავისი მოქმედებისა თუ უმოქმედობის მოტივებს, დრამატულ ელემენტებს სულიერების სფეროში. როგორც კარგი ფსიქოლოგი, განცდათა განცალკევებულ რეფლექსებს აღწერს. ამას მოჰყვება თვითდაკვირვების ახალი ელემენტი — სინდისის დაუღალავი თვალი, რომელიც თითოეული სიტყვის სიმართლეს, თითოეული მოსაზრების სიწმინდეს, ყოველი გრძნობის ქმე-დით ძალას აკვირდება. თვითგამოსახვა ცნობისმოყვარე თვითგამორკვევის ფარგლებს სცილდემა. იგი წარმოადგენს თვითგამოცდას, თვითსამჯავროს, ხელოვანს, რომელიც საკუთარ თავს ასახავს. აინტერესებს არა მარტო მეთოდი და ფორმა, არამედ თავისი მიწიერი ცხოვრების საზრისი და ღირებულება: "გაიხსენე, რა ხანია, რაც სამემრისოდ სდებ სადღეისოს, რამდენგზის სთხოვე "მაცალეთო" ღმერთებს და რამდენგზის გაცალეს მათაც, მაგრამ ერთხელაც არ ისარგებლე ამით. კმარა! დროა, შეიცნო, ბოლოს და ბოლოს, რომელი სამყაროს ნაწილი ხარ შენ და სამყა-როს რომელი განრიგის ემანაცია .დროა შეიცნო, რომ შენი სიცოცხლე წამია მხოლოდ და თუ ამ წამით არ ისარგებლე, ის გაქრება ისევე, როგორც გაქრები შენ და აღარასოდეს შემოიქცევი უკან".

"აზრებშია" განსახიერებული მისი გონებრივი ცხოვრება. გარეგნულად არაფერია იმაზე ადვილი, ხოლო არსებითად არაფერია იმაზე ძნელი, ვიდრე "აზრების" ამონარიდებზე წერა, რადგან იგი უკიდურესი აზრების გამოთქმით წინააღმდეგობათა, დაპირისპირებათა, უკიდურესობათა, უცნაურობათა სანახაობას წარმოადგენს. მისთვის შრომა ღირსების საქმე იყო, ემსახურებოდა ერთგვარ ძალას, თვით მასშივე რომ ცოცხლობდა. დასმული პრობლემების კვალზე უნდა მოიპოვოს საკუთარი ფილოსოფიური პოზიცია. გარკვეული მიდრეკილება გონებრივი და ფსიქოლოგიური ამბებისაკენ ყოველ ნააზრევში იგრძნობა.

იგი მოაზროვნე შემოქმედია. ბევრი მისი ამონარიდი ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშია, აკმაყოფილებს ქრისტიანული რელიგიის დოგმებს.

მას აქვს განსხვავებული მხატვრის თვალი ამის დასამტკიცებლად რამდენიმე მაგალითიც კმარა: "დრო ბევრ რამეს ბინდში აგდებს, ბევრიც სინათლეზე გამოაქვს", ანდა: "ნისლში ჩანდა, თითქოს ციდან იღვრება სიბნელე" და სხვ. უმეტეს შემთხვევაში საოცარი სიცხადით ხედავს ძნელად დასაძლევ სურათს. ჩემი აზრით, მისი ემოციური მხარე ყველაზე მეტად გონის მრავალფეროვნებაზეა დამოკიდებული. ენა, გარდა აზრის გადმოცემის საშუალებისა, ჟღერითი ფენომენიცაა. ეს კი ინტელექტის პროდუქტი კი არაა, არამედ — ინსტიქტისა. სწორედ ის მადლი, ანუ ჯადო, რასაც "პოეზიის საიდუმლოს" ეძახიან. მან დაისახა რთული და მაღალი მიზანი. სიტყვაში აღმოაჩინა მუსიკის ჟღერადობა და ძალა. სიტყვა მუსიკას დააკისრა სინამდვილესთან მწერლის მხატვრული ურთიერთობის ამოცანა,სამყაროს პოეტური შეცნობის ამოცანა:

"ცა —შავი ნაჭერი, ცისფრად მოწინწკლული.

მიწა —სიბნელე, ადგილ-ადგილ მკვრივი.

სოფელი — სახურავები და ორიოდე განათებული ნათურა".

მალხაზ ბეზარაშვილი იმ პიროვნებად მიმაჩნია, რომელიც ჩვენგან მოგონებებს კი არ მოითხოვს, მოგონებებისაკენ კი არ გვეძახის, არამედ გვიწვევს ცოცხალი საუბრისაკენ ლიტერატურის, ხელოვნების საკითხებზე, დიდი საუბრისაკენ ცხოვრებისეულ საკითხებზე, ჩვენი დროის ადამიანთა ცოცხალი ურთიერთობის საკითხებზე. იგი კვლავ ცოცხლობს, მოქმედებს სამშობლოს, მეგობრობის, სიყვარულის, მაღალი ადამიანური გრძნობების და იდეალების სადიდებლად.

"ქრისტე დაიბადა, მე კი მოვკვდი !"- გვესმის მალხაზის ხმა.

მშვიდობით მალხაზ!

იძინე მალხაზ! შენ ბევრი, ძალიან ბევრი ძილი დაგაკლდა შენს მოუსვენარ და შფოთიან სიცოცხლეში!

ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
საპატიო პროფესორი

ლევან გორვანელი

ცვლადები

ადამიანური ცნობიერება შემთხვევითი გამოვლინებაა. სიცოცხლის პირობებში, სრულფასოვანი ახსნა და განაზრება ხილული სამყაროსა - წარმოუდგენლად მიგვაჩნია, თუმცა კაცობრიობის ისტორია არაერთ მცდელობას გვთავაზობს კონკრეტულ სუბიექტთა მიერ სამყაროს საიდუმლოს შემეცნებისა. მცდელობა მცდელობად დარჩა, ფილოსოფიურმა სისტემებმა ვერ მოგვცა დამარწმუნებელი პასუხები. თამაშობენ ფილოსოფოსები, მოაზროვნისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა თამაში, სიმულაცია, როგორც პარადოქსალური აპათიის შექმნა, სადაც ხედვის პერსპექტივები იმთავითვე დამუხტულია რაციოს ენერგიით.

ჩემი მიზანი არ ყოფილა მოწესრიგებული, კვლავინდებურად სტატიკური ფილოსოფიის შექმნა, რომლის სუბსტანციაც წინამორბედ სისტემათა სინთეზით წარმოდგინდებოდა, არამედ დამოუკიდებელი და თავისუფალი, ამორფული ფილოსოფიის შექმნა განვიზრახე, რადგან თვალი გავახილე და ვთქვი: ცვლადები მოქმედებს.

სამყარო მოწესრიგებული ბირთვია, არა წრიული, არამედ წრფივი მოდინებით ხასიათდება. ადამიანის სხეულებრივი გამოჩენა შემთხვევითობაა, როგორც სულთა პროცესუალური განხორციელება. სამყაროში არსებობს შრეები, ისინი მიემართებიან ერთმანეთს და საკუთარ შრეობრივ ლოკაციებს ჰქმნიან, მათი სვლა წრიულია. შრე უნდა გავიგოთ გალაქტიკად, მათი ცალკეული სხეულებრივი ნაწილები პლანეტებია. ცვლადები მოქმედებენ შინაგანი ენერგიით, რაც სამყაროს ჰორიზონტალურ არამდგრადობას განაპირობებს. შრეებს საზრისული შინაარსი არ გააჩნიათ, რადგან ისინი იგივეობრივ კატეგორიათა ჯამს წარმოადგენენ. ჩვენ ვამბობთ, რომ ცვლადების საშუალებით მსგავსი შინაარსის ნაწილაკები ერთმანეთს მიემართებიან და ჰქმნიან ხილულ ბუნებას, მყოფობის შეგრძნებებსა და პლანეტათაშორის ურთიერთობებს. შრეები ენერგიით აღივსებიან, მაგრამ ეს ენერგია შრეთა ერთმანეთისადმი მიმართების უკუპროპორციულია. ცვლადები განსაზღვრავს შრეთა ურთიერთდამოკიდებულებასა და მათ შინაგან ენერგიას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვამბობ, რომ ცვლადები შრეთა გარეგან ენერგიას ჰქმნიან, თანადროულად ამისა, ჰქმნიან შინაგან ენერგიასაც, მაგრამ შრეთა შინაგანი და გარეგანი ენერგია ერთმანეთისაგან განსხვავდება: პირველი მათგანი გარერეგულირების რეჟიმშია, მეორე მათგანი კი - შიგარეგულირებისა. რამდენადაც ძლიერდება შრეთა შინაგანი ენერგია, იმდენადვე სუსტდება შრეთა გარეგანი ენერგია და პირიქით: რამდენადაც ძლიერდება შრეთა გარეგანი ენერგია, იმდენადვე სუსტდება შრეთა შინაგანი ენერგია. ენერგიის სისუსტისა და სიძლიერის განსაზღვრა ცვლადებით ხდება. ცვლადები არც აღემატებიან ერთმანეთს და არც შეეფარდებიან, მაგრამ, ამავდროულად, ერთმანეთზე ნაკლებნიც არიან და ერთმანეთის ტოლნიც. ცვლადების საშუალებით, შრეთა შინაგან და გარეგან ენერგიათა განსაზღვრება ხდება შემდეგნაირად: შიგა ენერგიას გააჩნია დადებითი და უარყოფითი მუხტი, ისევე, როგორც გარე ენერგიას. შრეთა გარე ენერგიის დადებითი მუხტი მიემართება შრეთა შიგა ენერგიის უარყოფით მუხტს, ხოლო შრეთა შიგა ენერგიის დადებითი მუხტი მიემართება შრეთა გარე ენერგიის უარყოფით მუხტს. პირველის შემთხვევაში, - ჩნდება ბუნება, მცენარეები, ცხოველები; მეორეს შემთხვევაში, - ქრება. საკუთარ შინაარსს ეკუთვნიან და არც ეკუთვნიან, ერთმანეთზე მოქმედებენ. იმავდროულად, გვაქვს შემდეგი პირობა: გარე შრეთა დადებითი მუხტი მიემართოს შიგა შრეთა დადებით მუხტს, ხოლო უარყოფითი - უარყოფითს. პირველის შემთხვევაში, იბადება ადამიანი; მეორეს შემთხვევაში, - კვდება. აღნიშნული პროცესი დინამიურია და ცვლადების საშუალებით ქმედითად ხორციელდება.

ხილული ბუნება მრავალგვარ ვარიაციას განიცდის, იშლება მისი ფორმა, თვითწარმოების რეჟიმშია. ცირკულაციური რეპრეზენტაცია დაკავშირებულია შრეთა შინაგან ენერგიასთან. საზრისი არ გვაქვს, გვაქვს მხოლოდ ცვლადების მიერ შექმნილი ხილვადობა, როგორც ტრივიალური ერთსახოვანება. მეთოდი და ადამიანური ცნობიერება ილუზორულ ჩაკეტილობას წარმოადგენს, რადგან მისი ვექტორი მიმართულია ბუნების სტრუქტურისაკენ. გაქცევის მცდელობის მიუხედავათ, ადამიანი გაუნძრევლად დგას იგივე ადგილზე, ხილული საგნების ტყვეობაშია. ყოფნის დამახასიათებელი სასოწარკვეთილება ადამიანის აზრების იდეალიზირებას ახდენს, რაც გვესახება ხელოვნების სახით. ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული დაკავშირებაა ხელოვნება. ცვლადები ჰქმნიან განწყობებსა და დამოკიდებულებებს, შეგრძნებებსა და სუბიექტურობის მოჩვენებას. კაცობრიობა არც არასოდეს შექმნილა და ვერც ვერასოდეს შეიქმნება ცალკეულ განზომილებაში, რადგან ცვლადები ამის საშუალებას არ იძლევა. სხეული არც მატერიაა და არც იდეა; ის არაზრია: მატერიის სახე აქვს, შინაგან სისავსეს განიცდის, თითქოს ორად გაყოფის მოლოდინშია. სიამოვნება სხეულის დამახასიათებელი თვისებაა. ამავდროულად, სულის განცდა აქვს სხეულს, თითქოს მასში კიდევ რაღაც საკრალური იმალება. მხოლოდ არსებობს მრავალშობილი საგნები, ცვლადების შინაგანი ენერგიის განმახორციელებელი ეგრედწოდებული სუბიექტები, რომელთაც საყოველთაობის პრეტენზია უჩნდებათ. ყოფნაზე ფიქრი თავის მოტყუებაა, რადგან ცვლადები ყოფნამდეა.

დედამიწა ერთ-ერთი შრის ნაწილაკია, ასეთი ნაწილაკები გარეგნულად ჰქმნიან იმიტაციას, რომ სამყაროს ცენტრს წარმოადგენენ, რეალურად, რეალობა არ არსებობს და არარსებაბაც არ არსებობს, როგორც არსებულის საპირისპირო. არსებობს მხოლოდ საპირისპირო, ცვლადების სახით. ამოვარდე ბუნების ,,კანონზომიერებიდან“ - ნიშნავს გახდე ცვლადი. სამყაროს წრფივი სვლა მრავალ შრეთაგან გათავისუფლებისაკენ არის მიმართული, წრე-ბრუნვისაგან გასხლტომაა. ასეთი გასხლტომებით იქმნება სამყაროული პროცესი, როგორც ერთსახოვანი მრავალსახოვანება. წრე იკუმშება და ფართოვდება, ცვლადები მასთან ერთად მოქმედებს, მაგრამ, ამავდროულად, მის მიღმაც. იყო არსებული, ნიშნავს - არ არსებობდე. არარსებობა ყოფადობაა.

ცვლადებით იქმნება დრო და სივრცე, როგორც არაზრი. გათავისუფების შესაძლებლობა უმიზნო სვლაა, პროცესი, ხეტიალი, ბუნების წრიულობისაგან სამყაროს წრფივი ტალღის დაჭერა. შრეთა ნაწილაკებში იქმნება ბუნება, როგორც მრავალშობილ საგანთა სამყოფელი. ცვლადები განაპირობებენ სამყაროს წრფივ განვითარებას, ამავდროულად, შრეთა თვითჩაკეტილობას. იმისათვის, რომ მოხდეს გახსნა, პირველ რიგში, შრეთა ნაწილაკებიდან უნდა დავიწყოთ, რამეთუ დედამიწის მსგავსი მრავალი პლანეტა არსებობს, სადაც ცნობიერების ილუზორულ სიმძლავრეს ადამიანების მსგავსად სხვა არსებებიც განიცდიან, მათაც ადამიანები დავარქვათ, მაგათი დედაც... ბუნებაა, ისინიც გრძნობენ და სტკივათ, ეჭვიანობენ და უყვართ, დროისა და სივრცის შეგრძნებაც აქვთ. ისეთივე ბინძურები არიან, როგორც დედამიწაზე მცხოვრები ადამიანები ვართ. შრეთა ნაწილაკებიდან, რომელთა შიგაენერგია დაკავშირებულია შრეთა გარე ენერგიასთან, ხდება მიმოქცევა. ცვლადები არც ეზოთერულ სისავსეს წარმოადგენს და არც ტრანსცენდენტალური ობიექტის ნაირსახეობაა, არამედ ის ორივე ერთადაა, თან არც არის. ქველი იმიტომ არის ქველი, რომ უპოვარი არის - უპოვარი, მაგრამ თუ უპოვარი არ არის, მაშინ ქველიც არ არის. ქველი და უპოვარი ერთი და იგივეა, თან არც არის.

ადამიანი არის მარტივი არსება, ის შედგება სხეულისა და სულისაგან. გონება გვკარნახობს, რომ სხეული იშლება, გამუდმებითი ნაკლოვანებებით მტკიცდება მისი გარდამავალი შინაარსი, მაგრამ, გასარკვევია, სხეულის შემადგენელი ნაწილები უბრუნდებიან თუ არა თავიანთ პირველად საწყისს. თუ ვიტყვით, რომ სხეული სჭირდება სულს, მაშინ, იმდაგვარად, უნდა ვთქვათ, რომ სული სჭირდება სხეულს; მათი საჭიროება ერთმანეთს ავლენს და განაპირობებს. ცალკეულად დაბადებული არსებები არ არიან ცვლადები, რადგან ისინი სივრცეში განფენილ ნივთებად იშლებიან, თითოეული მათგანი კი - საკუთარ თავს ვერ ავლენს. შინაარსი მთლიანობითი სახით გვეძლევა სხეულისა და სულის დაკავშირებამდე.., ცვლადებია ის, რაც მათ აკავშირებთ - დაკავშირებამდე; დაკავშირების შემდეგი ეტაპი ნაკლოვანებების განდევნაა, თავდაპირველი მთლიანობის დაბრუნება, როგორც ცვლადების არამდგრადი მდგრადობა.

არ არსებობს სულის ძალმოსილება, რომლითაც/რომელშიც სხეულის გამორკვევა ხდება. დაშვება ცვლადების თვითენერგიისა, იმთავითვე უპირისპრდება სულის ქმედითი ენერგიის არსებობას. ჩვენ არ გვაქვს შეხება, რადგან ცვლადები არ ეხება სულს, არც სხეულსა და ბუნებას, არამედ შეხებაა ცვლადები. არ გვაქვს ბუნებრივად არსებული საგნები, რამეთუ ბუნება შრეთა ნაწილაკების ხდომილობაა, შინაგანი დადებითი ენერგიისა და გარეგანი უარყოფითი ენერგიის კავშირი, რაც ხილვადობის გარანტორია. ბუნება განცალკავება და ახლოს მყოფთა დაახლოებაა.

ცვლადები არ არის საზღვარი, არც უსაზღვროება, არც მატერიაა და არც იდეა, არც გონებაა, არც ფორმა, არც სიტყვა, არც დრო და სივრცეა, არც შრეა და არც შრეთა ნაწილაკები, არც სამყაროს წრფივი მოდინებაა და არც შრეთა გარე ენერგია, არც შრეთა შიგა ენერგიაა, არამედ ის ზღვრული თანდგომაა, სამყაროს წრფივ მოდინებას შრეთა წერტილებით განსაზღვრავს; რამდენადაც იზრდება წრფე, იმდენადვე იზრდება წერტილების რაოდენობა მასზე. ცვლადები ზემოქმედებს შრეთა ნაწილაკებზე, მათ გარე და შიგა ენერგიებს განაპირობებს. ცვლადები არ არის უცვლელი არსი, მაგრამ არც ცვლადია, არამედ განფენილია, სივრცეს ჰქმნის მისი განფენილობა, არც სხივია და არც სივრცე. ცვლადები წარმოადგენს სიმრავლეს, მაგრამ თვითონ სიმრავლე არ არის. ის გარეგნულად ბევრია, ამიტომ ვამატებთ ,,ებს“; შეგვეძლო დაგვეწერა ,,ცვლადი“, მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა, რადგან ცვლადები არაერთი და არამრავალია. სიმრავლე ცვლადებიდან იღებს დასაბამს, თუმცა ცვლადები ერთია და თანდგომილად აისახება მრავალში. ცვლადები იცვლება გამოვლინებების მიმართ, მაგრამ ის უცვლელი რჩება საკუთარი თავის მიმართ. უღმერთოა - დასაბამიდან... ის დასაბამი არ არის.

«Литературная Россия»-ს 48 ნომერში წავიკითხე ს. ბერეჟნოის სტატია (წერილი) «Работа над ошыбками» («მუშაობა შეცდომებზე») და გადავწყვიტე, ჩემთვის დამახასიათებელი სიზარმაცე დამეძლია, რათა შემოთავაზებულ «მუშაობაში» ჩემი შესაძლებლობების შესატყვისი მონაწილეობა მიმეღო.

ბოლო დროს რუსეთში ქსენოფობიის იოლად აგორებადი ტალღა რუსულ კლასიკაშიც ეძებს საყრდენს. კერძოდ, ანტიქართულ ისტერიას ახლა ერთი ცნობილი პოეტური სტრიქონი შემოაშველეს. სტატიის ავტორი წერს:

დიდმა პუშკინმა ჯერ კიდევ საუკუნენახევრის წინ შეაფასა ჩვენი სამხრეთელი მეზობლის მედგრობა: «Бежали робкие грузины!»

მე ასოკირკიტა არ გახლავართ და შეცდომაზე მითითებას დავიზარებდი, რადგანაც მას მილიონობით მკითხველი ჩემი მითითების გარეშეც ხედავს. იციან: ეს პუშკინს რომ არ უთქვამს. რუსეთის მწერალთა კავშირის წევრთან კამათში არ შევებმებოდი, რადგან მესმის, რომ მწერალთა რიგებში დღეს ლიტერატურაში გამოცდის ჩატარების გარეშე იღებენ. ამ შემთხვევაში უფრო მეტად მნიშვნელოვანია თავად ამ სალაპარაკოდ გამხდარი ლექსის წარმოთქმის ტონი - გადამთიელების მიმართ ზიზღის ტონი და საკუთარი უპირატესობის ილუზია. ვითომ ასეთი სისინით გადმოფრინდა ეს ლექსი ლერმონტოვის კალმიდან? „ჩვენი დროის გმირის“ წინასიტყვაობაში იგი თავად აღნიშნავდა, „სიტყვის პირდაპირი (ბუკვალური) მნიშვნელობით გაგებისადმი საბედისწერო მიმნდობლობის შესახებ ზოგიერთი მკითხველისა და ჟურნალებისაც კი“.

მე მგონია, ჩვენს ზოგიერთ განმარტებათა მთავარი შეცდომა პოეტური ინტონაციის დამახინჯებაში მდგომარეობს, რასაც შედეგად თავად კლასიკოსების იერსახის დამახინჯებაც მოჰყვება.

გამოდის, რომ ლერმონტოვი „ანტიქართველია“, თუკი ასეთები მასთან კავშირს ეძებენ? ჰა-ჰა! ადექით და წაიკითხეთ ყურადღებით, თუნდაც „დემონი“, საიდანაც თქვენი მოსაზრებების ვითომდა მტკიცებულებებს ეზიდებით. (თუმცა, ჩვენი ბუნების მცოდნე პირველწყაროდ თავისიანებს მოწყვეტილ ვინმე სამხედროს - კირილიჩს ასახელებს, რომელიც მწერლის განმანათლებელ მხდალების დასარბევად კოდორის ხეობაში შეღწევას ცდილობს: „გახსოვს, პუშკინთან: бежали...“) იმავე მეთოდით არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს პუშკინიც ანტისემიტად წარმოვადგინოთ, ვთქვათ, თუნდაც ლექსით «Ко мне постучался презренный еврей». «Презренный» იგი პუშკინისთვის კი არ არის, არამედ იმ დროის გარკვეული წრისთვის. ლერმონტოვი კი - რის უფლებას აძლევს თავს? «Безмолвно жидовка у двери стояла...»; «И два жида считают злато...» და ასე შემდეგ. გაიხარეთ, ვინც ამაში ძაგებას ამოიკითხავთ, - ლერმონტოვი ჩვენთან არის! მაგრამ ფაქტები რომ არა, არ ატარებდნენ ეს სიტყვები ძაგების ელფერს - იმხანად. მათი აზრობრივი „გამდიდრება“ გაცილებით მოგვიანებით შედგა და ისიც არა ყველგან. ამ დროს კი კავკასიაში სწორედაც დამპყრობლებს არ სწყალობდნენ. მოწმე - იგივე ლერმონტოვია:

Там в колыбели песни матерей
пугают русским именем детей.

ჰოდა რა, - განვაზოგადოთ ყველა დროისთვის?

შეცდომების თავიდან ასაცილებლად ურიგო არ იქნებოდა გვახსოვდეს, რომ სიტყვაც ცოცხალია, როგორც ადამიანი. იგი ისტორიულ სივრცეში მოძრაობს, იცვლება მისი ელფერი, მისი აზრობრივი მიმართებებიც კი, ხან იქით ხან აქეთ. მაგალითად, ლესკოვთან მსახური ქალი პატიებას სთხოვს თავის ქალბატონს მისი დავალების შეუსრულებლობის გამო: «Виновата, матушка, запомнила-с»... ორი საუკუნის წინ «запомнить» ნიშნავდა სრულიად საპირისპიროს - забыть! (და ჩემი გემოვნებით სიტყვის შინაგანი ფორმით უფრო ლოგიკურია სწორედაც «запомнить» - აღმოჩნდე за-памятью (მეხსიერების მიღმა). ცხადია, განსაზღვრა «робкие» (მფრთხალი) არასოდეს იქცევა (გულადად) «храбрые»-დ, თუ არა ბრჭყალებში აღებული. მიუხედავად ამისა ლერმონტოვის პოემის კონტექსტი არ გვაძლევს განზოგადოების უფლებას. გავიხსენოთ ეს ეპიზოდი. ქორწილში მიმავალი საცოლისათვის განკუთვნილ მდიდრული საჩუქრებით დატვირთულ ქარავანს წინ მიუძღვის საქმრო-თავადი. იგი აქ ერთადერთი შეიარაღებული მეომარია. საღამოვდება. და როდესაც სიბნელიდან გასროლის ხმა გაისმის,

Отважный князь не молвил слова;
В руке сверкнул турецкий ствол,
Нагайка щёлк – и как орёл
Он кинулся... и выстрел снова!

აი, სწორედ აქ გაიქცნენ, გაიფანტნენ აქეთ-იქეთ შეუიარაღებელი მეხრეები - არა იმდენად მფრხთალები, რამდენადაც მოულოდნელობისგან «შემკრთალები». ვთქვათ, შესაძლოა, რუსები ნაკლებად მკვირცხლები აღმოჩენილიყვნენ და აქეთ-იქეთ არ გაქცეულიყვნენ. მაგრამ საბოლოო შედეგი იგივე იქნებოდა.

Разграблен пышный караван;
И над телами христиан
Чертит круги ночная тьма.

აღსანიშნია, რომ ყველა მექარავნე არ გაქცეულა, ბევრი დაიღუპა. ამ დროს თავადს რა ბედი ეწია - ქართველს, სხვათა შორის, თუმცა კი გულადს? იგი დაჭრილია უკვე ორი მოულოდნელი გასროლით, ერთგულ ცხენს შეეძლო მისი გადარჩენა, მაგრამ...

Скакун лихой, ты господина
Из боя вынес как стрела,
Но злая пуля осетина
Его во мраке догнала!

ერთ კვანძად შეიკრა სიმამაცე, შიში და ვერაგობა. და ლერმონტოვი გაურბის განზოგადოებებს: არ უწოდებს, მაგალითად, ყველა ოსს ღამის ყაჩაღებს. ჩვენი განმარტებელი თითქოს და იმ ოსური ხროვიდან, გამოჰყვირის დღევანდელობაზე: Бежали робкие грузины! (გარბოდნენ მხდალი ქართველები!) თუმცა ქარავნების მეხრეებად ქართველ თავადებს, როგორც წესი ოსები ჰყავდათ. თუმცა ლერმონტოვთან არც ჩერქეზები იყვნენ მფრთხალები, მიუხედავად იმისა, რომ მთელი პოემის მაგვარი რამ დაწერა იმაზე, თუ როგორ

Гарун бежал быстрее лани,
Быстрей, чем заяц от орла;
Бежал он в страхе с поля брани,
Где кровь черкесская текла.

არც ამჯერად გვაქვს საბაბი ზეიმისთვის («Веселился храбрый росс!»), რადგანაც აქ - არა წესია, არამედ გამონაკლისი, კერძო შემთხვევა, ისევე, როგორც გაქცეული აქლემის მეხრეების შემთხვევაში.

სიტყვა, როგორც უკვე ითქვა, დროის მოსახვევებში განათების სხვა კუთხეს იძენს. ნიშნავს კი ეს, რომ კლასიკის ეგრეთწოდებული ახლებური წაკითხვის შესაძლებლობები უსაზღვროა? ალბათ არა. არა მგონია. პოსტმოდერნიზმის არც თუ შორეული მეხსიერების გამოცდილება ამას არ გვიდასტურებს. ამ ყმაწვილებს კლასიკური სტრიქონებიდან კი არ გამოჰქონდათ აზრი, არამედ პირიქით - შეჰქონდათ: მოვიყვან მაგალითს ვ. ოგრიზკოს «Лексикона»-დან: იური მამლეევი გოლოვინს მეტაფიზიკური მეტაფორის პოეზიის ნათელ გამომსახველად მიიჩნევს. მაგალითად, მამლეევის შემდეგ სტრიქონებს წარმოადგენს:

Когда нас спросят, кто такой Гоген
И почему на свете много Зла,
Ответим: как таинственный рентген
На холмах Грузии лежит ночная мгла.

აი, ეს არის, - ამტკიცებს მამლეევი, - რასაც ჰქვია უმაღლესი პოეზია, რადგანაც თავად ლექსის სრულყოფილობების გარდა, აქ უკუგდებულია (უარყოფილია) ლოგიკისა და კონცეპტუალიზმის ბორკილები და მათ მაგივრად წინ იწევს ისეთი მეტაფორული მრავალმნიშვნელოვანებით გამსჭვალული სახე (ხატება), რომლის სხივებიც გონების მიღმითისკენ მიემართება. და სწორედაც რომ გონების მიღმითისკენ, რადგანაც განა სიბრიყვე არ არის ლექსის დამწერის ქება იმის გამო, რომ სხვა რამეებთან ერთად „უკუგდებული აქვს თვით ლექსის სრულყოფილობებიც?“ განა სიბრიყვე არ არის დასწამო კლასიკოსს, რომ თითქოს მას ნაგულისხმევი ჰქონდა, რომ მისი საყვარელი საქართველოს ბორცვებზე წყვდიადი ეფინა... თანაც ბოროტების! მაშინ რატომღაა «Печаль моя светла»?

მსგავსი გადაკითხვები აშკარად დღის წესრიგში ჩამდგარ ბოროტების მსახურებას ისახავდა მიზნად. სამწუხაროდ მხოლოდ ბოროტებისა.

ძველის ასეთი ახლებურად «წაკითხვა» თვით ავტორის შეცვლასაც კი დასაშვებად ხდის. რაღა საჭიროა დაზუსტება, თუკი ნათქვამია: პუშკინი - ჩვენი ყველაფერია. ჩვენთან კონსტიტუციაც კი პუშკინმა დაწერა.

სხვა ავტორში პუშკინის კითხვამ შესაძლოა სრულიად ველური აზრები გამოიწვიოს:

Убей жену, детей отдай в приют.
Минута – и стихи свободно потекут.

(ტიმურ კიბიროვი)

განა არის აქ პუშკინის სტრიქონისადმი დიდი პატივისცემა, რომელზეც ახალმა, საკმაოდ «გაპიარებულმა» პოეტმა თავისი ბოდვა დააშენა? ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ ავტორი - ეთნიკური ოსია. ეს სტალინმა არ აპატია მანდელშტამს, რომ მან ეთნიკური ფესვები სისხლის სამართლის მსხვილ დამნაშავეს, რომელიც რუსეთში დიდი ბელადი გახდა:

რობერტ ვინონენი

(ფინეთი)

„დაუბანელი რუსეთი“ საქართველოს ბორცვებზე

Что ни казнь у него – то малина
И широкая грудь осетина.

და რაკი ჩვენმა განსწავლულებმა ლერმონტოვის ლექსი პუშკინს მიაწერეს, უპრიანი იქნება გავიხსენოთ თავად კლასიკოსი რა აზრის იყო კავკასიის ამ დიდი ხნის ბინადრებზე.

ქართველი ხალხი მებრძოლია. ჩვენი დროშის ქვეშ ჩატარებულ ბრძოლებში მათ დაამტკიცეს ეს... ქართველები სვამენ - და არა ჩვენნაირად და ძალიან ძლიერები არიან... ღვინოს მარნებში ინახავენ, მიწაში ჩაფლულ, ვეებერთელა ჭურებში. მათი გახსნის საზეიმო რიტუალი გააჩნიათ. ამასწინათ რუს დრაგუნს ფარულად გაუხსნია ასეთი ჭური, შიგ ჩავარდნილა და კახურ ღვინოში ჩამხრჩვალა...

პუშკინმა კი იცოდა, ჯერ კიდევ 1812 წლამდე, თურქები და სხვადასხვა არც თუ მფრთხალი ევროპელები, როგორ გაურბოდნენ რუს გენერალს, ქართველ თავადს პეტრე ბაგრატიონს.

დიდ სამამულო ომში 600 000 ქართველი დაიღუპა - ეს შემზარავი ციფრია. იმათგან ნაწილი, ცხადია 1941 წლის პანიკისას დამფრთხალთა შორისაც იყო. მართალია, იმ გაქცეულთა გროვაში რუსები ყველაზე მეტნი იყვნენ, მაგრამ მე არ მსმენია, რომ გერმანელებს ოდესმე უკან დახეული რუსი ჯარისკაცისათვის მფრთხალი ეწოდებინათ.

საბჭოთა კავშირის დროს ადგილი ჰქონდა ერთ ასეთ შემთხვევას. მოსკოველი და ქართველი მწერლების კავკასიური გაქანებით მოწყობილი შეხვედრა დასრულდა. ეს მოსკოვში ხდებოდა. დადგა სტუმრების აეროპორტში გამგზავრების დრო და ისინი მაგიდიდან წამოიშალნენ... ამ რეტირადას კონსტანტინე სიმონოვმა ხუმრობით კომენტარი გაუკეთა:

- Что, бежали робкие грузины?

რაზეც ნოდარ დუმბაძე შემობრუნდა და ხელი დაუქნია:

- Прощай немытая Россия!

თავად ობოლენსკების შთამომავალმა სიმონოვმა, პასუხად სიცილით, უხმო აპლოდისმენტი გამოსახა: ვითომდა ბარი-ბარში ვართ, ანგარიში 1-1-აო. ქართველმა მწერალმა იმწამსვე იცნო, ვისი ციტატაც მოიყვანა რუსმა კოლეგამ და მანაც ლერმონტოვის არსენალიდანვე იძრო დაშნა. ეს იყო ინტელიგენტური ურთიერთობის მაგალითი, ხალხთა ჭეშმარიტი მეგობრობის და არა «Работы над ошибками»-ის მსგავსი ბაზრული ლანძღვა-გინებისა.

ვაი რომ, თანამედროვე ავტორები ეროვნული საწყისის სირთულის გაგებას და მისდამი პატივისცემას კარგავენ. ეს გასულ საუკუნეში ჯერ კიდევ ახალგაზრდა პასტერნაკმა ჩვენზე უკეთ შესძლო ჩაჰკვირვებოდა ამ ფენომენს:

Мы были в Грузии. Помножим
Нужду на нежность, ад на рай,
Теплицу льдам возьмём подножьем,
И мы получим этот край.
И мы поймём, в сколь тонких дозах
С землёй и небом входят в смесь
Успех и труд, и долг, и воздух,
Чтоб вышел человек, как здесь.

დიახ, საბჭოეთისდროინდელი მწერალთა კავშირის წევრები მსგავსი ფაქიზი მატერიებისადმი უფრო მეტი გულისხმიერებით გამოირჩეოდნენ, ვიდრე მრავალი ამდროინდელი კავშირების წევრები. დოსტოევსკის მიერ დეკლარირებულ პუშკინისეულ მთელი მსოფლიოს მომცავი გულისხმიერების ნაცვლად მოდის სულიერი დალტონიზმი, რომელიც ვერ განასხვავებს ფერებს გარდა შავისა და თეთრისა. ჯამში - უფერულობა.

და რაღა უნდა მოვთხოვოთ ქვეყნის მოსახლეობას, როდესაც ჟარგონული გამოთქმები უმაღლესი სახელისუფლებო დონეებიდან გვესმის?

პუშკინის გენიოსობაზე ლერმონტოვის გენიოსობის დართვით, რუსი მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს რუსი ოფიცრის, აფხაზეთის შეირაღებული ძალების გენშტაბის უფროსის გენერალ-პოლკოვნიკის ა. ნ. ზაიცევის გენიას, მაგრამ ეს ცალკე შესასრულებელი სიმღერაა...

მართლაც, ცალკე შესასრულებელი, ლიტერატურასთან არანაირი კავშირი რომ არა აქვს. ს. ბერეჟნოვისთვის ცნობილი მხედარმთავრის «Гениальность» იმწუთსავე სუვოროვ-კუტუზოვურ ასოციაციებს იწვევს. მაგრამ მათ რიცხობრივი უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგის დამარცხების ხელოვნებაც კი ჰქონდათ ათვისებული. ჩვენს პაგონებიან თანამედროვეს ასეთი შესაძლებლობა ჯერჯერობით არ მისცემია, მცირე ძალებთან დაპირისპირების დროსაც კი უდიადესი დერჟავის მთელი სიძლიერე მის განკარგულებაშია.

უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგეს დიდიხანია გადაეჩვივნენ - და რა მოხდება, ღმერთმა არ ქნას, და თუნდაც თანაბარი ძალის მოწინააღმდეგესთან რომ მოუწიოთ დაპირისპირება? ღმერთმა იცის.

ჯერჯერობით კი პატარა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რუსეთის ვითომ სამშვიდობო დივიზიების ორთავე მხრიდან შესვლას ბელგოროდელი მწერალი გახარებული ხვდება დევიზით: «Пора Русь собирать!» მაშასადამე, მის ცნობიერებაში არასდროს არ არსებულა არანაირი საბჭოთა კავშირი, არამედ იყო მხოლოდ მარტო ერთი რუსეთი და მისი შემადგენლობიდან ჯერ კიდევ არ გასული კოლონიები?

ოდესღაც, გამომცემლობა «Советский писатель»-ში გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსის გურამ ასათიანის წიგნის «ფოთლები (Крона) და ფესვები»-ს რედაქტორად ყოფნა მომიწია. ჩვეულებისამებრ, ლიტერატორთა ცენტრალური სახლის რესტორანში, მეგობრების წრეში ვვახშმობთ. ერთ-ერთი გურამს აუხირდა:

მეტი რაღა გინდათ ქართველებს? ქვეყანა შესანიშნავი გაქვთ, ყველას უყვარხართ, ფულიც გაქვთ (ის კი არ იცის, ქართველი ამ ფულს ოჯახს რომ მოაკლებს, ხვალ კი სასესხებლად წავა, მაგრამ დღეს მეგობრებს პურ-მარილით ასიამოვნებს). ვერ გამიგია!

ამაზე მიიღო პასუხი:

გაიგებთ, როდესაც დისერტაციის თემის დასამტკიცებლად პეკინში გაემგზავრებით.

იმ დროისთვის ასოციაცია ყველასათვის გასაგები იყო. მაშინ მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის საზღვარზე კუნძულ დამანსკისათვის ბრძოლის თემა.

ასე რომ, შეცდომებზე ნამდვილი მუშაობა საჭირო იყო არა პირველწყაროების დაზუსტების დროს, არამედ აზრების მიმართებების კორექტირებაში. საბოლოოდ ყველაფერი იქითკენ მიდის რომ აუცილებელია საკუთარ თავზე მუშაობა. თუკი «Поэтом можешь ты не быть, но гражданином быть обьязан», მაშინ უნდა გესმოდეს, საზღვრებზე მოპოვებული გამარჯვებები, საზღვრებს შიგნით განცდილი სოციალური მარცხებისგან მოცდენის რა კარგი საშუალებაა. უკვე გაქცეულან ჩვენგან უნგრელებიც, ფინელებიც, ჩეხები და სლოვაკები, ავღანელებიც და სხვა ეროვნული უმცირესობები „მხდალთა“ ათეულიდან. ყველას ვერ დავეწევით. ამავე დროს სასიცოცხლო სივრცით ძალიან ადვილია დაიხრჩო კიდეც, რაც იმ დრაგუნს დაემართა, რომელმაც ნაცვლად იმისა, რომ პატიოსნად ევაჭრა, უცერემონიოდ სხვის ჭურში ჩაძვრა.

მაგრამ აქ დროა გავჩერდეთ. თორემ დღევანდელ გეოპოლიტიკოსებთან კამათში შესვლამ შეიძლება ლიტერატურისგან მართლაც და «по ту сторону ума» გადაგვისროლოს.

ამოღებულია რუსულენოვანი
გაზეთიდან „Новая газета“ (მოსკოვი)

2010 წელი
თარგმნა ***მზია ხეთაგურმა***

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი და ყაზახეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ულიკბეკ ესდაულეტი

პოეზიის ფესტივალი

სექტემბრის თვეში ყაზახეთის დედაქალაქში, ნურსულთანში ჩატარდა აზიური ქვეყნების პოეზიის პირველი ფესტივალი, რომელშიც მსოფლიოს 45 ქვეყნის 100-ზე მეტი პოეტი მონაწილეობდა.

ფესტივალის მიზანი იყო თანამედროვე აზიური პოეზიის გაცნობა-პოპულარიზაცია და ლიტერატურული ურთიერთობების განმტკიცება.

საქართველოდან ფესტივალში მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი და ჟურნალისტი მიხეილ აიდინოვი.

ფესტივალი გახსნა ყაზახეთის პრეზიდენტმა კასიმ ტოკაევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ყაზახთი მსოფლიოსთვის ეკონომიურად მნიშვნელოვანი და მიმზიდველი ქვეყანა ვერ იქნება, თუ მის ლიტერატურას არ ექნება სათანადო ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. მან ფესტივალის სტუმრებს მნიშვნელოვანი დღე მიულოცა და საპრეზიდენტო წვეულებაზე მიიწვია.

ყაზახეთის და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეებმა, მაყვალა გონაშვილმა და ულიკბეკ ესდაულეტმა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმეს, რომელშიც ასახულია ორ ქვეყანას შორის სამომავლოდ განსახორციელებელი ლიტერატურული და შემოქმედებითი გეგმები.

ფესტივალის რამდენიმე მონაწილე, მათ შორის მაყვალა გონაშვილი, დაჯილდოვდნენ ყაზახეთის მწერალთა კავშირის მედლითა და დიპლომით.

სულის გალობა

22 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა კავშირმა აფხაზეთის კულტურის სამინისტროს თეატრში შოთა ნიშნიანიძის საიუბილეო, 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო ჩაატარა, რომელიც სიტყვით გახსნა მაყვალა გონაშვილმა. სიტყვით გამოვიდნენ რევაზ მიშველაძე, ზაალ ბოტკოველი,ბაღათერ არაბული, ვაჟა აზარაშვილი, გივი შაჰნაზარი... წაიკითხეს შოთა ნიშნიანიძის ლექსები.

ამავე საღამოზე შედგა კულტურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით საიუბილეოდ გამოცემული წიგნის წარდგინება, რომლის წინასიტყვაობაში მაყვალა გონაშვილი წერს:

„ცეცხლივით ედებოდა შოთა ნიშნიანიძის უკვდავი პოეზია მკითხველს და გულზე სიტყვის უმშვენიერეს ტვიფარს უტოვებდა. მაგრამ რაც უფრო ემატება ადამიანს ასაკი და სიბრძნე, მით უფრო მეტად იწყებს ცეცხლი ჩანავლებას, ქვაშიც არის ცეცხლი, ოღონდ გაციებული ცეცხლი, თითქოს ურიცხვი პაწაწკინტელა ვარსკვლავური ანაბეჭდია მოფენილი, თითქოს მზის ჭორფლისფერი ნაპერწკლები გაქვავებულან.

თქვენ ამ ახალ კრებულში ახალ შოთა ნიშნიანიძეს შეხვდებით, დღემდე ცნობილ შედევრებთან ერთად სრულიად უცნობ ბელეტრისტულ პოემებს წაიკითხავთ, სადაც ცეცხლოვანი პოეტის უკვე „გაციებული ცეცხლის“ სიბრძნესა და სიდიადეს ეზიარებით.

თუ შოთა ნიშნიანიძის ადრეულ პოეზიაში მისი ალმოდებული სტრიქონები გატყვევებდათ, სიბრძნის ასაკში დაწერილ

ამ პოემებში აზროვნების სიდიადე და ტკივილის სიმძაფრე დაგამუნჯებთ. პოემები პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ წლებშია დაწერილი, 90-იანი წლების უჟამურ, უმძიმეს წლებში, როცა შაგრენის ტყავივით დაპატარავდა საფიცარი მამული, როცა ქართველმა ქართველი სასიკვდილოდ გაიმეტა, მწერლების წიგნებით ჭიაკოკონა ააბრიალა, ჭირისუფალს გამოსასყიდისთვის კუბოს თავსახური მოპარა, როდესაც ბრბო მსაჯულად იქცა“.

„...გალობაა, სულის გალობა ყოველი ჭეშმარიტი სტრიქონი, რომელიც პოეტის ბაგით ამოითქმის და ერის კულტურის საგანძურში მარადიულ ადგილს იმკვიდრებს“ და მთელი საიუბილეო საღამოს მსვლელობისას დარბაზში მსხდომთ შოთა ნიშნიანიძის სტრიქონთა გალობა სულს უნათებდა და ათბობდა.

მთარგმნელთა ფესტივალი

ოქტომბრის თვეში სომხეთის მწერალთა კავშირის თაოსნობით გაიმართა მთარგმნელთა ფესტივალი მიძღვნილი წმინდა საეკლესიო წიგნთა მთარგმნელებისადმი, რომელიც ყოველწლიურად მესროპ მაშტოცის საფლავზე აღინიშნება.

ფესტივალში სხვადასხვა ქვეყნის წარგზავნილები მონაწილეობდნენ: საქართველო, იტალია, სირია, საფრანგეთი, პოლონეთი, ირანი... გაიმართა ლიტერატურული საღამოები, სადაც საქართველოს მწერალთა კავშირის დელეგაციამ წარადგინა ჰოვანეს თუმანიანის საიუბილეოდ გამოცემული ორენოვანი წიგნი, რომელშიც ქართულ და სომხურ ენებზე შესულია ჰოვანეს თუმანიანის ბილინგვები, ლექსები და ქართველ მწერალთა მიერ მასზე გამოთქმული მოგონებები. წიგნში შესულ იოსებ გრიშაშვილის, გრიგოლ აბაშიძის, სტეფანე მხარგრძელის, ვახტანგ ჯავახაძის, გივი შაჰნაზარის თარგმანებთან ერთად შესულია მაყვალა გონაშვილის და ნაირა მარშანიას ახალი თარგმანები.

სომხეთის მწერალთა კავშირმა მაყვალა გონაშვილი წმინდა მთარგმნელთა ეჩმიაძინის პრემიით დააჯილდოვა. ასევე ბაღათერ არაბულს გადაეცა სომხეთის მწერალთა კავშირის საპატიო წევრის მოწმობა და ნარეკაცის მედალი და მანანა გორგიშვილს - ნარეკაცის მედალი.

14 ოქტომბერს ავეტიკ ისააკიანის სახელობის ბიბლიოთეკაში ჩატარდა მაყვალა გონაშვილის საიუბილეო საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ედუარდ მილიტონიანმა. მილოცვით და მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: გაგიკ დავთიანი, ავეტიკ ისააკიანის შვილიშვილი ავიკ ისააკიანი, სამველ მარქარიანი, ბაღათერ არაბული, სომხეთში ქართული სათვისტომოს სახელით ნინო სპანდერაშვილი... წაიკითხეს გაგიკ დავთიანის მიერ თარგმნილი ლექსები. დასასრულს მაყვალა გონაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

ჰოვანეს თუმანიანი - 150

23-24 ოქტომბერს ჯავახეთში, ნინოწმინდის კულტურის სახლში საქართველოს კულტურის სამინისტროს თაოსნობით, პროექტ „მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში საზეიმოდ აღინიშნა ჰოვანეს თუმანიანის 150 წლისთავი. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა ღონისძიებაზე წარმოადგინა კულტურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის მხარდაჭერით გამოცემული ჰოვანეს თუმანიანის ორენოვანი საიუბილეო გამოცემა, სადაც ახალ თარგმანებთან ერთად შესულია პოემა „ანუში“ და ამონარიდები ხსოვნის წიგნიდან, რომელიც მოიცავს გრიგოლ აბაშიძის, ირაკლი აბაშიძის, ივანე გომართელის, გიორგი ლეონიძის, გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, სერგო ჯორბენაძის მოგონებებს ჰოვანეს თუმანიანზე.

„გამოჩენილი სომეხი პოეტი ჰოვანეს თუმანიანი თავისი ქვეყნის - სომხეთის დიდი პატრიოტი იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს საქართველოს, ქართველი ხალხისა და ქართული მწერლობის გულწრფელი და ერთგული მოყვარული ყოფილიყო. ყოველივე ეს აისახა მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ეს გასაგებიცაა - ჰოვანეს თუმანიანი ხომ მართლა თავისი პირადი და შემოქმედებითი ცხოვრებით ორგანულად იყო დაკავშირებული საქართველოსთან, ქართულ ყოფასა და სინამდვილესთან. ოვ. თუმანიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი მიძღვნილ მხატვრულ ნაწარმოებებსა და ლიტერატურულ წერილებს - „ქართველის წრფელი ბუნება სულის პატიოსნება, ბუნებრივი სიწმინდე, თავისუფლებისა და სილამაზის სიყვარული, ეს ყველაფერი სიცოცხლის წყურვილითა და ნაზი სევდის ათინათით გაბრწყინებული საფუძველია იმისა, რომ ქართულ პოეზიას დიდი მომავალი აქვს. ეს თვისებები საოცარი რელიეფურობით ჩანს შოთა რუსთაველში, რომელიც მთელი თავისი არსებით ქართველია“ – „დაე, მარად ვითარდებოდეს მოძმე ქართველი ხალხის სიტყვაკაზმული მწერლობა, დაე, დღეგრძელნი იყვნენ მოძმე ქართველი მწერლები“ - წერდა ჰოვანეს თუმანიანი გასული საუკუნის 10-იან წლებში. ვფიქრობთ, დროულია და მისასალმებელია საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ჰოვანეს თუმანიანის სახლ-მუზეუმის დირექტორის გისანე ჰოვსეფიანის ინიციატივა ჰოვანეს თუმანიანის პოეზიის ქართული თარგმანების კრებულის გამოცემის შესახებ“ - წერს წიგნის წინასიტყვაობაში ბონდო არველაძე.

საღამომ მეტად საინტერესო, საზეიმო ვითარებაში ჩაიარა, რასაც მუსიკალური შემსრულებლებიც ალამაზებდნენ. დასასრულს ღონისძიების ორგანიზატორმა ალექსანდრე გრიგალაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა და ჯავახეთის სკოლებს წიგნები ჩაუტანა საჩუქრად, რომლებიც პედაგოგებს გადასცა.

თამარ ჯაფარიძე

ძალა არაა თავზევით

დარჩენილ სიცოცხლეს ვჯერდებით,
(სხვა ძალა არაა თავზევით)
ერთიღა შემომრჩი ჩემ გვერდით,
მეც არსად მივლია სხვა გზებით...
და გულის სიღრმეში ვბრაზდები,
ვბერდებით, რომ ჰაი-ჰარადა,
არადა, გავთელეთ რა გზები,
რა გზებით ვიარეთ, არადა.
ვწუხვარ და... გზადაგზა ვჩერდები-
სუყველა დავტოვე წარსულთან,
მხოლოდ შენ მეგონე ჩემ გვერდით,
მაგრამ შენც სხვა მხარეს წასულხარ...
და სუსტად მინათებთ შენ და მზე,
ბილიკებს შემორჩათ ბინდიღა,
მე მარტო მივდივარ ჩემ გზაზე,
შენც მარტო, შენი გზით, მიდიხარ.

სადღაც

სადღაც, ყვავილით რთავენ ჭაღარას,
რძისფერს,
სადღაც, სიბერეს ფრთხილად ასხამენ
თეთრ ფრთებს...
ჩემ სამშობლოში მიწას აყრიან, მძიმეს,
ცხოვრებისაგან დაღლილ-დაქანცულ
ღმერთებს
ვიღაცას ნატვრა აუხდა ნატვრის ხესთან,
ვიღაც, ჯერ ისევ, ახალ ცათამბჯენს
ნატრობს...
აქით, მეზობელს, ღობე წაექცა დღეს და...
ერთგული ცხენი გაუველურდა პატრონს!
კატის სიმძიმით, ვიღაცა, იღლის მკლავებს,
იქ, სადღაც, პუდელს ჟილეტს უცვლიან
ხშირად...
ჩემ სამშობლოში მშიერ ქოფაკებს კლავენ,
ჩემ სამშობლოში, ზოგჯერ, ბავშვებსაც
შიათ!
და როცა კატა ცეცხლის წინ ადგილს
არ თმობს,
როცა ჟილეტში პუდელის ბეწვიც არ ჩანს...
ქუჩის ბოლოში ბავშვი ცივ კუთხეს ათბობს,
დაღლილობისგან სტკივა გაწვდილი მაჯა!
სადღაც, დაუთვლელს,ბანკნოტებს ცვლიან
დროში,
ოქროს ფასი აქვს, წუთს, მოკლესაც და
გრძელსაც...
ჩემ ქვეყანაში ისევ ითვლება გროში,
ჩემ ქვეყანაში აღარ ითვლიან წლებსაც!
ბოლოს, პირქუში მოგონებები დუმან,
მერე, სიცილით ვავსებ სხვა მხარის მაისს..
ჩემ გულთან ჩემი ქვეყანა ტირის ჩუმად,
ჩემ გულში ჩემი საქართველოა, მაინც!

ღალატი

შენი თვალების ფოსოებიდან უფსკრული
მოჩანს
და შენი გულის სიღრმეებიდან სიცივე
მოდის...
სხვასთან გახიზნულს, თვალებში ცეცხლი
გცოდნია,ყოჩაღ!
გულიდან, უცებ, გადაგორება გცოდნია
ლოდის!
შენი თვალების ფოსოებიდან მოჩანს
ღალატი,
აღრჭიალებულ, ცივი გულიდან აფრქვევ
სიცივეს...
ცბიერი ბედი...ბედი ორპირი და მუხანათი,
დარდს გადაგიყრის... მერე ჩვენ გაგვყრის...
და გაიცინებს!
წავიდა ჩვენი ბედნიერება ჩუმად და...
მორჩა,—
დაღლა სცოდნია ამ, უსამშობლო ყოფას
და ლოდინს...
შენი თვალების ფოსოებიდან უფსკრული
მოჩანს...
და შენი გულის სიღრმეებიდან სიცივე
მოდის!

ჩემი შემოდგომა

ამ შემოდგომების ჩამტკბარ სამოთხეში
ქარი თბილია და მთვარე შეშლილია!
ვიცი, მალე მოთოვს — ასე, სამ-ოთხ დღეში,
ვაი, თუ შესცივდა?! როგორ მეშინია!
ფერთა ფეტიშია — მზისფერი აქვს დაისს,
ნოემბრისფერ ზეცას, მივდევ კიდე-კიდე.
როგორ მეშინია დაზამთრების მაინც —
ვაი, თუ გამექცა და ვერ გავეკიდე?!
წამებს,ძნელად დათვლილს, სევდაც კი
ჰქონია,
დნება...დნება ტკბილად დღეები და მწარედ
მეფიქრება ზამთრის ცივი სიმფონია —
ვაი, თუ ეტკინა, და ვერ დავაწყნარე?!
დატყობია ფოთოლს, ბოლო ღელვა,
თითქოს,
და ძნელია ახლა წასვლა ამ ჩეროდან...
ვიცი, მალე მოთოვს, მაგრამ, ყველა
ფიქრობს:
იქნებ ვუყვარდი და.. მე კი არ მჯეროდა?!
დაასრულე ფიცი, ბარემ, დავაც დროსთან,
ქარო,ბარემ ხეებს, ოქრო და მშვენება
გააძარცვე — ვიცი, მალე დამათოვს და...
მალე დამტოვებს და.. რაღა მეშველება?!
ქარი ტანში ცივად, ერთვის დღეებს მზიანს,
გული ამოვარდა გადამტვრეულ რტოებს!
თოვლია თუ წვიმა, ჩემთვის რა აზრი აქვს...
თუკი არ მოვა და თუკი მიმატოვებს?!

რამ დაგვავიწყა?!

ჩემი იყო და შენი იყო ეს დედამიწა,
ვატრიალებდით ხელისგულით თითქოსდა,
გუშინ,
მერე, ერთბაშად, ყველაფერი რამ
დაგვავიწყა—
ეზოც...ეზოში, ერთადერთი, ძვირფასი ნუში.
აღარც კი გვახსოვს, ჩრდილში როგორ
ვათბობდით გულებს,
აღარც კი გვახსოვს ნუშის ჩერო...
რამ დაგვავიწყა?!
სიმშვიდეებმა მერე დიდხანს
დაისადგურეს...
ჩემი იყო და შენი იყო ეს დედამიწა!
დავყვებით გზებს და...არ გვარგია ეს გზები
სახლად...
სისხლს გვიშრობს მზე და ვეძებთ
ახალ-ახალ სადგურებს.
რა დაგვაბრუნებს იმ ჩრდილებში, მე და შენ,
ახლა?!
იმ ეზოში და იმ ჩეროში რა დაგვაბრუნებს?!
...და გაცრეცილი სურათიდან (თითქოსდა,
გუშინ)
გვიღიმის ბავშვი...ჩვენ კი ასე რამ
დაგვავიწყა —
ეზო...ეზოში ძვირფასი და ობოლი ნუში...
ჩემი იყო და შენი იყო ეს დედამიწა!

ალექსანდრე ჯინჭარაძე

შენ მუშა ხარ

სისხამ დილით უცნაურად გიხარია,
რომ მთაწმინდა ღრმად სუნთქავს და
ნისლს ახრჩოლებს,
რომ მაღაროს დაეხსენი რახანია,
რომ აქ ეტრფი სიმაღლეს და ხარაჩოებს,
შენ მუშა ხარ -
მეოცნებე და გულღია,
შენ მუშა ხარ -
და არ გავხარ სხვა მაჩოებს.
ჯერ ვერ ხვდები, რა ახარებთ ხეზე
ყორნებს,
სიზმარიც კი არ გინახავს, ცუდი, წუხელ,
ჯერ არ იცი-დღეს რომ მიწა ჩაგიყოლებს,
ჯერ არ იცი-დღეს რომ დედას
დაამწუხრებ,
შენ მუშა ხარ...
მიწა გითვლის ნაბიჯს ყოველს,
შენ მუშა ხარ -
არ ელოდო სასწაულებს!
ვწუხვარ-ეს დღე შეგახვედრებს, სწორედ,
იმ წამს,
სიზმარშიც რომ არ გინახავს მსგავსი წუთი,
ვწუხვარ - რომ დღეს გიღალატებს,
ფეხქვეშ, მიწა,
ვწუხვარ -მაგრამ, მე რას ვუზამ ნამდვილ
წუხილს,
მუშა ხარ და...
სამკაპ ფიწლით ხვდები დილას,
მუშა ხარ და...
ფიწლიანი გელის მწუხრიც!
ეს მძიმე დღე, უკვე ფიქრობ, როდის გავა,
და ფიქრები შენს ოცნებებს გარს უვლიან,
ჯერ არ იცი, რომ ვერ დგახარ ფეხზე
მყარად,
ჯერ არ იცი,რომ წამზომი ჩართულია,
შენ მუშა ხარ -
მოგინელებს ეს ქვეყანა,
შენ მუშა ხარ -
ეს ხომ იცი, რა რთულია?!
თავი მოგწონს, ახალგაზრდა დევგმირს
გავხარ,
ვითომ იყო მართლა ტყვეთა გადამრჩენი,
ჯერ არ იცი, თავს რომ ცოცხლად
დაიმარხავ,
ჯერ არ იცი, ზღაპრის ბოლო, დანარჩენი.
შენ მუშა ხარ -
ბედი გაზის შუბლზე
დამღად,
შენ მუშა ხარ-
და ეს არის განაჩენი!
მარტის ბოლო კუდს მოიქნევს ახლა,
შენთვის,
და გამზირის ყვავ-ყორნები ქედს იხრიან -
რადგან დარჩა მზიანი დღე, მხოლოდ
ერთი...
ხვალე მოთოვს...ხვალ პირველი აპრილია,
მუშა ხარ და...
შენს ოფლს ახლა სისხლი ერთვის,
მუშა ხარ და...
ეს არც ისე ადვილია!
აქ უშენოდ აყვავდება, მალე, ნუში,
სოფელში კი...ო,სოფელი... ტყემლებს
მიაქვს,
უკვე იცი ზღაპრის ბოლო... ის, რაც გუშინ
არ იცოდი და ქვა-ღორღის ითმენ ხრიალს.
შენ მუშა ხარ -
დამარხული მიწის გულში!
შენ მუშა ხარ -
დამარხული თვალებღია!

მამას

შენი ღმერთები ირწევიან ჯვარცმის
ფერებში
და გელანდება სასუფევლის ფუჭი დიდება.
ო, შენ არ იცი, რომ კიბო გაქვს და
ნახველებში
მარადიული შიშის ალი კვლავ გეკიდება!

რად, რად ოცნებობ, გენატრება ცა
ისპაჰანის,
შირაზის ვარდი, მიუწვდომი ქარვის
ტუჩებით.
გტკივა სამშობლო სასულეში გადანატანი
და გეშინია, მარტოობას ვერ გადურჩები!

ყველა ტკივილი იბადება შენი ტანიდან.
ვერ გაოცებენ იუდები ქრისტეს კოცნებით.
მა, რა ხანია სერაფიმთა ფრთებს ეფარვიან
შენ ბაგეთაგან გადმომსკდარი გიჟი
ლოცვები!

თუმც სასოებენ ნაფრესკალი შენი
თვალები,
ვით მოჭრილ ხეებს ენანებათ თოვლში
დაცემა...
მა, შენი მხრები სამყაროსგან განაწვალები
იქნებ ფრთებია, ფრენაა და ცად გატაცება!

როს ცაზე ჯვარცმულ ვარსკვლავების
წვება
სერია,
სწუხს შენი სული ყვავილების უმანკოებით.
რადგან ჩვენ ერთად არასოდეს არ
გვიმღერია
მეგაზაფხულე, თეთრ პეპლების წვიმად
მოვედი!

თოვლი და ბაბუა

მე მახსოვს იმ წელს მოვიდა თოვლი
და ბაბუს მხრებზე ჩამოაყარა
თეთრი ფიფქები ცას შენათრთოლი,
ო, როგორ ჰგავდა ბაბუს ჭაღარას!
ხეებს ეხურა ცა, ვით ლეჩაქი,
ეზოში იწვა სიმინდის ჩალა.
ბაბუმ თქვა: “ახლა, ალბათ, მზე ჩადის
და ვარსკვლავები წიწილებს ჰგვანან!”
მე დავინახე რომ მოკრძალებით
შემოდიოდა სოფლად ზამთარი.
ვაზები იდგნენ, როგორც ქალები
და გვიყურებდნენ ცრემლშენაფერი!
ათოვდა სახლებს და გზებს ათოვდა.
და ეზოები ჰგავდნენ საცოლოს,
შემოდგომამ რომ კვლავ მიატოვა,
დარჩა სიჩუმე და სევდა მხოლოდ!
ჩვენ გავიგონეთ ძროხის ბღავილი
ბოსლის და ეზოს გადაღმა, შორეთს.
ააგლიჯესო თითქო ცას ღილი,
ისე დაეცა მზე ჩვენ ორ შორის!
და ჩაესვენა ლურჯში აისი
და იყო თოვა, თოვა და თოვა
ბებიაჩემის ხმა რომ გაისმა:
“მალე ღამდება, შინ არ შემოხვალთ?!”
ახლაც, ო, ახლაც ამდენ წლის შემდეგ.
მე ვეძებ ცაზე ბაბუს წიწილებს.
თითქო ბავშვობა სულ თვალწინ მედგეს
და შევეფარო რომ გამიჭირდეს!
მე მახსოვს წელსაც მოვიდა თოვლი.
იმ თოვლს ბაბუას სურნელი მოჰყვა...
და აყვავებულ ტყემლების ტოლი
დაეცა ფიფქი ბებიას ლოყას!

დომენტი სოზაშვილი

სად მიხვალ!

თუ ქვეყანა გინდა შენთვის, ქალაქში უნდა იყო. თუ არა, სოფელში შენ უნდა იყო ქვეყნისთვის. ასეთია თანაფარდობა და რა ვქნათ. ქალაქისაა ყველაფერი... მარტო სიმღერები თქვი - სულ იმას უმღერიან! ასეა ხომ? რატომაო ვითომ... ჩვენ რაღა ვქნათ... მაშინ დავიძრათ ქალაქისაკენ!

და აღიმართა ქალაქები. რა სჯობია ყოფნას ცენტრში და კომფორტში. მერე ადამიანების ურთიერთობა? ახლოს ყოფნა... ყველასთან ყოფნის როგორობა დახვეწეს და დააკანონეს. ვაი მას, ვინც ვერ გაუგებს. მით უმეტეს, არ გამოიყენებს - ვერ გამოიყენებს - ქალაქელები არავის აპატიებენ არაიმათნაირობას ან იმათნაირობას - გესლიანობა, ბულინგი ელოდება კაი ხანს, ჩამოსულებს.

ისე კი რამდენი ფართი მიწისა იზოგება შენობების ცადატყორცნით. ამათთვის პრობლემა დარჩა მხოლოდ მაღაზიიდან პურის დრო და დრო ამოტანა. მეგაპოლისები, უფლისთვის ალბათ, ჭიანჭველის ბუდეებია ბევრის დასატევად უნდა ქალაქს. პურის მოყვანისთვის ფულს ისევ ფერმერები, გლეხები ხარჯავენ და ამის მოყვანაში იღებენ. სხვები, უმეტესობა ისევ ქალაქის შენებისთვის იღებს მას (პურის ფულს), პურის მოყვანასთან რომ არაფერი აქვს საერთო. ამდენად, ქალაქი, ქალაქელები მიწით, სოფლითაა. ქალაქი ადამიანების, ხალხთა ვირტუალური სამყოფია დედამიწაზე. ხოლო ბუნება - პარკებში, გაზონებში, ხეივნებში, ზოოპარკებში, ანუ თავისში მოუქცევიათ .

ისინი სხვანაირები არიან - ჩუმად თავისი იციან. სხვაგან დიდხანს ვერა ძლებენ, თავისი ოთახის ცხოვრება ელოდებათ. გაჭირვება თუ მოუვათ, ყველაფერს უძლებენ იქ მყოფობისთვის...

მესმის იმათი ქალაქელობა (ჩვენთვის - თბილისელობა!) - მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეთა, იმათით იწყება ქვეყანა. ცენტრში, თავში რომ არიან და უნდა იყვნენ თავისი ხალხისა, ვისთვისაც იღვაწეს, ვინც თბილისელია მოდგმით, თაობებით, დროით! ეს ამდენი ხალხი რაღაზე ეტენება - ეტმასნება ისედაც ჩაჭყლურტულებს, ტევა რომ არა აქვთ; გზებზე რომ ვეღარ გაუვლიათ ამხელა საცობებში. მე შენ გეტყვი, სამსახურს ნახულობენ იქა თუ თეატრისა და ოპერა-ბალეტის წარმოდგენებს არ აკლდებიან. აიღე-დაიღე ამ მიტინგებსა და მანიფესტაციებს უერთდებიან - მოთხოვნებით გამართულს. მერე ქალაქელების გაჭირვებები იბურტყუნონ - აბა, ეს ქალაქია, ამხელა საცობები რო აქვს, როგორ გინდა იარო... თუ - ნაგავი ყარს... გაზი, წყალი, დენი სად არი, არ არი...

აქაურ ჩვენს მიწებს ინდოელები ხნავენ, ეპატრონებიან; ჩინელები მაღაზიებს ხსნიან - ესენი იცით, რომელი ქვეყნებიდან არიან?! - სადაც თავისი უზარმაზარობისდა მიუხედავად, უამრავობისა გამო ხალხი რომ აღარ ეტევა, ქრთამს აძლევენ როგორმე ქვეყნიდან გასასვლელად - სხვა ქვეყნებში წასასვლელად! აქ ჩვენს წაგლეჯილ-შემოგლეჯილ-ერთიბეწობაში ეტევიან?! იქ მთა იცლებაო... მეტწილ სოფლებში გადასთვლი 5, 6, 7, 8 ხან 9, 10 მიჯრით გაყურსულ სახლებს (თორე ერთი-ორი ხომ ყველგან კანონივით არი დამდგარი), საიდანაც წასულან და თითქოს უიმათოდ დაიქცა თბილისი. იქ რაღაცაზე ეკანჭურებიან. სად არი იმათი მიწა, იმათი კერა მიტოვებული... სამშობლოში თავისი ადგილი. ბევრი მასა რომ არის, ვის აბრალებ, შენი მიზეზით არ ხდება? სად მიხვალ! რაზე აგდებ აქაურობას... იქნებ აქ უკეთ ვუშველოთ თავს. სხვაგან ზედმეტობას შენთან აუცილებლობა არ გირჩევნია, თანაც იქ საქმეს რო ითხოვ, აქ საქმის მეტი რა არი...

ხალხში შემალვა, ქვეყანაზე, ბუნებაში ყოფნის სიავ-კარგის სულ ნაპირზე მოქცეულების ანაბარა დატოვება - „საცა ყველა სხვა, მეც იქ...“ - ძახილით, შენ იცი მარტო?

ესენი, პოლისები შემოიფარგლნენ ჩვეულებივ მიწიერთაგან, ცად ამაღლდნენ, რათა თავისი არსებობა ტელე-სერიალ „შუა ქალაქში“ სცენარივით მიწასთან შეჭიდულობისაკენ მხოლოდ იშვიათი გახედვით ვითარდებოდეს. დანარჩენი აქ, დედამიწაზე გამარჯვებულ ყოფნის ვირტუალურ სამყაროში ყველაფერი რიგზე უნდა იყოს - პროდუქტების, პურის ფასები; ლიფტის გამართულობა, ხელფასები, მეტრო, ტაქსი, ავტობუსები... უნივერსიტეტები ლექტორი, ასპირანტებით, როგორღაც ამასთან დაბალანსებული ბინის ქირით სტუდენტებისთვის, აქ საბოგინოდ.

კომუნისტები, ქალაქისა და სოფლის ცხოვრების პირობების გათანაბრებას რომ აპირებდნენ თავის კომუნიზმში, მხოლოდ ზნეობრივი ადამიანისთვის, ახლა ალბათ, თვალებზე ხელს იფარებენ (თუკიღა არიან) ამდენი გახსნილი ბორდელების შემხედვარე რომელ წესიერ ყოფნაზეა ლაპარაკი - გამოტყდა ის. ადამიანი რომ მხოლოდ დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს ურჩევნია... რა სჯობია აქაური სიცოცხლის სანეტაროდ გავლას!

სიცოცხლე ხარობს სიცოცხლით...

აქ, ილუზორულ ხალხის სამყაროში, მიწაში კი არა, ნაგვის ურნაში რომ ეძებს სარჩოს... თავი მაინც მაღლა უჭირავს მიწასთან დარჩენილთან - სოფლელთან. მთლიანად რეგიონთან, განსაკუთრებით ახლად გაქალაქებულები არიან ასე გაქსუებულები. სულ კედლებში რომ არიან, რადგან არიან, ესენი თავს ქვეყანას ამწყრალებენ. ახლა ნაირ-ნაირ უფლებებში თუ რამე შეეშლება მთავრობას, სასამართლოს... - დაიძვრებიან შეკრებისთვის, ჩვენებისთვის... თუ ეცოტავებათ თავი, ეძახიან გამვლელებს, რეგიონელებს - შემოგვიერთდით, მოდით, ჩამოდითო.

და ამათისკენ უნდათ, ამათ უერთდებიან ერთობაში ყველასკენ მიმსწრაფი, ცალკეობა-გარეობა რომ არ უნდათ - შორი აქაურები, რეგიონელები. „ყვავი აფრენაზე იყოო...“ ჰოდა, ტოვებენ სახლ-კარს, მამულს, დედას, მამას, სოფელს, ყველას ეს დალოცვილები... ნახეთ ამათი მიტოვებული კარი-ბანი, მინდორი, ვენახი, ბაღი, ბახჩა... ვინ იყოსღა აქ?! ვინ მოუაროს! ჩინელი, ინდოელი, ირანელი, თურქი... - ეტანება, ეუფლება და ყიდულობს კიდევაც არც იშვიათად. ისინი რომ ქართველი არ არიან, იმათი დაჭერილი ადგილი არისღა ისე ქართული?! ასეთი გარედან წართმეული, შიგნიდან ამოჭრილი ჩვენი მიწა-სამშობლო რა რჩება...

დავუფიქრდეთ, გულისხმავყოთ, ვაღიაროთ - ეს შრომას ხომ არ გავურბივართ ოდითგან შრომის ხალხის შვილები?! ასე როგორ მოგვერივნენ ჩვენს გადაგვარებაში?! გავიქცეთ ქალაქისკენ, ევროპისკენ, ამერიკისკენ - ვირბინოთ დასალიერამდე - უშრომოდ იქნები? ყველგან ხომ შრომა გელოდება - მეტწილად უღირსებო, უპატიო არა ჯობია თავს დაუბრუნდეს „მიწის მუშების“ შთამომავალი!

აქ ჩვენთან თავისუფალი, საჩვენო-სამამულო შრომის გასაწევად?! ოღონდ ასეთი გაჭირვებით რომ მოდის აქ ეს მართლა „ჭირნახული“, ყველა ნუ კი ეწილადება მარტო მას - ესენი რომ ჩერდებოდნენ, მკვიდრობდნენ, სხვაგან კი არ უნდოდეთ, სხვაგან როა, აქ ისე უნდოდეთ, ეწეოდნენ.

ოღონდ, ამას რომ მოევლოს, გასაქანი მიეცეს, მართლა დღენიადაგ ამისთვის მოფიქრალ-მოცადე მთავრობა გვინდა. გამოსავალი, მიზანი - დასავლეთში მიღებული ეფექტურ მეურნეობრივი ზიარება, გათავისება, საკუთარ კარგობასთან ერთად ჩვენს ასპარეზზე გამოტანა, უკვე სად არ იციან და დროა სრულად შეიძლონ ესე.

სხვებთან როგორ უნდა იხარო, როგორც გინდა იყო, როცა იმათ სიცოცხლეში ანუ იმათ ხარობაში შენ გამოგონილი იმათი ხარ?!

იმიგრანტები საქართველოდან იგონებენ, აარსებენ საქართველოებს იქ. აწყობენ, ასრულებენ ცეკვებს, სიმღერებს; აარსებენ საყდრებს მღვდლით... ეს თავისი თავისთვის, მაგრამ რა ვიცი, შეიძლება ასე?! ვართ კი ასე?! ვხარობთ, როგორც გვეხარება სინამდვილეში განა?! შენს მიწაზე რომ არა ხარ, შენს ბალახზე რომ ვერ გაივლი...

სექტემბერი. 2019 წელი.

ლია მუმლაძე

აფხაზეთის გმირს

ჟიული შ ა რ ტ ა ვ ა ს, ბრწყინვალე პიროვნებას და ქართველს

შენ მკერდში ცხელი გული გიცემდა,
გული ქართული! ვ ე რ დ ა გ ა ჩ ო ქ ე ს,
ვერ გაგტეხეს, ვერ შეგაშინეს,
ბოლომდე ი დ ე ქ
მეგობრებით გარშემორტყმული!
შემდეგ ტყვიები ა ზ უ ზ უ ნ დ ნ ე ნ ...
ზეცად გაფრინდნენ თქვენი სულები...
ისევ ღალატი, გაუტანლობა!
ატირდნენ მთები საშინელების შემყურენი!
ისევ ტირიან, რადგან მოგვაჭრეს,
თითქოს სხეული და ა ფ ხ ა ზ ე თ ი,
მიწა ქართული, დარჩა ეული!
მაგრამ მოვა დრო, დაიზრდებიან
ალგეთს გმირები!
დაიბრუნებენ ქ ა რ თ უ ლ მიწა-წყალს
ჩვენი გენები, ჩ ვ ე ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი!

ივეტა პავლიაშვილი-დოხნაძე

კავკასიონზე უკვე დათოვა

ჰა, ჩამოთოვა კავკასიონზე
გადააფერფლა რთვილი ნაპრალებს
და ცად აწვდილი მყინვარწვერები
ჰგვანან ხელუხლებ ნატიფ ქანდაკებს.
გავყევი ბილიკს ნელი ნაბიჯით,
უკან მიხედვა არც კი მიცდია,
ო, წინაპართა ჟამთა დღეები
გზად არ მტოვებენ, თურმე მიცდიან.
ვიგრძენ თანდათან წარსულს ვშორდები,
მივალ და ვიკვლევ ბილიკს თოვლიანს,
მინდა მწვერვალზე მეც ავიყვანო,
ეს ბადიშები რომ მომყვებიან.
უხმოდ გავყურებ ლალისფერ სივრცეს,
სული გავითბე თითქოს კოცონზე
და მომეჩვენა, რომ გაზაფხული
იალქნებს შლიდა კავკასიონზე.
ვეგებებოდი ზეციურ ცვარ-ნამს
და თავს ვუყრიდი წვეთ-წვეთად იმედს,
ვიღებ პატივით, მოკრძალებულად,
რასაც განგება გამოიმეტებს.
მივენდე რწმენის შინაგან გრძნობას,
თითქოს მოფრინდნენ თეთრი
ფრთოსნები
და მწვერვალებზე მზე შემომდგარა,
ვით თაიგული თეთრი შროშნების.

თემურ ჭახნაკია

მილა

ყველაფერი დაიწყო ასე: - აპრილის გრილი საღამო იდგა. ბინდდებოდა. ლექციებიდან ახალმოსული აივანზე რომ გამოვედი, ვაკვირდებოდი ცას, ცაში ნისლებს, თოლიებივით რომ მიცურავდნენ.

მარლბოროს შავი კოლოფიდან ერთი ღერი სიგარეტი ამოვაძვრე კბილებით, მოვუკიდე კრიკეტის სანთებელათი და ლაზათიანი ნაფაზიც დავრტყი. სიგარეტის ნაცრისფერი ბოლი ჰაერში გაუჩინარდა. ჩემი ბინის გასწვრივ, პარალელურად მდგომი, თეთრი ბეტონის, შეუღებავ და ულამაზო კორპუსს დავაკვირდი. მერვე სართულის სიმაღლიდან ვათვალიერებდი ხისა თუ მეტალოპლასტმასის სარკმლებს.

ამასობაში დაღამდა.

ზეცა ვარსკვლავებით დაინინწკლა ჭიამაიის ფრთასავით. ოთახებში ალაგ-ალაგ შუქი აინთო. ჩემი მზერა წაბლისფერი ხის სარკმელთან, ერთ წერტილში გაშეშდა. სარკმელს თეთრი, გამჭვირვალე ფარდა ფარავდა. მეორე, ქვიშნისფერი ფარდა მარჯვნივ იყო გადაწეული. ოთახში უაბაჟურო ელექტრო ლამფა ენთო. მკრთალ შუქზე ბუნდოვნად ჩანდა, გონების თვალით კი ნათლად და მკაფიოდ, საწოლზე ფეხმორთხმით მჯდარი თმაგაშლილი ქალბატონის სილუეტი, რომელსაც მუხლებზე რვეული დაედო. რაღაცას წერდა აუჩქარებლად.

სიგარეტი ჩაიწვა. ნამწვავი ფაიფურის საფერფლეში ჩავასრისე. იმ უცხო ფარდის მიღმა უკვე წყვდიადი სუფევდა.

ღამე მასზე ფიქრი ამეკვიატა. გვიან ჩამთვლიმა.

ხშირად ვუთვალთვალებდი იმ ლამაზმანის საძინებელ ოთახს. ერთ-ერთ საღამოს, როცა ყავას ვიდუღებდი, სამზარეულოს ფანჯრიდან შევნიშნე იმ ბინის აივანზე გამოსული ახალგაზრდა, ტანკენარი გოგონა. წითელი, სპორტული ტოპი და მოკლე, თეთრი შორტი ეცვა. წვრილი წელი და ჭიპი სანდომიანად გამოიყურებოდა. მეც აივანზე გამოვედი მაშინვე. შემამჩნია, რომ ვუყურებდი, შემომხედა და გაეღიმა.

ტანში შემაჟრჟოლა.

უეცარი სიხარულისა და აღფრთოვანების განცდა დამეუფლა. მან უცებ თეთრი ქაღალდის თვითმფრინავი გადმოაფრინა მეშვიდე სართულის აივნიდან. თვითმფრინავი ტურბულენტურ ზონაში მოხვედრილივით ზიგზაგებით ქვევით წამოფარფატდა და ტროტუარის კუთხეში დარგული ფიჭვის წიწვებში გაეჩხირა. გოგონამ ქაღალდის თვითმფრინავს თვალი ჩააყოლა და ოთახში შევიდა. სავარაუდოდ მარტო ცხოვრობდა.

კედები ჩავიცვი, ლიფტით ქვემოთ ჩავედი, ლიფტში ისევ იდგა შარდის ტბა, ერთი თვეა, რაც შიგ ფსამს ვიღაც, სავარაუდოდ უბნის ლოთი მაწანწალა. ქაღალდის თვითმფრინავი ვიპოვე და ზემოთ კიბეებით ამოვედი.

შინაბერა დიასახლისმა შემოსვლისთანავე მკითხა:

- სად იყავი ჩარლი? - რა მალე მოხვედი.

- თვითმფრინავი ჩამოვარდა და სანახავად ვიყავი, მრთელი თუ გადარჩა.

- აი, ამოვიტანე, - ვუთხარი და ქაღალდის შედევრი დავანახე.

- შენ როდემდე უნდა იყო ასეთი არასერიზული, ბიჭო?!

- მითხრა სიბრაზისგან შუბლშეჭმუხნულმა. კარგა ხანია ვატყობ, ვერ მიტანს, ბოლო დროს სარეცხ მანქანაში ტანსაცმელებსაც არ მარეცხინებს და ნეტავ განახათ როგორ ცინიკურად მიყურებს სააბაზანოს ვარცლში ხელით რომ ვრეცხავ ხოლმე. ალბათ მალე გადავალ სხვა ბინაში, თუ ვიშოვე რაიმე ნორმალური იაფად. ირანელებმა გააფუჭეს ყველაფერი, შეუვაჭრებლად იხდიან დიდ თანხებს.

ცალყბად გამეცინა მის ნათქვამზე.

თვითმფრინავს ორივე ფრთაზე ეწერა სახელი - "მილა". ალბათ "მილა" ჰქვია,- გავიფიქრე. მილა.. მილა.. რა ლამაზად ჟღერს ეს სახელი.

მეორე დღეს, საღამოს შხაპი მივიღე და აბაზანიდან, წელს ზემოთ შიშველი აივანზე გამოვედი. მილა სარკმელიდან იმზირებოდა, თმები შეკრული ჰქონდა და კიკინა კითხვითი ნიშანივით ადგა თავზე. ბრეტელებიან მაისურში შველივით მოხდენილი, მაღალი კისერი უჩანდა. საოცრად მიმზიდველი და მომნუსხველი იყო. მანაც ამომხედა. ახლა მე გამეღიმა, მერე მას. ჩემს გრძელ თითებს ვაკოცე და სული შევუბერე მისკენ. შევამჩნიე, რომ თვალები დახუჭა და გაინაბა. მერე ხელის მოძრაობით რაღაც მანიშნა. მე გავშრი, გავიფიქრე: - ეს მართლა ხდება თუ სიზმარია-მეთქი. თვალები დავხუჭე, ისევ გავახილე. ის ოთახში შევიდა. ოთახში შემოვედი მეც, ცივმა ოფლმა დამასხა.

ცაზე ელვა-ჭექის ხმა ისმოდა და ალაგ-ალაგ ლილისფერი ელვის კლაკნილი გაკრთებოდა ღრუბლებით გადღაბნილ ცაზე.

რაღაც გამიხარდა, რაღაცამ შემაძრწუნა.

ჩავიცვი მაისური და ქვემოთ ჩავედი. უბნის ერთადერთ ყვავილების მაღაზიას ძლივს მივუსწარი, ერთი წითელი შეუფუთავი ტიტა ვიყიდე და მილას სადარბაზოს კიბეებს ავუყევი.

ჩემში დაძაბულობა იმატებდა.

ვიღაც გამხდარი, გრძელთმიანი და ბლანჟეიანი კაცი შემომხვდა. უნდოდ შემომხედა.

ექვსი სართული ავიარე და მეშვიდე სართულზე ავედი. განვსაზღვრე რომელი კარი უნდა ყოფილიყო მილას ბინის. თეთრ ღილაკზე დავაზარუნე აკანკალებული თითით. კარი მაშინვე გაიღო და ჩემ წინ ანგელოზივით ლამაზი გოგონა იდგა, რომელსაც კუპრივით შავი და გრძელი თმა, პაწუკა ცხვირი, დახვეწილი ნაკვთები და შავი თვალები ჰქონდა, მისი თეთრი სახე მთვარესავით ელვარებდა სადარბაზოს სიბნელეში.

- საღამო მშვიდობისა მილა, ეს ტიტა შენ, - ვუთხარი და ყვავილი გავუწოდე. მყისიერად გამომართვა.

მეამა.

დაყნოსა პაჭუა ცხვირით და გაკვირვებულ-გაბრწყინებული სახით მადლობა გადამიხადა. შიგნით შემიპატიჟა. შევბრკოლდი, შევიშმუშნე.

შევყევი, კარი ჩარაზა. ტიტა წვრილყელიან ლარნაკში ჩადო, რომელიც მაგიდაზე იდო.

- არ მეგონა თუ მოხვიდოდი, - თქვა ნაზი ხმით.

- მაგრამ, მოვედი.

- რა გქვია?

- ჩარლი, პოეტი ჩარლი,- ვუპასუხე, იქნებ ქედმაღლურადაც ჟღერდა, მაგრამ მინდოდა თავიდანვე სცოდნოდა, რომ ლექსებს ვწერდი.

- ჩემი სახელი საიდაც იცი, პოეტო ჩარლი? - ოდნავ გაიღიმა.

- თვითმფრინავის ფრთაზე წავიკითხე.

ორივეს გაგვეცინა.

მერე მრგვალ მაგიდასთან დავსხედით. მაგიდაზე წვრლყელიანი მინის დოქით კონიაკი, ორი ბროლის პატარა ჭიქა და შოკოლადიანი ვაფლის ფილებით სავსე თეფში იდო. თითქოს გულთმისანივით მელოდებოდა, იცოდა რომ მასთან მიმიყვანდა. ჩვენ სამ-სამი ჭიქა კონიაკი ჩავცეცხლეთ. ალკოჰოლმა გაგვათამამა. მილამ თითებზე ხელი დამადო და მითხრა, - რა ნათალი თითები გაქვს ჩარლი, იშვიათად მინახავს ასეთი გრძელი თითები. მინდა ამ თითებმა მომეფერონ. თითები ინსტიქტურად მოვხარე და ტანში სიხარულის, სიამოვნებისა და უხერხულობის ჟრუანტელომა დამიარა.

ნუთუ ეს მართლა ხდება? - იქნებ სიზმარია... ან ასე მარტივად ყველაფერი. იქნებ ვიღაც კახპაა, მაგრამ არ ეტყობა, თუმცა შუბლზე არავის აწერია, - ეს ფიქრები ჭიანჭველებივით დაძვრებოდნენ ჩემ გონებაში.

მილა ხელში ავიყვანე, საძინებელ ოთახში გავედით, შუქი ჩავაქრეთ. მილას ბლუზა და მოკლე კაბა გავხადე, ლიფის შესაკრავი გავუხსენი. ნაზი და რბილი მკერდის მკვრივი კერტები ჭურვის წვერებივით მომედნენ გავარვარებულ ტანზე. მკერდს ხელებით ვუსრესდი, ვკოცნიდი, ყელზე, ტუჩებზე, მკერდზე, მუცელზე, ჭიპზე, ბარძაყებზე. მისი შიშველი სხეული, მოხდენილი თეძოებით, მაღალი ტანითა და სავსე მკერდით დახატულ შედევრს ჰგავდა. ვნებისგან და მოზღვავებული ემოციისგან ლამის გული ამიფეთქდა. ჯერ საწოლზე გვქონდა, მესიამოვნა მისი ელასტიური და თბილი ვაგინა, ნაჯახის ყუასავით მიჭერდა, ეტყობოდა დიდი ხანია არ ჰქონდა სექსი და დანაკლისს ჩემთან ინაზღაურებდა, გიჟს ჰგავდა, ლამის ჩემზე უფრო აქტიურობდა. მერე სააბაზანოს ვარცლში წყალი ჩააგუბა, ქაფიან სასიამოვნოდ თბილ წყალში ჩავწექით და ბაკლებით წითელ ღვინოს ვსვამდით ცოტ-ცოტას.

გარედან ავტომობილების ხმა იშვიათად შემოდიოდა.

ის ღამე დაუვიწყარი, თავბრუდამხვევი და არაამქვეყნიური იყო, თავისი მოულოდნელობითა და სიამტკბილობით. გვიან ჩაგვეძინა, შიშვლებს, გათანგულებს, სიამოვნებით სავსე ცოდვილებს.

მილას ერთი თვე ვხვდებოდი იმ მშვენიერი ღამის შემდეგ. მას არ უყვარდა ქუჩაში გამომწვევად სიარული, არ ჰქონდა მობილური ტელეფონი, არ იყო სოციალურ ქსელში დარეგისტრირებული. წერდა ლექსებს და ცხოვრობდა თავისუფალი ცხოვრებით. წლების წინ ნარკომან და მოძალადე ქმარს გასცილებია, რომელსაც მონატაცები ჰყავდა. მას შემდეგ მარტო ცხოვრობდა.

ერთ დღეს მის ბინაში დავაზარუნე, კარი უცხო, ხანშიშესულმა ქალბატონმა გამიღო. ვიფიქრე, - ალბათ ვინმე ახლობელია მილასი-მეთქი.

- გამარჯობათ, მილა შინ არის? - ვკითხე თავაზიანად.

- მილა წავიდა ამ ბინიდან შვილო, მე ახალი მდგმური ვარ. - იყო სხარტი და თავზარდამცემი პასუხი.

- ნახვამდის ქალბატონო.

გავშრი. მერე ცივმა ოფლმა დამასხა, შხამშემოყრილმა ჩამოვიარე სადარბაზოს მოაჯირდანჯღრეული კიბეები. სასოწარკვეთილების განცდამ ლამის აცახცახებული გული შუაზე გამიხეთქა.

- ნუთუ მილამ მიგატოვა ჩარლი, შე უბადრუკო პოეტო?! აბა, რა გეგონა შე აზიატო? - ცინიკურად ჩამძახოდა ალტერ ეგო სხეულის შიგნიდან.

ღამდებოდა. სიგარეტს მოვუკიდე და ნაწვიმარ ტროტუარს გავუყევი. დავდიოდი ქუჩებში და ვაკვირდებოდი ადამიანებს, რამდენიმე მილას მივამსგავსე, მაგრამ ის არცერთი არ აღმოჩნდა. ნუთუ წავიდა, ასე როგორ? წასვლაც როგორ ჰგავდა მის პირველ გამოჩენას, თავისი მოულოდნელობით.

კოკისპირულად გაწვიმდა, ფეხი არ ამიჩქარებია, შინ ერთიანად გალუმპული ავედი.

იმ ღამით გვიან ჩამეძინა, ნაღვლიანს, გულგაბზარულსა და თვალცრემლიანს.

მისი გაუჩინარებიდან ორი წლის შემდეგ მილას შემთხვევით შევხვდი აღმაშენებლის გამზირზე. ბიბლიოთეკიდან მოვდიოდი. ხელში პაწაწკინტელა თეთრი გოგონა ეჭირა, ორ წლამდე ასაკის იქნებოდა. გვერდით ვიღაც შავგრემანი მამაკაცი მოყვებოდა, ტროტუარზე მოდიოდნენ საპირისპირო მიმართულებით. ვიცანი, გაოცებისგან თვალები გამიფართოვდა, ძეგლივით გავშეშდი. მომიახლოვდნენ, წამით შემომხედა და მყისიერად ამარიდა მზერა. ვერ მოვითმინე: - მილა? მილა, როგორ ხარ? - ღიმილიანი სახით ვუთხარი. რა მილა? - გეშლება მეგობარო, ჩემ ცოლს მილა არ ჰქვია, - მითხრა და მილასკენ გაიხედა. დიახ, ვიღაცაში გეშლებით, - მოკლედ და თავაზიანად მითხრა მილამ და მზერა ჩემი თვალებიდან რომელიღაც შენობის ლამაზ ფრონტონზე გადაიტანა. ბოდიშით... არა უშავს მეგობარო, ხდება ხოლმე, - კეთილი ტონით მითხრა მისმა თანმხლებმა მამაკაცმა. პაწაწკინტელა გოგოს კიდევ ერთხელ შევავლე თვალი, სანამ ჩამცდებოდნენ. მომეჩვენა, რომ მგავდა.

ცნობა

რევაზ მიშველაძემ ახლახან დაამთავრა რომანი „ქრისტე“, რომელიც ეძღვნება ქართულ მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიას და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

რომანს საახალწლოდ მიიღებს ქართველი მკითხველი.

მგელი - „განკვართულის“ მთავარი პერსონაჟი

რომანი გაიელვებს მხოლოდ ერთხელ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე, მაგრამ საოცრად გამახსოვრდება.

ბოროტების სახეშეცვლილი იპოსტასია მთავარი ამ ნაწარმოებში, გამოწრთობილი „პესიმიზმი“ ავტორის ზურაბ ლავრელაშვილის ქურაში.

ბოროტების, რომელიც სიკეთედ გარდაიქმნება ზოგჯერ, საკუთარი თავის ძიებით ინსპირირებულია მწერლის მიერ (ძირითად მიზნად ადამიანის ჯადოსნური სამყაროს წვდომა რომ დაუსახავს) მირაჟისა და ილუზიების ქრონოტიპს მორგებული ეგზოტიკური ფორმით.

ის, რაც ასე გულზე გვხვდება „მწუხარე მსოფლაღქმის“ მაპროვოცირებელი აქცენტია რომანში გათამაშებული, შეიძლება ითქვას ფართო პლანითაც კი, როგორც ადამიანის ტანჯული სულის გამოთავისუფლების საშუალება.

„გაკვართულში“ თავიდან ჩნდება ბებერი მგელი...

სწორედ მისი სახით ირღვევა ბოროტების კლასიკური მოდელი, რადგან მგელი ისეა გამოყვანილი, როგორც რომანის მთავარი პერსონაჟი და მას ხელთ უპყრია ნაწარმოების იდეის გასაღები; რომანში მოცემულ პერსონაჟთა ქცევის მოტოვებსაც მგელი განაპირობებს და მწერალი ამით ხაზს უსვამს ცხოველთა სამყაროს ტრაგიკულ მისტერიას...

ნაწარმოების დანარჩენი გმირებიც თავისებურად ახდენენ ბუნების სხვადასხვა ძალთა პერსონიფიცირებას, ასე მაგალითად, ვოლკოვი მგელს განასახიერებს რომანში, მინდია - კრავს.

ვოლკოვის გახანგრძლივებული შხამიანი „ალერსი“, რომლის პროვოცირებასაც ახდენს მწერალი მინდიასთან მინდიასთან მიმართებაში, სწორედ რომ მგლური კანონების იმიტაციაა, უფრო მეტიც, მინდიასა და ვოლკოვთან ერთად მგლის სახეც განიცდის მუტაციას, ისიც გაივლის განვითარების რამდენიმე საფეხურს. ამის პარალელურად ნაწარმოებში ვითარდება შესაწირი კრავის - მსხვერპლის თემა, ამის სიმბოლო მინდიაა, რომლის პირველი ხილვაც (სისხლით გადასახული ჯვარი) მის მიერ მომავლის ჭვრეტაცაა, მანამდე კი ავტორი ნაწარმოების მთავარ გმირს ბალღობიდანვე გააცნობს მგელს: მინდიას საცხოვრისში ბებერი მგელი ჩნდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ცხოველთაგან მხოლოდ მგელს ძალუძს ადამიანური მარტოობის დამოუკიდებლობის გაგება - ეს მხეცი ზოგჯერ სულში ჩაბრუნებული ცრემლებით ტირის და ამ ხელშეუვლები ემოციის ტრანსცენდენტური წინათგრძნობის ამოზიდვა მწერალმა ზ. ლავრელაშვილმა ნამდვილად შეძლო თავის რომანში.

„მინდია უყურებდა და შიშს აღარ გრძნობდა, თითქოს მიხვდა კიდეც იმის საიდუმლოს - მარტოობისა და განკერძოების ვარამს, რაღაი ვოლკოვი ეული იყო, არსთაგან განცალკევებული და ბოროტებაღა ჰქონდა ფარად, რათა თავისი სიმართლე დაეცვა.

პარადიგმების ხშირი ცვლაა რომანში „გონიერ ჭვრეტას“ ენაცვლება „დიონისებური“ ტრაგიკული ინსტინქტები. ამ მხრივაც მგელია მთავარი ლიდერი, მისი ბუნების ორაზროვანი გააზრებით, ნაწარმოების პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტიც რომ ყალიბდება, მაგალითად, ასეთი:

„ახლა კი აღარ იყო მარტო ვოლკოვი, მგლებს შუაა მჯდარი, წარმართული კერპივით ამოსულიყო თითქოს მიწის უხანო წიაღიდან; მგლები მშვიდად იწვნენ, თავები წინა თათებზე ჩამოედოთ და ისე თვინიერად იყურებოდნენ, თითქოს იმათაც თავიანთი მგლური ბედი სტანჯავდათ, თითქოს ერიდებოდათ, მგლები რომ იყვნენ და მიწის და ცის ჰარმონიას არღვევდნენ გამოჩენით“.

„შენ ჩემნაირი ხარ და არ გინდა აღიარო, შენშიც მხეცი ბუდობს, - ეუბნება ვოლკოვი მინდიას და ნაწარმოებში ჩნდება კიდევ ერთი სხვა იპოსტასი - ცხვრის ტყავში გახვეული მგელი, რომლითაც მწერალი ზოგადად ადამიანის ფარულ ბუნებას გვიჩვენებს.

ამ შემთხვევაშიც თავს იჩენს მწერლის დუალიზმი, მისი ეჭვები, ტრაგიკული ყოფიერების დაუნდობლობა და ნაწარმოებში მგლის სიმბოლოს აღზევების გვერდით ვხედავთ, მინდიას როგორ უცრუვდება იმედი, რადგან ხვდება, რომ ადამიანის ბუნება იგივე დარჩენილა, ადამიანური ტრადიციების მორჩილი, მას კი სხვა სურდა, ადამიანი ეხილა „უფრო ლაღი და თავისუფალი“...

საინტერესოა ვოლკოვის, როგორც მგლის იპოსტასის გარდაქმნილი სახე. ნაწარმოებში ვხედავთ, რომ იგი ფაუსტურ გმირად ყალიბდება, სულიერად იხვეწება და ფილისტერული ყოფის „საგნობრიობას“ სძლევს. „მზერაში ფოსფორული ნაპერწკლით“ ვოლკოვი გაიგივებულია მგელთან. მაგრამ მან ბოლოს და ბოლოს დაინდო მინდია, თავისი ბიძაშვილი და უფრო მეტიც, მის საშველად ქვეცნობიერი ძალით მოუხმო მგელს, მაგრამ მინდიამ ვერ დაინდო მგელი შექმნილი გარემოების გამო და შეებრძოლა მას:

„გვერდულად მწოლმა მგელმა მიხუჭული თვალი რომ გაახილა და მინდიამ იმის მზერაში უტყვი საყვედური დაინახა, თითქოს ფოსფორული ნათება გამქრალიყო და მხეცი ახლა სინანულით უცქერდა“. ამ პასაჟით ავტორმა ერთი მხრივ შეგვაბრალა მგელი და მეორე მხრივ ხაზი გაუსვა ადამიანური ბუნების ტრაგიზმს.

ნაწარმოების ფინალში ვხედავთ მინდიას ოთხზე დაბჯენილს. მან სძლია მხეცს, ვითარცა კრავმა (სახარებისეული ალუზიის მიხედვით), მაგრამ გულის სიღრმეში მას ეს არ სურდა, ერთ დროს ჩადენილი ცოდვა „მგელივით“ ჩაუსაფრდა და უწინდელი დანაშაული საკუთარი სიკვდილით გამოისყიდა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მგლის სიკვდილი გაიგივებულია მინდიას, როგორც შესაწირი კრავის მსხვერპლშეწირვასთან, რადგან მინდიას შეგნებაში ბალღობიდანვე ენთებოდა „ცთომილი ნაპერწკალი“ - ადამიანის მარტოსულობა, რომელიც თავის თავში შეიცავს დემონურობას.

„განკვართულის“ მგელი ძლიერი მხატვრული სახეა, რომლითაც მწერალი ადამიანის შეზღუდული „მეს“ ჩარჩოებს სძლევს და მის ყველა სულიერ ტკივილს განასახიერებს. ნაწარმოებში მგელი, როგორც ტოტემი, საინტერესოა ზოროასტრიული კუთხითაც. ის აქ წარმოჩენილია წარმართული კულტის მატარებელი და მაქციის თვისებით მოტივირებული.

მიკო ჭანისპირელი

ვარდო დევაძე

***

ჩემს ეზოკარში ღელავს
ქრიზანთემების ზღვა,
რას ინატრებდა საცქერად
თვალი უკეთესს სხვას.
ერთ ყვავილს კაბაჭრელასა,
სულ დავტრიალებ თავს,
იმისი კაბა მშურია,
ველარ ვაშორებ თვალს.

წვიმს

გუშინ წვიმდა და დღესაც
ალბათ, ისევ იწვიმებს,
სევდიანი ბელურა
ნაძვის ხეზე წივწივებს.
საძინებელ ოთახში
მაღვიძარა წიკწიკებს,
ვარდი ისე მიცქერის,
თითქოს ხელებს მიწვდიდეს.
ამ ლამაზი სარკმლიდან
ლამის მივწვდე ცის კიდეს,
დროდადრო ღრუბლებიდან
მზის სხივები კისკისებს.

***

ტყისპირას ერთი ხე იდგა,
მწვანე წიწვიან კაბითა,
უხვად შეემკო ბუნებას,
თავის ჯადოსნურ კალმითა.
მომხიბლა თავის სიტურფით,
სინარნარით და კრძალვითა,
მივუძღვენ ლექსის ბწკარები,
ჩემი უბრალო კალმითა.
ჰყვარობდა ერთი ჩიორა,
მითვალთვალებდა მალვითა,
ეჭვებს შეეპყრო ჩემდამი,
მიმზერდა ავი თვალითა.

მე გაზაფხულის მეკვლე მჭირდება...

არ დამიჯერებთ, ნუ დამიჯერებთ,
ჩემი ტკივილიც არის ტკივილი,
მე გაზაფხულის მეკვლე მჭირდება
და რას გავხდები თქვენთან ტირილით.
მე დამცირების არ მეშინია,
გზა ვისთვის ფართო, ვისთვის ვიწროა,
ო, აუტანელთ ისევ აგიტანთ,
ოღონდ კვლავ ვიყოთ, ქვეყნად ვინც რომ ვართ.
რას ვითხოვ თქვენგან - მეც დამინახეთ,
ჩემი გზა ისეც დაგეშილია,
ახლა რა მიჭირს, როცა არ მიცნობთ,
ხვალ რომ გამიცნობთ, ის მეშინია.
რადგან გენში გვაქვს, ჩავქოლოთ კარგი,
მოვსპოთ სიკეთე, ვძერწოთ სატანა,
ასე ცოტა ვართ და ასე მძიმედ,
რად გვიჭირს ნეტა ერთურთს გატანა.

პოეზიის საღამო

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის 1 სამხატვრო ხელოვნების სკოლა დაარსებიდან 65 წელს ითვლის. სამხატვრო ხელოვნების სკოლის დირექცია ქალბატონი ქეთევან ბარნაბიშვილის თაოსნობით ყოველთვიურად, ძალზე აქტიურად მართავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს.

22 ივნისს, თბილისის მუნიციპალური მუზეუმების გაერთიანების მენეჯერ თამარ ცაგარელის ინიციატივით ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის მემორიალურ ბინა-მუზეუმში, ანნა კომლაძის პოეზიის საღამო მოეწყო. სკოლის აღსაზრდელებმა, (მარიამ საღინაძემ, ნუცა გაბრიჭიძემ, სანდრო ბაიდარაშვილმა და დავით ადამაშვილმა) მასწავლებელ ქეთევან გობეჩიასთან ერთად დამსწრე საზოგადოებას ქალბატონი ანნას შემოქმედება გააცნეს. ნორჩი ხელოვანების მონდომებამ და გულწრფელმა ემოციებმა თითოეულ მსმენელზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ღონისძიებას ამშვენებდა და ტკბილხმოვანებას მატებდა სკოლის მუსიკის მასწავლებლების ინგა გვეტაძის, ლალი ნადირაშვილის, მაია მჭედლიძის და მათი აღსაზრდელების (გვანცა, თამარ, მარიამ იზმაილოვების, ანა-მარი სარქისიანის, თამარ და ლაშა მამადაშვილების, ლაშა, დავით, ილია შალვაშვილისა და ნინი შალვაშვილების, ლიზი და ეკა ყობიაშვილების) მიერ ფორტეპიანოზე შესრულებული მუსიკალური ჰანგები. უნდა აღინიშნოს, რომ პოეზიის საღამოზე მუსიკალური ნომრით გამოსული ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები არიან და მათი სწავლის საფასურს თბილისის მერია იხდის. საღამოს ერთგვარი კულმინაცია გახდა მასწავლებლების ლალი ნადირაშვილის, მაია მჭედლიძისა და ლია სოლოღაშვილის მიერ ანნა კომლაძის ლექსებზე შექმნილი სიმღერების გაჟღერება. ღონისძიებაზე მისულთ საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ სკოლის მოსწავლეთა (სალომე ნარსავიძის, ანა გოგოლის, მარიამ ხუჭუას, ანანო ბერანძის, რუსუდან ადუაშვილის, თეონა შაშიაშვილის, თინათინ მაკასარაშვილის, ნინო სიხარულიძის) მიერ შექმნილი დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნების ნამუშევრები. წლებია, მასწავლებელი თეა თავაძე გამოცდილებას უზიარებს მომავალ თაობას. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო: ტრადიციული მეთოდით ნაქსოვი ფარდაგები, ხალიჩები, გობელენები, სუვენირი და სხვა. სიტყვით გამოვიდნენ: სკოლის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნე, ქეთევან ბარნაბიშვილი, თეატრმცოდნე გუბაზ მეგრელიძე, ხელოვნებათმცოდნე სოლომონ ნადიმაშვილი. საღამოს დასასრულს ანა კომლაძემ შეხვედრის ინიციატორებს მადლობა გადაუხადა.

ნინო ბარნაბიშვილი
ხელოვნებათმცოდნე

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია თანაუგრძნობენ მწერალთა კავშირის წევრს უშანგი მოსიაშვილს შვილის

გოგიტა მოსიაშვილის
გარდაცვალების გამო

მწერლის გაზეთი
№9
ფასი 1 ლარი
1-30 ნოემბერი 2019

მისამართი: მაჩაბლის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.:293-55-15
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე — რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი — მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail. ru; sososigua@yahoo. com
9 771987 698009